სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე

№ 1(19), 2020–2023



თბილისი
2020-2023

ელექტრული ვერსია

სარჩევი

პანდემია

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი ინფექციის წინააღმდეგ 4

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), პანდემიურ რეგულაციათა მორალური ხარვეზები 19

მედია და საზოგადოება

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), ხმა სინდისისა 23

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი

ივანე სურგულაძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში 28

უკრაინის აწმყო და მომავალი

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), ევროსაბჭოს 15425 რეზოლუცია, უკრაინის კათოლიკური უნია და მებრძოლი ლიბერალიზმის რეალური სახე 68

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), განაჩენი უმაღლესი მთავარსარდლისა **77**

თეზისები

სერგი მაკალათია, **მესხეთ-ჯავახეთი** **86**



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი ინფექციის წინააღმდეგ

შესავალი

«წმიდა ძღვენიდან (ზიარებიდან) სენის გადადება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მე ახლა თქვენთან ნამდვილად ვერ ვისაუბრებდი. გულწრფელად მწამს, რომ ბარძიმი აღსავსეა ცეცხლით ქრისტეს სიყვარულისა, რომელიც ყოველგვარ მწიკულევანებას სპობს». – მეც ასე მწამს და სტატიაც ამიტომ დავიწყე დიდი გამოცდილების მქონე ექიმის, აწ უკვე მღვდლის, ალექსი ტიმაკოვის[1] სიტყვებით. მისი საუბრიდან კარგად ჩანს ცოდნისა და რწმენის ჰარმონიული თანაარსებობა, რომლის წყალობითაც ყველა პრობლემა თავისი თავის აღმოფხვრისკენ უმტკივნეულოდ ილტვის.

თუმცა, საზოგადოდ, ეს მხოლოდ სანატრელი ჰარმონიულობაა, სოფელი მას ვერ ჰგუობს. ადამიანებს მოვლენათა პრაგმატულად შეფასება უფრო ეადვილებათ და ობიექტური დასკვნებისთვის თავს არ იწუხებენ, ვინაიდან ნებისმიერი შემთხვევა საღმრთო განგებულებით, ანუ რაიმე მიზეზით, არის განპირობებული და მისი ახსნისთვის სარწმუნოებასთან ერთად სათანადო ცოდნაც აუცილებელია. რელიგიური ცოდნის შეძენას კი განსაკუთრებული შრომა და დიდი დრო სჭირდება, რადგან იგი არა მარტო წიგნიერ მუშაკობას, არამედ სულიერ მოღვაწეობასაც, ანუ ასკეტურ ცხოვრებას, მოითხოვს.

ამიტომ თუ ვინმე განიზრახავს, ეკლესიას რაიმე წესის შეცვლისკენ მოუწოდოს, მანამდე კონსულტაციის მიღებას ნუ ითაკილებს, რაც საზოგადოებრივი საქმისთვის უმჯობესი იქნება, რადგან საკითხის არსში გარკვევის შედეგად ზომიერების დაცვას უფრო ადვილად შეძლებს. მით უმეტეს, ამგვარი წინდახედულობის გამოსაჩენად პასუხგაუცემელი კითხვების გაჩენაც კმარა. მაგალითად, კორონავირუსის გავრცელებისთანავე ევროპაში ჯერ ტაძრები რატომ დაკეტეს, ხოლო ბარები და რესტორნები შემდეგ?! ჩვენი მედიისა და მედიკოსებისთვისაც, საეკლესიო მსახურების საუკუნოვანი წესები და წირვა-ლოცვებზე მრევლის დასწრების მიზაშეწონილობის საკითხი ლამის მთავარ საქვეყნო პრობლემად რატომ გადაიქცა?!

ამჟამად საქართველოში ეკლესიურად მოსახლეობის დაახლოებით 1% ცხოვრობს; განა მოქალაქეთა ეს, ყველაზე კანონმორჩილი, ნაწილი საყოველთაო ყურადღებას საჭიროებდა? ნუთუ მართლმადიდებელ ეკლესიას იმდენი დამსახურება არა აქვს სამშობლოს წინაშე, რომ ტაძრებში საკარანტინო წესების დარღვევათა გამოსავლენად ჟურნალისტებისა და ოპერატორების სრული მობილიზება არ გამხდარიყო საჭირო?

ხალხისთვის არავის აუხსნია, თუ რატომ მიენიჭა კორონავირუსს არა ეპიდემიის, არამედ პანდემიის სტატუსი და, დაახლოებით, მოსახლეობის რამდენი პროცენტი უნდა იყოს დასნებოვნებული, რომ სახელმწიფომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს? ჩვენ ხომ სრულიად მშვიდად ვცხოვრობთ იმ მსოფლიოში, სადაც ყოველწლიურად ჩვეულებრივი გრიპისგან, ანუ მის მიერ განვითარებული პნევმონიისგან, დაახლოებით 650 ათასი, ხოლო ტუბერკულოზისგან ორი მილიონი ადამიანი იღუპება!

ასევე საგულისხმოა, რომ ცნობილმა შიდსმა, იმუნოდეფიციტის ვირუსმა, 1980 წლიდან მოკიდებული 35 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ არავის გაუგია, რომ ამ ვირუსის ძირითადი გამავრცელებლები, ნარკომანები და ჰომოსექსუალები, დანარჩენი საზოგადოების დაცვის მიზნით ცალკე „კლასტერად“ გამოეყოთ (მედიკოსების ტერმინოლოგიურ ნოვაციას გვერდი ვერ ავუარე), ან მათი თავშეყრის ადგილები ეპიდემიურ კერებად გამოეცხადებინათ!

დაბოლოს, თუ ამერიკელების მიერ საქართველოში ამოქმედებული ლუგარის ლაბორატორია არის ერთადერთი დაწესებულება COVID-19-ის ანალიზის ჩასატარებლად, მაშინ რა გამოდის: აქამდე ინფექციის, მით უმეტეს გრიპის ნაირსახეობის, დიაგნოზს ჩვენთან ვერ ადგენდნენ? – არავის უნდა გაუკვირდეს ეჭვების გაჩენა ამ ე.წ. მეგობარი ქვეყნის მიმართ, რადგან იდეოლოგიური თვალსაზრისით

[1] Между паникой и беспечностью/Православие.ru

უკვე საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის მორალურ შეუთავსებლობაზე მეტყველებს. ამიტომ მედიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რომელიმე თვალსაზრისის მხარდასაჭერად აშშ-ის ავტორიტეტით სარგებლობა მიზანშეწონილი არ არის.

თუ საზოგადოება „გმირ ექიმებს“ პროფესიონალიზმის გამო ამჟამად პატივს მიაგებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ხვალ ან ზეგ უფრო მასშტაბურად არ მოუწევს დღევანდელი მოვლენების შეფასება; მათ შორის, თვით ლუგარის ლაბორატორიის დირექტორის პაატა იმნაძის იდუმალი განცხადებისა: «უამრავი რაღაც იწერება, მაგრამ ეს ვირუსი მართლა არავინ არ იცის» (21.04.2020).

შხამი კურაევის ფიალაში

კაცობრიობამ საშინელ ეპიდემიათა მიერ გამოწვეული მრავალი განსაცდელი გადაიტანა. მხოლოდ შავმა ჭირმა VI-VIII სს-ში 90 მლნ., XIV ს-ში 200 მლნ., ხოლო ესპანურმა გრიპმა XX ს-ში 100 მლნ. ადამიანი შეიწირა. მიუხედავად ყველაფრისა, 17 ს-ის წინ წმ. იოვანე ოქროპირის მიერ შემოღებული წესი მარწუხის (საზიარებელი კოვზის) გამოყენებისა დღემდე ეკლესიის უცვლელ ტრადიციად შემოინახა და არცერთი ეპიდემია მისი შეცვლის მიზეზად არასდროს ქცეულა.

უფალი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი და ხორცი ყოველი ქრისტიანის აუცილებელი სულიერი საზრდოა, რომელიც ამქვეყნად ქრისტესთან თანამყოფობის პირობას, ხოლო იმქვეყნად ცათა სასუფევლის დამკვიდრების საწინდარს წარმოადგენს. ეკლესია ზიარების საიდუმლოს, ანუ ევქარისტიის, გარეშე არ არსებობს. ამიტომ ეკლესიის წევრად ვერ ჩაითვლება ის, ვინც არ ეზიარება.

ევქარისტია უდიდესი სიყვარულის გამოხატულებაა, ამბობს წმ. იოვანე ოქროპირი. მართლაც, ადამიანური სიყვარულის ანალოგიითაც შეიძლება ავმაღლდეთ სრულყოფილებამდე, თუ წარმოვიდგენთ საყვარელი ადამიანების მონატრების, მათთან სიახლოვისა და განუშორებლობის წყურვილს. ქრისტესმიერი სიყვარული კი ყოველივე გრძნობას აღემატა და მან ყველა მსურველს არა მარტო მისი ხილვისა და შეხების, არამედ ევქარისტიის საშუალებით მასთან შეერთებისა და მისით აღვსების შესაძლებლობა მისცა. მისივე სიტყვით: «რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა

დადგრომილ არს, და მე მის თანა» (ინ. 6, 56).

მართლმადიდებელი ეკლესიის მტრებს შური, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ სიყვარულისადმი ამოძრავებთ და შემდგომ კი ყოველივე იმის მიმართ, რაც ევქარისტიის აღსრულებას ემსახურება. მარწუხიც, ეს პატარა წმიდა ჭურჭელიც, თანამედროვე ლიბერალთა და ე.წ. თეოლოგთა მხრიდან თავდასხმის ობიექტად იმიტომ გადაიქცა, რომ ინფექციის გადაცემის მიზეზად ჯერ იგი წარმოეჩინათ, მერე კი – მისი საშუალებით მორწმუნეთათვის მიცემული წმიდა ძღვენი.

სწორედ ამ მიზნით სოციალურ ქსელში რუსეთის ეკლესიის ყოფილმა პროტოდიაკონმა ა. კურაევმა გამოაქვეყნა სტატია «საწამლავი ბარძიმში», რომლის ქართული ვარიანტი მცირე კომენტარითა და დიდად ამბიციური იდეებით განთავსებულია «წმ. გრიგოლ პალამას სახ. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრის» ვებგვერდზე. ამ ცენტრმა ჩვენი ყურადღება არა მარტო პრეტენზიული განცხადებებით, არამედ გამოკვეთილი ტენდენციურობითაც მიიქცია. ალბათ, მომავლისთვის ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, მაგრამ მანამდე მათსავე ნათქვამს გავიმეორებთ იმის შესახებ, რომ «ცენტრის წევრები არიან ის ქართველი სტუდენტები, რომლებიც საღვთისმეტყველო ცოდნას ბერძნულენოვან სასწავლებლებში იღრმავებენ», «აღნიშნული გაერთიანება სრულიად დამოუკიდებელია».

ჩვენი მხრივ მხოლოდ შევნიშნავთ: ცენტრის საიტზე დადებული მწირი ინფორმაციის მიუხედავად, ჩანს, ამ სრულიად დამოუკიდებელი სტუდენტების ქართველობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნიან, ან მისი იერარქიის ოფიციალურ პოზიციას იზიარებენ!

ახლა კურაევის სტატიის მთარგმნელის იოანე შოშიაშვილის კომენტარს გავეცნოთ:« ანდრია კურაევს მოყავს ისტორიული ფაქტები, როდესაც წმიდა ზიარებაში შერეული საწამლავის შედეგად, კონკრეტული ადამიანების მოკვდინებას ჰქონდა ადგილი... აქ ისმის სავსებით ლეგიტიმური კითხვა, რომ თუკი ევქარისტია ვერ ანეიტრალებს შხამს, შეუძლია მას გაანეიტრალოს სხვადასხვა სახის ვირუსები? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ევქარისტია ანეიტრალებს სიტყვაზე Covid 19-ს და ვერ ანეიტრალებს შხამს, რადგან თუკი ანეიტრალებს ერთს, უნდა ანეიტრალებდეს მეორესაც... დღეს დღეობით საღვთისმსახურო პრაქტიკაში დამკვიდრებული „კოვზის ტრადიცია“ კიდევ უფრო ზრდის

იმის შანსს, რომ ადამიანები სწორედ ზიარების დროს დაინფიცირდნენ... ეკლესიას შეუძლია იზრუნოს თავის შვილებზე... და შეცვალოს ზიარების მიღების წესი, ხაზს ვუსვამ, ზიარების მიღების წესი და არა თავად ევქარისტია» (სტილი დაცულია).

რატომ მისცა თავის თავს უფლება «ახალგაზრდა თეოლოგმა» ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე აზრის გამოთქმისა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ საერთოდ საჭირო იყო თუ არა აღნიშნული სტატიის თარგმნა, ამას ქვემოთ წარმოდგენილი მისი ანალიზი დაგვანახებს.

პირველ რიგში, საკითხის დაკონკრეტების მიზნით, განვმარტავთ, რომ ა. კურაევის მიერ მოძიებული ისტორიული ამბებიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ორს, რადგან დანარჩენი ცნობები არამართლმადიდებლური ეკლესიების ცხოვრებას უკავშირდება და ჩვენი განსჯის საგნად ვერ ვაქცევთ საიდუმლოთა ძალას იმ ლიტურგიებისა, რომელთა შორის მადლი არ მოქმედებს.

პირველი ცნობა ისტორიკოს თ. უსპენსკის (†.1928 წ.) თხზულებიდან არის დამოწმებული, რომლის მიხედვით ტაოს მეფე დავით III კურაპალატი მთავარეპ. ილარიონმა წმ. ზიარებაში შერეული საწამლავით მოაკვდინა, პასექის ანუ აღგდომის დღესასწაულზე 1000 წლისა (და არა – 1001 წელს, როგორც ი. შოშიაშვილი „თარგმნის“). «ქართლის ცხოვრება» (თბ., 2008) დავითის აღსასრულზე არავითარ განსაკუთრებულ ცნობას არ იძლევა, ხოლო მთავარეპ. ილარიონს საერთოდ არ იცნობს. «მატიანე ქართლისაჲ» გვამცნობს: «აღიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირისა ჟამისა მიიცვალა» (იქვე, გვ. 271); ხოლო სუმბატ დავითის ძე წერს: «გარდაიცვალა დავით, დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისაჲ, ქრონიკონსა :სკა:» (იქვე, გვ. 369), ე.ი. 221+780=1001 წელს.

აქედან გამომდინარე, თ. უსპენსკის წყარო შეუძლებელია ყოფილიყო ქართული მატიანე, ან უშუალოდ სომხური ისტორიები, არამედ ეს არის, როგორც ჩანს, დიმიტრი ბაქრაძის მიერ დამოწმებული ფრანგულენოვანი თხზულება[2], რომელშიც წარმოდგენილია ევარისტ პრიუდომის შენიშვნები არ. ლასტივერტეცის «სომხეთის ისტორიაზე»[3]; ასევე, როგორც ქართველი ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, პრიუდომს სომხის სხვა ისტორიკოსთა ამბებიც ჰქონია მიმოხილული: «სომხითის მწერალნი გვარწმუნებენ, ვითომც დავით მოწამლული იქმნა და ვითომც იმის სიკვდილში ერია ქართველი მღვდელთმთავარი ილარიონი»[4]; «სომხის წყაროები არ გვიჩვენებენ, რომელ წელს დაჯდა დავით ტახტზე; იმის სიკვდილის დროს კი იხსენიებენ პასექის დღეს 1000 წ.»[5]

[2] Prud' homme, Histoire d'Arménie par Arisdaquès de Lasdiverd. Paris, 1964.

[3] დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ფრანგული ენის სპეციალისტს ქ-ნ რუსუდან ჭანტურიას.

რუსი ბიზანტოლოგისა და ფრანგული გამოცემების ცნობები იდენტურია, მაგრამ ისინი უყურადღებოდ ტოვებენ ჩვენთვის ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც თვით სომხურ წყაროებში არის აღწერილი. საქმე ისაა, რომ მიუხედავად მთელი ამ „ვითომც“ ისტორიული ამბისა, მათეოს ურჰაეცი და არისტაკეს ლასტივერტეცი არა თვით მოწამლვის ფაქტს აღიარებენ დავითის გარდაცვალების მიზეზად, არამედ ეპისკოპოსის (მ.უ. მიხედვით) ან ჯარისკაცების (ა.ლ. მიხედვით) მიერ მეფის გაგუდვას ძილის დროს. ციტატები სომხური ისტორიებიდან თვით ა. კურაევსაც აქვს მოყვანილი, ამიტომ ამ საკითხზე ყველაფერი ცხადად გამოიკვეთა: სომხური წყაროებიდან მომდინარე ამბავი დავით კურაპალატის მოწამვლის შესახებ, მიუხედავად მისი საეჭვო წარმომავლობისა, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ დავითის გარდაცვალება არა წმიდა საიდუმლოში შერეულმა საწამლავმა, არამედ მასზე ძალადობამ გამოიწვია.

მეორე ისტორიული ფაქტი, რომელიც, პირველის მსგავსად, კრიტიკას ვერ უძლებს, აღწერილია «ბიხოვეცის ქრონიკაში» (და არა _ „ბიხოვცის“, როგორც ი. შოშიაშვილი „თარგმნის“). სახელწოდება მას მიანიჭა ლიტველმა ისტორიკოსმა თეოდორე ნარბუტმა, რომელსაც მემამულე ალექსანდრე ბიხოვეცმა თავის ბიბლიოთეკაში დაცული ძველი ხელნაწერი გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ნაკლული აღმოჩნდა, მას საწყისი, შუა და ბოლო ფურცლები არ შერჩენოდა, მასში აღწერილი ისტორიული მოვლენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1846 წელს თ. ნარბუტმა «ბოხოვეცის ქრონიკის» ტექსტი ბეჭდურად გამოსცა.

ქრონიკის თავისებურება ისაა, რომ ტექსტი დაწერილია რუსულ ენაზე, ოღონდ არა რუსული ანბანით, არამედ პოლონური ტრანსკრიფციით! «ქრონიკის» ხელნაწერის თავგადასავალზე საუბარს, ბუნებრივია, ჩვენ ვერ განვაგრძობთ, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად გარდა პოლონური ტექსტისა, რუსული თარგმანიც გამოცემულია. ა.

[4] ბაქრაძე დ.ზ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889. გვ. 239, შენ. 5.

[5] იქვე, გვ. 239.

კურაევს ციტატა პოლონური ტექსტიდან აქვს დამოწმებული, მაგრამ რუსული თარგმანის საკუთარი ვარიანტიც იქვე მოყავს, რომელიც ადრე გამოცემული ტექსტისაგან შინაარსობრივად არ განსხვავდება.

«ქრონიკიდან» ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი XV ს-ის შემთხვევას უკავშირდება, როცა თავადი მიხეილ სიგიზმუნდოვიჩი, ანუ მიხაილუშკო სიგიზმუნდის ძე, მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში ჟამისწირვას ესწრებოდა. რუსული თარგმანის მიხედვით: «იღუმენმა, რომელსაც არ უყვარდა იგი, ზიარებაში[6] (в причастии) ძლიერ მომწამლველი შხამი მისცა. მან ეს ზიარება (причастие) სწრაფად მიიღო და გადაყლაპა, და იქვე დავარდა და მოკვდა. ხოლო იღუმენი, მისი ასეთი მსწრაფლ აღსრულების გამო, შეშინდა, თვით მიიღო ზიარება (причастие) და ისიც იქვე მოკვდა».[7]

ახლა ეს თარგმანი შევუდაროთ დედნისეულ ტექსტს: 1. პირველ წინადადებაში „в причастии"-ის ნაცვლად დედანში სწერია „в доре" (პოლონური ტრანსკრიფციით: w dore).[8] ეს არის «ბიხოვეცის ქრონიკის» რუსულად მთარგმნელის ნ. ულაშჩიკის მთავარი შეცდომა, საიდანაც თანამდევი უზუსტობანი მომდევნო ორ წინადადებაში კიდევ უფრო იკვეთება. საქმე ისაა, რომ რუსული სიტყვა Дора ზიარებას არასდროს ნიშნავდა. ცნობილი ლექსიკოგრაფის ი. სრეზნევსკის (†.1880 წ.) «ძველი რუსული ენის ლექსიკონში» განმარტებულია, რომ ეს არის „antidwron, antidorum",[9] ანტიდორი, ანუ ნაწილი სეფისკვერისა, საიდანაც ამოღებულია ტარიგი, რომელიც შემდეგ ლიტურგიაზე ქრისტეს ხორცად გარდაიქმნება.

რატომ გაიმეორა ასეთი მნიშვნელოვანი დარღვევა დიაკონყოფილმა, შემდეგ კი – მისმა ქართველმა სულიერმა ძმამ, ძნელი მისახვედრი არ არის. ამიტომ სჯობს, ჩვენს განსახილველ ციტატას მივხედოთ და მისი ანალიზი ბოლომდე მივიყვანოთ.

2. მეორე წინადადებაში причастие ნახსენები საერთოდ არ არის და ზმნებსაც სხვაგვარი შინაარსი აქვს. თარგმანისგან განსხვავებით დედანში გვაქვს: «სწრაფად ჩაკბიჩა და შეჭამა» (скоро укусил и съел). ზიარების „ჩაკბეჩა და შეჭმა" შეუძლებელია რომ ითქვას; ამიტომ მთარგმ-

[6] იგულისხმება: წმიდა ზიარებაში შერეული.

[7] Хроника Быховца, пер. Н. Улащика, М., 1966. გვ. 97.

[8] Полное Собрание Русских Летописей, ორი გამოცემა არსებობს: ა) т. XVII, СПб., 1907. სვ. 542. ბ) იგივე სერია: ПСРЛ, т. XXXII, М., 1975. გვ. 159-160.

[9] И. Срезневский, Словарь древнерусского языка, т. I , ч. 1, Москва, 1989. გვ. 706.

ნელმა პირველ წინადადებაში დაშვებული შეცდომა მეორეს შეუფარდა და დაწერა: „მიიღო და გადაყლაპაო".

3. დედნისეულ არც მესამე წინადადებაში იხსენიება причастие, ხოლო „თვით მიიღო"-ს ნაცვლად გვაქვს «თვით იგემა» (сам вкусил). აქედანაც ჩანს, რომ პოლონურიდან რუსულ ენაზე მთარგმნელი ან საერთოდ ვერ ერკვეოდა იმ ტექსტის შინაარსში, რომელსაც თარგმნიდა, ან საკუთარი მიზანდასახულობის მიხედვით შეგნებულად „ასწორებდა" დედანს. რადგან „იგემა" უხერხულ ტერმინად მიიჩნია, სიტყვაც ჩაამატა და მიიღო მცდარი შინაარსი: „თვით მიიღო ზიარებაო"; მაშინ, როცა თავადი მიხეილიცა და იღუმენიც მოწამლული ანტიდორით გარდაიცვალნენ.

რა თქმა უნდა, აქ განხილული ისტორიები გამოგონილიც რომ არ იყოს, ჩვენი ძველი წესებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ვერაფერს ასაბუთებენ. აი, საზიარებელი კოვზისა და ზიარების ცხოველმყოფელი ძალის უარმყოფელთ კი, მგონია, «კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ»!

ევროპელი «ძართველი თეოლოგები»

საერთოდ, მედიისა და ცალკეულ საინფორმაციო საშუალებათა მესვეურების საყურადღებოდ უნდა ვთქვათ: რამდენადაც რელიგიური თემა საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტად იქცა, ხოლო სპეციალური ინფორმაციის სწორად გაშუქებას შესაბამისი პროფესიონალის კონსულტაცია სჭირდება, სარედაქციო სამსახურებმა უნდა დაუშვან რელიგიათმცოდნის შტატი, და უხერხული ტერმინების გამოყენებისა და აბსურდული ინტერპრეტაციებისგან თავი დაიზღვიონ. სამაგალითოდ ქვემოთ განხილული წერილიც გამოდგება.

სააგენტო „პრაიმტაიმმა" თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა (10.04.2020) თეოლოგიის მაგისტრანტ-ბაკალავრების ხელმოწერილი წერილი მცირე ანოტაციითა და სათაურით: «გავლენა მოახდინეთ ეკლესიაზე – ქართველი თეოლოგები მსოფლიო პატრიარქს და სხვა მაღალ იერარქებს მიმართავენ». ზემოთ ნახსენები ცენტრის წევრები თუ თავიანთ თავს „ქართველ ახალგაზრდა თეოლოგებს" უწოდებენ, აქ თვით სააგენტომ „ქართველი თეოლოგები" წარმოგვიდგინა.

გასაგებია, რომ მედიის მიერ არასწორად დამკვიდრებული ტერმინი თეოლოგისა, პერსონის ავტორიტეტულობის ასამაღლებლად მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ ასეთი სამეცნიერო ცენზი არ არსებობს.

თეოლოგიის ბაკალავრი, მაგისტრანტი ან დოქტორი სრულიად საკმარისი წოდებაა იმისთვის, ვინც ამ საპატიო საქმეს არა პოპულისტური და კარიერისტული მიზნით, არამედ არჩეული პროფესიის სიყვარულით ემსახურება. გამონაკლის შემთხვევაში, დიდი დამსახურების მქონე საპატიო პიროვნება შეიძლება მოვიხსენიოთ თეოლოგის, ანუ ღმრთისმეტყველის სახელით, მაგრამ ამ წოდების გაუფასურება და დაკნინება, როგორც ამას ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ვხედავთ, გაუმართლებელია. ბოლოს და ბოლოს, ამ დიდებული ზედწოდებით ეკლესია მხოლოდ სამ წმინდანს ამკობს: იოვანე მახარებელს, გრიგოლ ნაზიანზელსა და სუმეონ ახალ ღმრთისმეტყველს!

ახლა გავერკვეთ, ვინ არიან აღნიშნული მიმართვის ავტორები და ეკლესიის ინტერესების დასაცავად და მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად როგორ „იღვწიან“. – ზ. ცაბაძე, გ. ტიგინაშვილი, შ. მათითაშვილი, კ. უსუფაშვილი და ლ. წითლიძე (ეს უკანასკნელი ზემოთ ნახსენები ცენტრის წევრიცაა), როგორც ეს მათივე განცხადებიდან ჩანს, საქართველოს ეკლესიის ავტორიტარული მმართველობისა და სინოდის მთელი შემადგენლობის კომფორმიზმის გამო შეწუხებულან და, რადგანაც საშველი ვერსად უპოვიათ, კორონავირუსისგან საქართველოს გადასარჩენად თოთხმეტი „უწმიდესი მამისთვის“ მიუმართავთ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ევროპული ხუთეულიც, ცენტრის მსგავსად, თავის საქმიანობაში სრულიად დამოუკიდებელია. რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი საქართველოს ეკლესიის წევრებად თავს არ მიიჩნევენ და მხოლოდ გარეშე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. განსხვავება ახალგაზრდების ცენტრსა და თეოლოგიურ ხუთეულს შორის მხოლოდ ისაა, რომ ცენტრი, გარდა ლ. წითლიძისა, ჯერ-ჯერობით ღიად არ უპირისპირდება უმაღლეს იერარქსა და საერთოდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, თორემ პოლიტიკურად მოტივირებული, ანუ პროამერიკული პოზიცია ორივე გაერთიანებისთვის საერთოა.

იძულებული ვართ, ყალბი მგზნებარების საილუსტრაციოდ ორი ამონარიდი მაინც მოვიყვანოთ მიმართვის ტექსტიდან, თორემ ამ უპასუხისმგებლო „დანოსს“ ქაღალდზე ადგილს არ დავუთმობდით: «საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჯიუტად დგას თავის უცვლელ პოზიციაზე, არ მოუწოდებს მრევლს დარჩეს სახლში და უარს აცხადებს ღვთისმსახურება მრევლის გარეშე ჩაატაროს. შედეგად, სამღვდელოების წარმომადგენლები მორწმუნეებს სასიკვდილო საფრთხისაკენ მიუძღვიან. ამ მძიმე ჟამს, სამღვდელო დასის რიგი წევრები წარმოთქვამენ ქადაგებებს, რომლებიც სავსეა სიძულვილით, ფანატიზმითა და ცრუ აპოკალიპტური მოლოდინებით... უწმინდესნო მამანო, საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ პირთა უმოქმედობისა და უპასუხისმგებლობის გამო, მოგმართავთ თხოვნით, გავლენა მოახდინოთ საქართველოს ეკლესიაზე, რათა ოფიციალურმა იერარქიამ მიიღოს ყველა აუცილებელი გონივრული ზომა, რათა საქართველოს ათასობით მოქალაქის ინფიცირება და სიკვდილი თავიდან ავიცილოთ».

აი, ქართველთა ხმა პადერბონის, ათენისა და ჟენევის საუნივერსიტეტო კათედრებიდან! აი, ხმა დედა ეკლესიიდან განვრდომილი უმადური შვილებისა, რომელთაც ყოველივე წმიდა სოციალური ქსელების სასეიროდ გაიმეტეს!

მაინც ვისგან ელიან ხსნას მიმართვის ავტორები? – სტრატეგიის ცნობილი წესით, დახმარებისთვის მოკავშირეთა, ან თანამოაზრეთა ჯგუფს მიმართავენ, რადგან დაპირისპირებულთაგან ერთიანი ჯგუფი ვერ შეიქმნება და, ბუნებრივია, ისინი ვერც ერთმანეთთან და ვერც გარეშე სუბიექტთან ერთობლივ პარტნიორობას ვერ შეძლებენ. სახარებისეული სწავლებით: «უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი. და უკუეთუ სახლი სახლსა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად» (მრკ. 3,24-25).

მაშასადამე, მიმართვის თოთხმეტ ადრესატს შორის არსებული დაპირისპირების გამო ჩვენი თეოლოგების მოლოდინი დახმარების მიღებაზე ამაოა. არაფერს ვამბობთ მათი კომპეტენციის ფარგლებზე, რომელიც არა მარტო მეცნიერული, არამედ მორალური უფლებამოსილებითაც უნდა დგინდებოდეს. როცა მსოფლიო ეკლესიის უმაღლეს იერარქებს საქვეყნო საქმეზე მიმართავ, იმ ქვეყნის აღმშენებლობისთვის ერთი არამრუდე აგური მაინც ხომ უნდა გქონდეს დადებული?!

ახლა მოკლედ ჩამოვთვალოთ ადრესტთა უთანხმოებანი: ა) კონსტანტინეპოლისა და რუსეთის საპატრიარქოებს ერთმანეთთან ევქარისტიული კავშირი გაწყვეტილი აქვთ. გახეთქილების მიზეზი იყო რუსეთის ეკლესიის მიერ განკვეთილი სასულიერო პირებისთვის ფანარის მიერ ხარისხის აღდგენა და მათ ბაზაზე უკრაინის ფსევ-

დო-ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა. ბ) კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, იერუსალიმის პატრიარქის თეოფილე III-ის ინიციატივით ქ. ამანში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ მხოლოდ რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის ადგილობრივ ეკლესიათა წარმომადგენლები. გ) მიუხედავად იმისა, რომ სხვა ეკლესიებმა ამანის კრებაზე დასწრებისგან თავი შეიკავეს, უკრაინის საკითხზე ფანარის გადაწყვეტილებას მხარს მხოლოდ აფრიკისა და ელადის მმართველი იერარქები უჭერენ; ამ ეკლესიებშიც მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების გარკვეული ნაწილი უმაღლეს იერარქთა გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს და მათ მიმართ პროტესტს გამოხატავს.

ასე რომ, ეკლესიათა საჭეთმპყობელებს შორის მე-14 ადრესატად «ეპიფანე კიეველის» მოხსენიება თორმეტი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უგულებელყოფას ნიშნავს, რადგან, იქიდან გამომდინარე, რომ კონსტანტინეპოლის, ანუ ფანარის მიერ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ მეთაურად დადგენილ არაკანონიერ ეპისკოპოს ეპიფანე დუმენკოს ყველა საეკლესიო ხარისხი განკვეთილი „საპატიო პატრიარქის“ ფილარეტ დენისენკოს მიერ აქვს მიღებული, მას ფანარის, ალექსანდრიისა და ათენის გარდა არავინ აღიარებს.

სხვათა შორის, ეს კრიტიკა ვრცელდება „ახალგაზრდა თეოლოგების“ მიმართაც, რომლებიც ეპიფანე კიეველისა და ბართლომე კონსტანტინეპოლელის მიმართ აშკარა თაყვანისცემას გამოხატავენ. ნეტავ, ერთი სერიოზული სტატია მაინც შემხვედროდა ამ ევროპულად განსწავლულებისა, რომელიც ადამიანს პრობლემაზე დაფიქრებისა და მეცნიერული კამათის სურვილს აღუძრავდა! თუმცა, ესენი ხომ ეპიფანეს საქართველოს ხსნას ავედრებენ და გონივრული მუშაკობისთვის სად სცალიათ!

ამრიგად, დასკვნის გამოსატანად დიდი შრომა აღარ გვჭირდება. ნათელია, რომ მიმართვის ავტორები რეალური მხარდაჭერის მიღებაზე ვერც იოცნებებდნენ; მათ ერთადერთ მიზანს საქართველოს წმიდა ეკლესიის დაკნინება და განქიქება წარმოადგენდა.

წესი ლიტურგიის დამაბრკოლებელი ერთი შემთხვევისათვის

ადრე გამოცემულ სამღვდელო კონდაკებს დართული აქვს სხ-

ვადასხვა წესი, რომელიც მოულოდნელად შექმნილ სიტუაციაში უნდა შესრულდეს. ჩვენ განვიხილავთ ერთ-ერთ შემთხვევას, რომელიც ევქარისტიულ ძღვენთან არის დაკავშირებული და რომელზეც არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციები გავრცელდა. დავიმოწმოთ ციტატა:

«უკეთუ **უწინარეს განწმედისა** წმიდასა სასმისსა შინა ბუზი შთავარდეს, (მწირველმა მღვდელმა) აღმოიღოს და ქაღალდსა შინა შეხვეული დასწვას ცეცხლითა. ხოლო თუ დედაზარდლი, გინა სხვაჲ რომელიმე გესლიანი ქუემძრომელი შთავარდნილ იქმნას, აღმოიღონ და შეხვეული ქაღალდსა შინა დასწვან, ხოლო სასმელი იგი ბარძიმისა მისგან გარდაასხან სხვასა ჭურჭელსა შინა, და მოიღოს ღვინო წყალისა თანა და სთქვას: „ერთმან მწედართაგანმან“, და შთაასხას, და ეგრეთ შეასრულოს წირვა იგი, და გარდასხმული იგი მდინარესა შთაასხას.

ხოლო თუ **შემდგომად განწმედისა** იქმნას ესე და მისაღებად საძაგელ იყოს მღვდლისა, აღიღოს ფრიად სიფრთხილით, რომელ წვეთი სისხლისაგან არა სადა დაითხიოს, და ჭურჭელსა ზედა პატიოსანსა სამ-გზის განრცხას ღვინითა და შემდგომად შესრულებისა წირვისა აღმოღებული იგი წახვეული ბანბით, ანუ ტილოთურთ ქვასა ზედა წმიდასა დასწვან, ხოლო რომლითაცა განრცხა, ღვინო იგი ანუ მდინარესა, ან ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა შთაასხას და დაბუროს» (კონდაკი, თბ., 1899. გვ. 339-340).

ე.ი. ევქარისტიის შესრულებამდე, ანუ პურისა და ღვინის კურთხევამდე, თუ ბარძიმში ბუზი ჩავარდა, მწერი ამოიღონ, ხოლო ბარძიმს, რომელშიც ევქარისტიამდე მხოლოდ ღვინო და წყალია, არ შეეხონ. ხოლო თუ მასში ობობა ან სხვა შხამიანი მხოხავი ჩავარდა, მაშინ არა მარტო უწმინდური უნდა დაიწვას, არამედ ღვინოცა და წყალიც უნდა შეიცვალოს.

ევქარისტიის შემდეგ კი, იმავე შემთხვევისთვის წეს-განგება განსაკუთრებულ კრძალვას მოითხოვს. მღვდელმა ეს შხამიანი ცხოველი დიდი სიფრთხილით უნდა ამოიღოს და პატიოსან ჭურჭელზე ღვინით კარგად გარეცხოს, შემდეგ ნაჭერში შეახვიოს და სუფთა ქვაზე დაწვას, ხოლო ნარეცხი ღვინო მდინარეში ჩაღვაროს. თვით წმიდა ზიარება კი, რა თქმა უნდა, ამ დროს ხელშეუხებელი რჩება – მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ.

წმიდა ეკლესია ამ განჩინებით ეჭვგარეშე გვიცხადებს, რომ უფალი იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვერავითარი შხამი ვერ შეეხება, პირიქით, იგი ყველა იმ სნეულსა და დავრდომილს კურნავს, «რომელი დამკჳდრებულ არს შეწევნითა მაღლისაჲთა»; იგი მხოლოდ თავის მორწმუნეს აღუთქვამს: «რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ» (ინ. 6, 54). ზიარება სარწმუნოების საქმეა. როცა კაპერნაუმის სინაგოგაში მაცხოვარი ზეციური პურის, ანუ თავისი ხორცისა და სისხლის თაობაზე ებრაელებს ასწავლიდა, ზოგიერთისთვის მისი სიტყვები მოსასმენად იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ «ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა» (ინ. 6, 66).

მარწუხის მტრებს უკვირთ, მორწმუნეებს ინფიცირებისა რატომ არ ეშინიათ. ვინც თავის ერთგულთ იმგვარი მფარველობა აღუთქვა, რომ «დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ» (მრკ. 16, 18), განა იგი დაუშვებს იმას, რომ უსისხლო მსხვერპლად შეწირული თვითონ იქცეს ვირუსის გადატანის საშუალებად და კურნების ნაცვლად ქრისტიანთა დასნებოვნება გამოიწვიოს?! იქნებ მეტი არგუმენტი არც დასჭირდეს მას, ვისაც დაფიქრება კიდევ შეუძლია: ყველა დროს, ეპიდემია იქნებოდა თუ პანდემია, მღვდელმსახურები ჯერ მრევლს აზიარებდნენ და მერე თვით იმავე ბარძიმიდან სიწმიდეს სრულად იღებდნენ. მარწუხითა და ბარძიმით რომ გადადიოდეს სნეულებანი, განა ღმრთისმსახური ეკლესიაში საერთოდ იარსებებდა?!

განსაცდელის რაობა

ქრისტიანებმა იციან, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წლევანდელი სააღდგომო ეპისტოლეთი მოკლე, მაგრამ აუცილებელი განმარტება მისცა მრევლს: «ახალი ვირუსის პრობლემამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისკენ მიმართა. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და, ამასთან, ცდილობს გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში».

განსაცდელთა და ჭირთა მნიშვნელობის შესახებ წმიდა მამათა სწავლანი ჩვენ ადრეც გამოვაქვეყნეთ,[10] მაგრამ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძირითად დებულებათა შეხსენება, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება.

ფიზიკური სნეულებების, მათ შორის კორონავირუსის, მატერიალური გასაჭირის თუ ახლობელთა სიკვდილის მოწევნას ადამიანებზე ბრძენი და სახიერი უფალი იმიტომ უშვებს, რომ ამ განსაცდელებმა მათზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინონ. შეიძლება ჩვენ გვგონია, რომ ისინი ბოროტი თვისებისანი არიან, მაგრამ სინამდვილეში უფლის მზრუნველობის შედეგს წარმოადგენენ.

ვინც ბოროტების მიზეზად ღმერთს მიიჩნევს, ისეთივე უგუნურია, როგორც ღმრთის არსებობის უარმყოფელი. რაიმე განსაცდელის დროს თითქოს უმისამართოდ გამოთქმული ყვედრებაც: «რა დავაშავეთ ასეთი», «ეს ჩვენ არ უნდა დაგვმართოდა» და მისთ., სინამდვილეში, ირიბად ღმრთის მიმართ საყვედურს შეიცავს. ამ დროს, განსაცდელში მყოფი პირდაპირ არ გმობს ღმერთს, მაგრად მცირედმორწმუნეობის ან დაუკვირვებლობის გამო ვერც იმას ითვალისწინებს, რომ კეთილი ღმერთის მიერ ვართ დაბადებული და ჩვენს ცხოვრებას იგი განაგებს.

ღმრთის ნების გარეშე ჩვენზე არაფერი მოიწევა, გარდა ცოდვისა, რომლის მიზეზი ჩვენ თვითონ ვართ. თვით სიკვდილიც კი არ არის ბოროტება, გარდა მოუნანიებელი ცოდვილი კაცის აღსასრულისა, რადგან მისთვის ამ ქვეყნიდან წასვლა ჯოჯოხეთის სატანჯველთა დასაწყისს ნიშნავს.

ღმრთის განგებულების ნათელსაყოფად რამდენიმე კერძო შემთხვევა განვიხილოთ. ღმერთი სიმდიდრეს იმას ართმევს, ვინც მას ბოროტად მოიხმარს, რათა მისი უსამართლობის იარაღი განაქარვოს. ხოლო სნეულებას მასზე მოაწევს, ვისთვისაც ასე სჯობია, რათა სხეულის ასონი შეკრული ჰქონდეს და ცოდვის ჩადენა ვერ შეძლოს. ასევე, სიკვდილი მასზე მოიწევა, ვისი ცხოვრებაც იმ ზღვარს მიაღწევს, რომელიც ღმრთის უზენაესი სამართლით პირველითგანვე არის დადებული; ღმერთი კი ადრიდანვე ხედავს, თუ რა არის თითოეულისთვის უმჯობესი. ხოლო ომები, გვალვები, წყალდიდობები, ეპიდემიები და სხვა მსგავსი განსაცდელები ხალხებს მათი უზომო უკეთურობის გამო შეემთხვევათ. როგორც ქველმოქმედმა ექიმმა რომელიმე სნეულების განსაკურნავად, შეიძლება ადამიანს მძიმე ტკივილი მიაყენოს (მაგალითად, ქირურგიული ჩარევის დროს), ასევეა სახიერი უფალიც – მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად ადამიანებს ასეთი სახის სატანჯველებს უგ-

[10] საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2013. კარი სარწმუნოებისა, თბ., 2018.

ზავნის, რათა მათი უკეთურობანი დააცხროს.

ამრიგად, ღმერთი კი არ არის მიზეზი ბოროტებისა, არამედ – კაცი, რომელიც თავისუფალ ნებას ცოდვისაკენ მიდრეკს და სიკეთის მოკლებით წარმოშობს ბოროტებას. ახლანდელი ეპიდემიის გავრცელების მიზეზიც ჩვენსავე თავში უნდა აღმოვაჩინოთ და მის დასამარცხებლად არა ახალი ვაქცინის გამოგონებას დაველოდოთ, არამედ გულწრფელად განვიხილოთ ჩვენი ცოდვები და ჭეშმარიტ მხსნელს შევღაღადოთ: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი!

27.05.2020



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

პანდემიურ რეგულაციათა მორალური ხარვეზები *

ჩვენ, საზოგადოება, თანდათან ვსწავლობთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური წყობილება, რომელსაც დემოკრატიას უწოდებენ, აღვირახსნილი მედიის სიცრუისა და უზნეობისაგან ვერ გვიცავს. ამიტომ ამ მძლავრი ზემოქმედებისგან თავის დასაცავად, ანუ გარკვეული მედია-საშუალებებისა და პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობათა შედეგის მიღებამდე, პასუხისმგებლობა მომავალზე ხელისუფლებასთან ერთად ჩვენც უნდა გავინაწილოთ. მით უმეტეს, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია უჩინარი და გავლენიანი ძალების შესახებ, რომელთაც თავიანთი ლიბერალური იდეოლოგიის სისტემა შექმნეს და გამორიცხული არ არის, რომ პანდემიურ შეზღუდვებსაც თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა მიღებაზეც გარეშე ძალები რომ არ ახდენდეს ზემოქმედებას, რასაკვირველია, არც ლოგიკურად წარმოქმნილი ეჭვები იარსებებდა. ეჭვებს აღრმავებენ თვით მეცნიერებიც, რომელთა აზრით, კოვიდ-19 არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნურად შექმნილი ვირუსია. მაგ., მათ შორისაა ნობელის პრემიის ლაურეატი, იაპონელი პროფ. ტასუკუ ჰონძო. თუ ასეა, მაშინ არც პანდემიით მართული გლობალური პროცესის უარყოფა შეიძლება, რაც გარდაუვალ საყოველთაო კატასტროფას მოასწავებს და ყველასთვის ერთნაირად აახლოებს აპოკალიფსურ ჟამს, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ინფექცია ბუნებრივად გავრცელდა და მოქალაქეთათვის

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 25-26.01.2021.

დადგენილი შეზღუდვები ყველამ უნდა დავიცვათ, მაშინ შესაბამისი სამსახურებისგან პასუხსაც უნდა ვიღებდეთ ბუნებრივად წამოჭრილ შეკითხვებზე; თუმცა, ვითვალისწინებთ იმ რეალურ ვითარებასაც, რომ ჯანმოს ინსტრუქციებს პატარა საქართველოს მთავრობა წინ ვერ აღუდგება და გლობალური პრობლემების არსს საზოგადოებას სრულყოფილად ვერ განუმარტავს. დაე, ეს შეკითხვები მხოლოდ ფაქტების ასახვას მოემსახუროს, რათა ვინმეს არ ვაფიქრებინოთ, რომ ჩვენი ზარმაცი გონება დამოუკიდებლად ვეღარ მუშაობს და ყველა შემოთავაზებულ მოთხოვნას მექანიკურად ასრულებს.

1. ცნობილია, რომ **პანიკა**, ანუ უეცარი შიშით გამოწვეული მღელვარება, ავადმყოფის მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს. ამჯერად არაფერს ვამბობთ ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის მოუზომავ გამონათქვამზე, მაგრამ ერთ-ერთი დამთრგუნველი რეგულაციის მიზანშეუწონლობაზე საუბარი აუცილებელია. სამთავრობო კოვიდ-რეკომენდაციების საიტზე ინფიცირებული ადამიანის **გარდაცვალებისა და დაკრძალვის წესების შესახებ** ინფორმაცია განთავსებული არ არის, მაგრამ სპეციალური სამსახურების მიერ ცხედრის იზოლირების ახალი წესი საზოგადოებისთვის ცნობილია.

პროცედურის მიხედვით, სკაფანდრიანი მესაფლავენი საავადმყოფოში ან ბინაში კოვიდით აღსრულებულის ცხედარს საგანგებოდ დახუფული კუბოთი ოჯახის წევრებს გადასცემენ; ისე, რომ ჭირისუფლები არც კუბოში მიცვალებულის ჩასვენებას ესწრებიან და შემდგომ არც მისი გახსნის უფლება აქვთ. ამასთან, განსაზღვრულია ვადაც ავადმყოფის გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე, კერძოდ იგი 72 სთ-ის განმავლობაში უნდა დაიკრძალოს. ამგვარ კონსპირაციას პრევენციული ღონისძიებითა და საზოგადოებაზე მზრუნველობით ამართლებენ, რათა ცელოფანში შეხვეული ცხედრიდან ვირუსის გავრცელების შესაძლებლობა გამოირიცხოს. თუ ასეა, მაშინ კოვიდს დამოუკიდებლად ფრენა ან ხტომა შეძლებია და მისი გადაადგილებისთვის სხვა მამოძრავებელი (ცოცხალი ადამიანი) არც ყოფილა საჭირო.

აქედან გამომდინარე, ე.ი. თუ ვირუსის ავტონომიურობას ვაღიარებთ, პირბადეები და პლასტმასის ფარები თავიანთ ფუნქციას ვერ შეასრულებენ და ახალი რეგულაციების გამოგონება გახდება საჭირო; მათ შორის ცხედართან დაკავშირებითაც. თუმცა, ამჟამად მიღებული წესების ავტორებმა თვით უწყიან, რომ დაინფიცირებული ადამიანი მხოლოდ დახველების ან დაცემინების შედეგად გამოყოფს რესპირა-

ტორულ წვეთებს, რომლებიც თავიანთი წონის გამო 1-2 მეტრზე შორს ვერ ვრცელდებიან.

ვფიქრობთ, დიდი გულისხმიერება არ სჭირდება იმის დანახვას, რომ მიცვალებულის იზოლირებისა და დაკრძალვის პანდემიური წესი სრულიად გაუმართლებელია და მხოლოდ პანიკის დანერგვასა და მის გაძლიერებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ეს რეგულაცია ცხედრის გაპატიოსნებისა და წესის აგების ქრისტიანულ ტრადიციასაც ეწინააღმდეგება, რადგან, საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით, რამდენიმე წესგანგება გვამთან უშუალოდ შეხებას ითვალისწინებს, რისი საშუალებაც მღვდელმსახურსა და ჭირისუფლებს არ ეძლევათ.

ცხედრისადმი ქრისტიანთა პატივისცემის ნიმუშად ეკლესიის ისტორიიდან ერთი ფაქტი შეიძლება გავიხსენოთ. მეორე საუკუნეში, **მარკუს ავრელიუსის** იმპერატორობის დროს, «იტალიის ოლქებში საშინელი ჭირი გავრცელდა. დამფრთხალი ადამიანები სიკვდილის შიშით თვით ახლობელთა მოვლა-პატრონობასაც კი ერიდებოდნენ, მაშინ, როცა ქრისტიანები არათუ ახლობელს, არამედ თვით მათდამი მტრულად განწყობილებსაც, რომელთაც სენი შეეყრებოდათ, თავგანწირვის ფასად უვლიდნენ, ხოლო გარდაცვლილებს მარხავდნენ».

მართალია, ქრისტიანთა კაცთმოყვარეობამ თავად მარკუსის წარმართულ მსოფლმხედველობაზე გავლენა ვერ მოახდინა, მაგრამ ჩვენც კერპთაყვანისმცემელებს ხომ ვერ დავემსგავსებით? სხვათა შორის, პანიკამ ისეთი გულგრილობა წარმოშვა, რომ ზოგჯერ კარის მეზობელი კოვიდ-ინფიცირებულისთვის წყლის მიწოდებასაც ვერ ბედავს! მაშ, რაღა რჩება იმ თვისებათაგან, რომელთა წყალობითაც ადამიანებად ვიწოდებით?!

უსაფუძვლო პანიკაზე მეტყველებს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის უცვლელობაც. **საქსტატის ინფორმაციის მიხედვით**, 2020 წლის პირველი ნახევრის მონაცემებში გარდაცვლილთა რიცხოვნობა საშუალო მაჩვენებელს არ აღემატება. კორონა მომსვრელი სენის კატეგორიას რომ განეკუთვნებოდეს, ბუნებრივია, იგი სიკვდილიანობის რიცხვს შესამჩნევად გაზრდიდა.

2. მედიკოსები გვარიგებენ, რომ კორონავირუსის გადამდები უბნებია – პირი, ცხვირი, თვალი და ყური. მაშინ რატომ დაწესდა კატეგორიული მოთხოვნა პირბადის ტარებაზე? – ჯერ ერთი, იგი თვალსა და ყურს ვერ იცავს; მეორეც, პირბადის დანიშნულებაზე ერთმნიშვნელოვანი და სრულყოფილი ინფორმაცია საზოგადოებას არ აქვს;

ხოლო ის რეკომენდაციები, რაც აქვს, პრაქტიკულად განუხორციელებელია. მისი, როგორც **ფსიქოლოგიური აღვირის**, ნეგატიური ფუნქციაც ახსნას მოითხოვს. საკამათო არ არის, რომ პირბადე ადამიანის ემოციურ განწყობას ნიღბავს და ცოცხალი ურთიერთობის სურვილს ამცირებს; ე.ი. იგი გრძნობების გამოხატვასა და აზრთა გაზიარებას ხელს უშლის, რაც დროთა განმავლობაში მიგვიყვანს ახალი, პირბადიანი ადამიანის ტიპის ჩამოყალიბებამდე, რომელიც ყოველგვარი მეგობრული, ნათესაური თუ სოციალური პრობლემებისადმი გულგრილი და უინტერესო იქნება. რა სჯობს, კოვიდით დაავადება თუ სულიერად გაღატაკება ინდიფერენტიზმით?

3. იმავე შედეგამდე მიგვიყვანს **სასწავლო პროცესების შეჩერება**, როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა იმისა, რომ ცოცხალი ურთიერთობის გარეშე საფუძვლიანი ცოდნის შეძენა პრაქტიკულად შეუძლებელია, ახალგაზრდები ერთმანეთთან მეგობრობისა და ერთმანეთით გამდიდრების ძვირფას პერიოდს, რომელიც მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენისა და პიროვნულ თვისებათა განმტკიცების საფუძვლად უნდა იქცეს, ელექტრულ, ცივ და უსიცოცხლო მოწყობილობებთან «ონლაინ რეჟიმში» ატარებენ. რა სჯობს, უცოდინარი, უმეგობრო, ცხოვრებაში განუწვრთნელი მომავალი თაობა თუ მოყვასის ჭირის გამზიარებელი, განსაცდელისა და სნეულების წინაშე დაუმფრთხალი ახალგაზრდები?

რასაკვირველია, გამოჩნდებიან ოპონენტები, რომელნიც «საზოგადოებრივი იმუნიტეტის» ან შვედური მეთოდის აპოლოგიაში დაგვადანაშაულებენ. პრინციპულად ისინი მართალნი იქნებიან, მაგრამ არგუმენტები შეზღუდვათა წინააღმდეგ ჩვენსა და შვედური მეთოდის მხარდამჭერთა შორის არსებითად განსხვავდება. ადვილი შესამჩნევია, რომ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებს ჩვენ საერთოდ არ შევხებივართ, ჩვენ აქცენტი მოვლენათა მორალურ შეფასებაზე გადავიტანეთ, რომელიც, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია; ვინაიდან საღმრთო სამართალით თუ ვიხელმძღვანელებთ, **ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სიწმინდის დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზრუნვა სხვა ამქვეყნიურ პრობლემებზე.**



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

ხმა სინდისისა *

ჩვეულებრივ, არჩევნების წინ პარტიები თუ ცალკეული კანდიდატები მოგვიწოდებენ – ხმა მივცეთ სამართლიანობას, კეთილდღეობას, უკეთეს მომავალს და მისთ., ხოლო ყოველი დანაპირების აღსრულებაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებენ, თუმცა გამოცდილებით ვიცით, რომ მათი აღსრულება ყველას არ ხელეწიფება. ახლაც ასეა, სუბიექტიც ბევრია და ლოზუნგიც, მაგრამ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ძირითადი მოასპარეზე მხოლოდ ორია – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მასთან მიერთებულ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად.

პირველის მთავარი წარმომადგენელია სამშობლოს დიდი მოამაგე **ბიძინა ივანიშვილი,** ხოლო მეორესი – ასოციალური ემიგრანტი და სისხლის სამართლის დამნაშავე **მ. სააკაშვილი.** ზნეობრივი კანონებისა და ახლო წარსულის გათვალისწინებით, მთელი საზოგადოებისთვის თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს, მაგრამ არსებობს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომელნიც განსხვავებული მორალური კატეგორიებით სარგებლობენ და მოვლენათა ავკარგიანობას საკუთარი შკალის მიხედვით ზომავენ.

ჩვენ, ამჯერად, არ ვგულისხმობთ მედროვე, ანგარებიან ან ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს, რომელთა ცნობიერებას შური და ბოროტება აბნელებს, ხოლო მათ საქციელს არა გონების მოქმედება, არამედ ქვეცნობიერი მისწრაფება და ცხოველური ინსტიქტი განსაზღვრავს, რადგან დარწმუნებული ვართ, დიდი მცდელობის შემთხვევა-

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 27-28.10.2020.

შიც, ამ პირთა მიმართ ლოგიკურად მსჯელობას სასარგებლო შედეგი მაინც არ მოჰყვებოდა. ამიტომ ჩვენ გვინდა გამოვყოთ მცირედ მორწმუნე საზოგადოების ის მერყევი ფენა, რომელიც აცნობიერებს შექმნილ ვითარებას, მაგრამ მორალურად სწორი პოზიციის შენარჩუნებისათვის ძალა არ ჰყოფნის. ჩვენი აზრით, ამ უძლურებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. **ცრუ ინფორმაციის სიუხვე.** მიუხედავად იმისა, რომ სულიერად ჯანმრთელ ადამიანს ნაცურ-ლიბერალური მედიის სიყალბისა და მიზანდასახულობის გარკვევა არ უჭირს, ზოგიერთს მათი სატელევიზიო არხებიდან ნიაღვარივით გადმომსკდარ სიცრუეთა სიმრავლესთან შინაგანი პროტესტით გამკლავება არ შეუძლია და თავს იმით იმშვიდებს, უფრო სწორად – იმით იტყუებს, რომ მედია საზოგადოების აზრს გამოხატავს და თვითონაც ძალაუნებურად მას უნდა ითვალისწინებდეს. ასეთი სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანი ისეა მიჯაჭვული ტელევიზორს, მისი გამოთიშვის ძალა არ შესწევს.

2. **ცრუ სტერეოტიპი.** ახლა არავითარ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ნახევარი საუკუნის წინანდელი პოლიტიკური მოვლენები, როცა ამერიკულმა სპეც-სამსახურებმა, საბჭოთა კავშირის დაშლის მიზნით, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნების გადაბირება და მათი ხელშეწყობით იდეოლოგიური სტერეოტიპების გავრცელება დაიწყეს. ერთ-ერთი დირექტივა არსებული ხელისუფლებისადმი კრიტიკულ განწყობას ითვალისწინებდა, რაც პატივით გაამაყებულმა და თავმომწონე ინტელიგენციამ სიამოვნებით აიტაცა და ლოზუნგად აქცია დღემდე უჭკნობი ცრუ დებულება: ნამდვილი ინტელიგენტი ოპოზიციონერი უნდა იყოს.

მართალია, ბოლო დროს ეს გამონათქვამი არავისგან მსმენია, მაგრამ ცრუ სწავლულთა მედიდური კლასი ყველაფერს, მათ შორის მთავრობასა და იერარქიას, ისევ ზემოდან დაჰყურებს და თავისი წილი ნეგატიური მუხტი შეაქვს სოციალურ გარემოში.

ჩვენ მხოლოდ ქრისტიან ადამიანებს შევახსენებთ, თუ რას შევთხოვთ უფალს ჩვენი ხელისუფლებისა და ჯარისათვის ყოველ ცისმარე დღეს: «გარეშეზღუდენ მპყრობელობანი მათნი და დაუმორჩილენ ქუეშე ფერხთა მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და შთაუთხრენ გულთა შინა მათთა კეთილი და მშვიდობაჲ წმიდისა

ეკლესიისათვის და ყოვლისა ერისა შენისა და მიეც მათ მშვიდობაჲ და დაწყნარებაჲ, რაჲთა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული ცხოვრებაჲ გუაქუნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა ვცხოვრობდეთ».

მეტს არაფერს ითხოვს მორწმუნე კაცი; მთავრობისა და მხედრობის მიერ მშვიდობით დაცული ქვეყანა და დაწყნარებული ქრისტიანული ცხოვრება უდიდესი წყალობაა ღმრთისა, ყველა დანარჩენ საჭიროებაზე კაცმა თვით უნდა იზრუნოს. ხოლო უმადურობამ გონება თუ ისე დაგიბნელა, რომ ამ აწრიალებულ დედამიწაზე მშვიდობიანად და ქრისტიანული ცხოვრებისთვის საქართველოს მთავრობის მადლიერი არ ხარ, ე. ი. უფლის მცნებებს დაშორებიხარ და საკუთარ ამბიციებს აღმერთებ!

3. **ცრუ სამღვდელოება.** გასაკვირი არ არის, რომ თითქმის ყოველი ქართველი მოქალაქე, ეკლესიურიცა და მცირედ მორწმუნეც, სასულიერო დასის წევრთაგან მართალსა და იმედისმომცემ სიტყვას ელის. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, შეუმცდარი და უცოდველი არც სასულიერო პირია (სხვა საქმეა, როცა იგი თავშეუკავებელი პოლიტიკური განცხადებით საეკლესიო კანონიკას არღვევს. დანაშაულისთვის თავის დროს ყველას მოეკითხება); მეორეც, ნაც-პროფილის მედია-საშუალებები «ვითარცა ლომნი მყვირალნი» ეძებენ მართლმადიდებელი ეკლესიის სახელის გასატეხ მასალას და ცალკეული მღვდელმთავრისა თუ მღვდლის მოუზომავ სიტყვას ისე წარმოაჩენენ, თითქოს იგი მთელი ეკლესიის ან მისი საჭეთმპყრობლის თვალსაზრისს გამოხატავდეს.

მისმა უწმიდესობამ ბოლო დროს არაერთხელ ბრძანა, რომ განსაცდელიც მადლიერებით უნდა მივიღოთ, ვინაიდან ღმრთის განგებულების გარეშე არაფერი ხდება; ხოლო რაიმე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში რისხვა ხელისუფლებაზე არ გადავიტანოთ და არ დავიჯეროთ, რომ მის წარმომადგენელთ ნაკლებად შესტკივათ გული სამშობლოზე, ვიდრე ჩვენ. დავუკვირდეთ, გულმწყრალი კაცი ზემდგომს ხშირად იმიტომ ადანაშაულებს, რომ თვით გაითავისუფლოს თავი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და უმწიკვლო პერსონად წარმოჩნდეს.

მოგეხსენებათ, ქართველი სამღვდელოება უცხოეთშიც მსახურობს. ადგილობრივი კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, ისინი

ამერიკისა თუ ევროპის პრეზიდენტებს, მონარქებს ან პრემიერ-მინისტრებს საეკლესიო ლოცვებში პერსონალურად მოიხსენიებენ. მაშასადამე, საერო ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლის, თუნდაც არამართლმადიდებლის, სახელდებით მოხსენიება სავალდებულოა; ჩვენთან კი მხოლოდ «მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის» ვლოცულობთ. ამ ფაქტით ზოგიერთ ღმრთისმსახურს უბრალოდ შევახსენებთ, რომ მთავრობის კეთილგანწყობას დაფასება სჭირდება, თორემ დევნის ან შევიწროების შემთხვევაში, თვით ამ მსახურებმა უკეთ უწყიან, ლოცვა ვისთვის შეიძლება აიძულონ!

4. სინდისის ჩამხშობი საშუალებები. ყველას სმენია ქართული სიტყვები: სინდისგარეცხილი, სინდისდამწვარი, ნამუსგარეცხილი... ეს ზედსართავი სახელები გამოიყენება იმ კაცის მიმართ, ვინც დაბადებიდან თანდაყოლილი ანუ მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისება – სინდისიერება – საკუთარ თავში ჩაკლა და ჩაახშო. იგი აღარ წუხს თავის უმსგავსო საქციელზე და, თავისთავად, არც სინანულის გრძნობა აქვს.

ქრისტიანული მოძღვრება სინდისს უფლის ხმას, «პატარა ღმერთს» უწოდებს, რომელიც ადამიანს, როგორც ღმრთის ხატს, შემოქმედისგან უზრუნველად და უსწავლელად აქვს მინიჭებული სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან განსასხვავებლად. მისი დაკარგვის შემდეგ ზნეობრივ საკითხებზე საუბარი ადამიანთან თითქმის შეუძლებელია, პოტენციურად იგი ჯოჯოხეთის მსხვერპლს წარმოადგენს, მაგრამ პასუხისმგებლობა ამ შედეგის მიღებისთვის მხოლოდ მას ეკისრება, ვინაიდან მან სინდისის ძახილს ყური არ მიუგდო და ეშმაკის შეგონებით საკუთარი თავიდან ღმერთი სრულიად განდევნა.

მერყევი ადამიანების დასახმარებლად სინდისის ჩამხშობი საშუალებები ანუ სწორი არჩევანის დამაბრკოლებელი ფაქტორები ზემოთ იმიტომ მიმოვიხილეთ, რომ გვეჩვენებინა ბოროტი სულის საბრძოლო იარაღის ერთადერთი სახეობა, რომლის სახელია სიცრუე. თუ კაცი ემონება ეშმაკის მანქანებას და შემწეობისთვის უფალს არ უხმობს, მისი სინდისიც თანდათან ირეცხება და სანდო ხმას აღარ გამოსცემს. ამიტომ დროზე უშველეთ თქვენს თავს, მცირედ მორწმუნენო, და ნურც ქვეყნის დაღუპვას მისცემთ ხმას!

ბოლო სიტყვებმა გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, განვმარტავ, მე პარტიების პოლიტიკურ პროგრამებს არ ვაანალიზებ, არამედ მხ-

ოლოდ მათი რეალური საქმიანობიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ მათ შორის დაპირისპირება ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის და ამიტომ, ბერობის მიუხედავად, ჩემ თავს განზე გადგომის უფლებას არ ვაძლევ; ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, ასლების მოსაქსოვად «თორნიკეს ჯაჭვის პერანგი» ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარში ასვენია.

P.S. ვსარგებლობ შემთხვევით და, ჩემი მხრივ, უღრმეს მადლიერებას გამოვხატავ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში C–ჰეპატიტისგან განკურნების შესაძლებლობა მომცა და უსასყიდლოდ დაახ. 90 ათასი დოლარის ღირებულების მედიკამენტი გამომიყო. ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს მას ქართველი ერის კეთილდღეობისა და მტერთა ზედა ძლევისათვის!



ივანე სურგულაძე

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში[1]

საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნეში

საქართველო XVIII ს-ში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთი ვითარება საქართველოში შედეგი იყო სს-ის განმავლობაში მოქმედი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებისა. ჯერ კიდევ XIII ს-ში მსხვილმა ფეოდალებმა შესძლეს მეფის ხელისუფლების დამარცხება. მსხვილი ფეოდალების გამარჯვება ფეოდალური საქართველოს დანაწევრებას ნიშნავდა. მონღოლების ბატონობამ განამტკიცა ეს დანაწევრება. მონღოლები, რასაკვირველია, არ იყვნენ დაინტერესებული ძლიერი მეფის ხელისუფლების არსებობით საქართველოში და ისინი მფარველობას უწევდნენ ფეოდალებს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასთანავე, მონღოლების შემოსევამ რეგრესიული გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. შემდეგ სს-ში საქართველოს არ ასვენებდნენ დამპყრობლები და ანადგურებდნენ ქვეყანას. **თემურ-ლენგის** შემოსევამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს.

სისხლიანმა დამპყრობელმა საქართველოს მოსპობა განიზრახა. მისი ურდოები ველური სისასტიკით ანადგურებდნენ ქვეყანას. საქმე იქამდე მივიდა, რომ მტერი ანადგურებდა ვენახს, თუთის ხეებს და სხვ. თემურლენგი ანგრევდა და სწვავდა ქართული კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს. თემურის შემდეგ მრავლად დარჩა ნასოფლარი, რომლებიც შემდეგში აღარ აღდგენილა.

[1] ამონარიდები სახელმძღვანელოდან: ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1965. გვ. 282-401.

არანაკლები უბედურება მოუტანა საქართველოს **შაჰ-აბაზის** შემოსევებმა. შაჰ-აბაზმაც ქართველი ხალხის განადგურება გადაწყვიტა. ის შეუდგა აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებთა ამოჟლეტასა და ირანში გადასახლებას. ქართველების ნაცვლად შაჰ-აბაზი საქართველოში თურქმანებს ასახლებდა. შაჰ-აბაზის დროს ირანში გადასახლებული კახელები ახლაც ცხოვრობენ **ფერეიდანში**.

XV ს-დან საქართველოს უდიდესი საფრთხე შეექმნა **ოსმალეთის** მხრივ. ოსმალეთმა იგივე მიზანი დაისახა, რაც თემურ-ლენგმა და შაჰ-აბაზმა: საქართველოს მოსპობა. ოსმალეთმა შესძლო, საქართველოსთვის წაერთმია სამცხე-საათაბაგო, საქართველოს ეს მოწინავე კუთხე.

XVII ს-ში, განსაკუთრებით კი XVIII ს-ში, **დაღისტნელ** ფეოდალთა თარეშმა აღმოსავლეთ საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა. დაღისტნელ ფეოდალთა ბანდები მალულად მოდიოდნენ და პატარ-პატარა ყაჩაღური რაზმებით თავს ესხმოდნენ სოფლებს. მწარმოებელი კლასის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. დაღისტნელ ფეოდალებს ზურგს უმაგრებდა ოსმალეთი, ამარაგებდა მათ, აძლევდა თავშესაფარს ახალციხეში და სხვ.

ქართველ ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უხდებოდა მოზღვავებულ მტრებთან. ოსმალეთი და ირანი, ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი, მაგრამ დიდი სახელმწიფოები იყვნენ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხდა და ქვეყანა „ჩიხში“ მოექცა. ამ ეკონომიკური „დაჩიხულობის“ ერთ-ერთი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში გავრცელდა **ტყვეთა სყიდვა**. ტყვეებით ვაჭრობას ეწეოდნენ ფეოდალები, რომლებიც თავიანთ ყმებს ყიდდნენ ოსმალეთსა და სპარსეთში. თავისთავად ტყვეების ყიდვა-გაყიდვის გავრცელება მომასწავებელი იყო ეკონომიკური კრიზისისა. შექმნილ ვითარებაში ფეოდალი ამჯობინებდა ყმის ექსპლოატაციის ნაცვლად მის საზღვარგარეთ გაყიდვას. მაშასადამე, ყმის საზღვარგარეთ გაყიდვა ფეოდალური მეურნეობისათვის უფრო რენტაბელური შეიქნა, ვიდრე მისი მეურნეობაში გამოყენება. სწორედ ეს არის ფეოდალური მეურნეობის კრიზისი. მწარმოებელი კლასის წარმომადგენელთა საზღვარგარეთ გაყიდვით ფეოდალი ძირს უთხრიდა ფეოდალურ საზოგადოებას საერთოდ. ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის გავრცელება საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნიდა მთლიანად საზოგადოებას, მის ფიზიკურ არსებობასაც კი. ამიტომ იყო, რომ გვიანფეოდალური საქართველოს მოწინავე ნაწილი თავგამოდებით იბ-

რძოდა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ.

ამასთანავე საზოგადოების ეს პროგრესული ნაწილი კარგად ხედავდა საქართველოს მძიმე მდგომარეობას და შეგნებული ჰქონდა, რომ საკუთარი ძალებით საქართველოს, პოლიტიკურად დანაწილებულს, გარშემორტყმულს ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი და საქართველოსადმი მტრულად განწყობილი მეზობლებით, არ ძალუძდა კრიზისის გადალახვა. ფეოდალური საქართველოს მოწინავე ადამიანებს კარგა ხანია უკვე **რუსეთზე** ჰქონდათ ორიენტაცია აღებული და რუსეთის დახმარებით ვარაუდობდნენ ბარბაროსული გარემოცვის გარღვევას.[2]

საქართველოს მაშინდელ მესვეურებს მართებულად ჰქონდათ შეფასებული საერთაშორისო ვითარება და შექმნილ სიტუაციაში სწორედ რუსეთს მიიჩნევდნენ იმ ძალად, რომელიც შესძლებდა საქართველოს რეალურ დახმარებას.

რუსეთის წარმომადგენლის (საქართველოში) **ბურნაშევის** სიტყვით, ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II** ყოველნაირად ცდილობდა ქართველი ხალხის ევროპულად განათლებას. ამის განხორციელება კი შესაძლებელი იყო რუსეთის საშუალებით. XVIII ს-ის II ნახევარში თანდათანობით გამოირკვა, რომ რუსეთს აქვს საკუთარი ინტერესები კავკასიაში, რომ ის იბრძვის თურქეთისა და ირანის ამიერკავკასიიდან გაძევებისთვის და ამასთან დაკავშირებით მას შეუძლია რეალური დახმარება გაუწიოს ამიერკავკასიის ხალხებს, რომლებიც ებრძოდნენ ირანსა და ოსმალეთს თავიანთი ეროვნული მეობის შენარჩუნებისთვის. რასაკვირველია, რუსეთის დახმარება ამიერკავკასიის ხალხებისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ რუსეთი თავისი იმპერიის საზღვრების გაფართოებისთვის იბრძოდა. მართალია, რუსეთი მიიწევდა ამიერკავკასიაში აღმოსავლეთის ქვეყნების დასაპყრობად, მაგრამ ამავე დროს მისი შემოჭრა ამიერკავკასიაში ობიექტურად ნიშნავდა ამიერკავკასიის ხალხების მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას. პირველ ყოვლისა, რუსეთი თავისი კულტურით გაცილებით მაღლა იდგა საქართველოს სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებზე. რუსეთის შემოსვლა ამიერკავკასიაში ნიშნავდა ამიერკავკასიის ხალხების გათავისუფლებას ბარბაროსული სახელმწიფოების ბატონობისაგან და ამიერკავკასიის ხალხების ევროპულ კულტურასთან დაახლოებას.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, ჟურ. „მნათობი“, 1954, წ., №6.

დიდი ილია საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ სწერდა: „ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა დ აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან“.[3]

შუა სს-ში ყოველგვარი ბრძოლა რელიგიის დროშით მიმდინარეობდა. საქართველო გარშემორტყმული იყო მუსლიმური სახელმწიფოებით, რომლებიც ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლასთან აიგივებდნენ. შუა სს-ში ქართველი ხალხიც ქრისტიანობის დროშით იცავდა თავს დამპყრობლებისაგან.

იესე ოსეს ძე წერს: „აღდგნენ ყოვლის მხრით მოჰმედიანნი – ქრისტიანეთა ამოსაწყვეტად, – შეითქნენ: მთლად დაღისტანი, ხონთქარი დაფარვით ხაზინასაც ჰპირდება და ჯარსაც: მთლად ადირბეჟანი... ლაშქარს დაგვიძახეს... მე წავალ (ლაშქარში – ი. ს.)... სიკვდილისა არ მეშინიან, მეტად ახლა, რომ ქრისტესათვის გვებრძვიან“.[4]

ქრისტიანულმა რელიგიამ ხელი შეუწყო ქართველი და რუსი ხალხების დაახლოებას. მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში ქრისტიანობას არ ჰქონდა გადამჭრელი მნიშვნელობა. რუსეთ-საქართველოს მთავრობათა დამოკიდებულების განმსაზღვრელი სხვა იყო. რუსეთის საერთო მდგომარეობა XVIII ს-ის ბოლო ხანებში ისეთი იყო, რომ მას უკვე შესწევდა ძალა თავისი სახელმწიფოს გაფართოების მიზნით ამიერკავკასიიდან თურქეთისა და ირანის განდევნისა. საქართველოს მდგომარეობა კი ისეთი იყო, რომ მას კრიზისიდან გამოსვლა საკუთარი ძალებით არ შეეძლო, ხოლო გარეშე სახელმწიფოებიდან მხოლოდ რუსეთი იყო ისეთი, რომლის დახმარება გადაარჩენდა ქართველ ხალხს გადაშენებისგან და, მეორე მხრივ, შეუქმნიდა აღორძინების შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველომ XVIII ს-ში და მის წინ არაერთხელ მიმართა **ევროპის** სახელმწიფოებს დახმარებისთვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. **სულხან-საბა ორბელიანი** რომის პაპის მეშვეობით ამაოდ ცდილობდა საფრანგეთისგან დახმარების მიღებას მეზობელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ევროპის სახელმწიფოებს არ ჰქონდათ საშუალება, რეალური დახმარება აღმოეჩინათ საქართველოსთვის, მათ არ შესწევდათ სათანადო ძალა

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 216.

[4] „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“, ა. იოსელიანის რედაქციით, 1950, წ. გვ. 103.

კავკასიაში ბატონობის მოსაპოვებლად. XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთს კი საამისო საშუალება ჰქონდა და კავკასიის დასაპყრობად სათანადო ნაბიჯებსაც დგამდა.

ერეკლე II საბოლოოდ დაადგა რუსეთთან კავშირის გზას. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ერეკლე II მანიფესტი ქართველი ხალხისადმი 1773-74 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით. ამ მანიფესტით ერეკლე II მოუწოდებდა ქართველ ხალხს, ებრძოლა ქრისტიანული რუსეთის მხარეზე ისტორიული მტრის – ოსმალეთის წინააღმდეგ.[5] ამ მოწოდებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ერეკლეს აღნიშნული აქვს ოსმალეთის მტრობა ქართველი ხალხისადმი: ოსმალები, წერს ერეკლე, საუკუნეების განავლობაში იმის ცდაში იყვნენ, რომ მოესპოთ ქართველი ხალხი; დადგა დრო, როდესაც რუსეთთან კავშირში ჩვენ შევძლებთ ისტორიული მტრის დამარცხებას და ამისთვის არ უნდა დავიშუროთ ძალ-ღონეო.

იმაზე უკეთესის გაკეთება, რაც ერეკლემ რუსეთზე ორიენტაციის აღებით გააკეთა, არ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ ხალხს მოელოდა ფერეიდანის ქართველების ბედი, ან კიდევ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობასავით გათურქება. ქართველი ხალხი უდიდესი პატივისცემით ინახავს ერეკლე II ხსოვნას, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოს რუსეთთან დაკავშირება.

1783 წელს ქალაქ **გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი** რუსეთსა ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ტრაქტატს საქართველოს სახელით ხელი მოაწერეს **იოანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ,** ხოლო რუსეთის მთავრობის სახელით **პავლე პოტიომკინმა.**

ტრაქტატი დამტკიცებულ იქნა **ეკატერინე II** და **ერეკლე II** მიერ.

1783 წლის ტრაქტატის მიხედვით ქართლ-კახეთის ტახტზე მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი; ქართლ-კახეთის მეფე ინვესტიტურის მიღების შემდეგ ღებულობდა ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ამასთანავე ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე უხდიდა რუსეთის იმპერატორს გარკვეულ თანხას. ამგვარად, 1783 წლის ტრაქტატი ამყარებდა ქართლ-კახეთის ვასალურ დამოკიდებულებას რუსეთთან. ქართლ-კახეთის მთავრობამ გადაწყვიტა რუსეთის მფარველობაში შესვლა და ამით ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება (რუსეთის ფარგლებში). საუკუნეების განმავლობაში მიღებული

[5] ივ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, მე-18 საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ (ერეკლე II 1770 წლის მოწოდება), ჟურნ. „მნათობი“, №12, 1962 წ.

პრაქტიკიდან ქართლ-კახეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ოსმალეთთან ან ირანთან საერთო ენის გამონახვა მას არ შეეძლო.

1783 წლის ტრაქტატი ივალისწინებდა რუსეთის ჯარის შემოყვანას აღმოსავლეთ საქართველოში, უკანასკნელისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. XVIII ს-ის უკანასკნელ ხანებში რუსეთს შემოყავდა და გაყავდა ჯარები საქართველოდან და საერთოდ დიდ მზადებაში იყო. მას ჯერ კიდევ ნიადაგის მოსინჯვის ხანა ჰქონდა, ე. ი. ოსმალეთ-ირანის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა ამიერკავკასიის წასართმევად ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო. ამ სამზადისის დროს ირანი და ოსმალეთი კიდევ უფრო აგრესიული გახდნენ საქართველოს მიმართ. **აღა-მაჰმად-ხანმა** 1795 წელს თბილისი ააოხრა. მაშინ თბილისიდან რუსეთის ჯარები გაყვანილი იყო.

ირანის მიერ ქართლ-კახეთზე თავდასხმა რუსეთის პრესტიჟის საკითხსაც ეხებოდა. **ეკატერინე II** სასწრაფოდ გამოგზავნა საქართველოში ჯარები. მაგრამ ეკატერინე II სიკვდილის შემდეგ ეს ჯარები **პავლე I** ისევ გაიწვია.

1798 წელს **ერეკლე II** გარდაიცვალა; ტახტზე ავიდა **გიორგი XII.** მთელი მისი ყურადღება და ენერგია იქით იყო მიმართული, რომ რუსეთისა და ქართლ-კახეთის დამოკიდებულების საკითხი მოეგვარებია. პირველ ყოვლისა, გიორგი XII პავლეს გაახსენა 1783 წლის ტრაქტატი და მოითხოვა მისი განხორციელება. პავლე I მხრივ ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარების საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა და გიორგი XII თვითონვე გამოიჩინა ინიციატივა, რომ 1783 წლის ტრაქტატი გადასინჯულიყო და შეცვლილიყო ახალი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს უფლებები კიდევ უფრო შეიკვეცებოდა, მაგრამ ქართლ-კახეთის სახელმწიფო კი მაინც დარჩებოდა. გიორგი XII მეფობა გართულებული იყო, როგორც საგარეო, ისე შინაგანი ფაქტორებით და მას ეჩქარებოდა რუსეთთან ურთიერთობის საბოლოო განმტკიცება.

პავლე I-მა გიორგი XII-ის თხოვნის საფუძველზე საქართველოში გამოგზავნა რუსეთის ჯარის ნაწილები და გიორგი XII-თან რუსეთის ელჩად **კოვალენსკი** დანიშნა. 1799 წლის ნოემბერში კოვალენსკი რუსეთის ჯარით შემოვიდა საქართველოში. მეფე თავისი ამალით ქალაქის გარეთ შეეგება სტუმრებს. კოვალენსკის აღწერის მიხედვით, ეს შეხვედრა ამაღელვებელი იყო. რუსეთის ჯარს საქართველოში უდიდესი სიხარულით შეხვდნენ.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსეთი წინათაც იჩენდა მზრუნველობას საქართველოზე. ასე მაგალითად, 1800 წ. 27 ივლისის ინსტრუქციით, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია ითვალისწინებდა სპარსეთში რუსეთისა და საქართველოს ვაჭრების ინტერესების ერთნაირად დაცვას; ხოლო 1791 წელს **იასაში** ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო, რომ ახალციხის ფაშა არ შეაწუხებდა ქართლ-კახეთის სამეფოს.

პ. კოვალენსკი და რუსეთის ჯარების უფროსი საქართველოში გენ. **ლაზარევი** იმაზე მეტი უფლებებით სარგებლობდნენ, ვიდრე ელჩი აკრედიტებულ მთავრობასთან და ჯარების უფროსი სხვა სახელმწიფოში. პეტერბურგის კაბინეტი ავალებდა გენ. ლაზარევს, არ დაეშვა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ახალი მეფის ტახტზე ასვლა გიორგი XII გარდაცვლების შემთხვევაში. თუკი ასეთ დავალებას აძლევდნენ ლაზარევს, ალბათ, იმის იმედიც ჰქონდათ, რომ ამ დავალებას ლაზარევი შეასრულებდა.

პ. კოვალენსკის წერილიდან **კნორინგისადმი** ჩანს, რომ კოვალენსკის განუზრახავს თბილისში პოლიციის დაწესება რუსეთის ქალაქების მსგავსად. პ. კოვალენსკი ამის შესახებ წერს, რომ გიორგი XII თვითონვე სთხოვა დახმარების აღმოჩენა წესრიგის დამყარებაში და ამისთვის მეფემ თავის მხრივ ამ საქმის მოსაგვარებლად თავისი შვილი **იოანე** ჩემთან მოამაგრაო. ამ დროისთვის გიორგი XII საბოლოოდ ჩავარდნილი იყო ლოგინად.

გიორგი XII დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის მთავრობიდან აქტიურ მოქმედებას ამიერკავკასიაში. მეფე ჩქარობდა და ამისი საფუძველიც ჰქონდა. რუსეთის ჯარების საქართველოში გამოჩენამ კიდევ უფრო გაამწვავა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულება ირანსა და ოსმალეთთან. ამასთანავე, გიორგი XII ძმები, ტახტის პრეტენდენტები ირანისა და ოსმალეთის დახმარებით ცდილობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ხელში ჩაგდებას. სამეფოს შიგნით ძმები ებრძოდნენ გიორგის და მოითხოვდნენ მისგან ერეკლე II ანდერძის შესრულებას. თავისი მეფობის უკანასკნელ ხანებში ერეკლე II მართლაც შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით იცვლებოდა საქართველოში ძველად არსებული მემკვიდრეობის წესი, რომ სამეფო ტახტზე ასულიყო გარდაცვლილი მეფის უფროსი ვაჟი. ამის ნაცვლად ერეკლე II-მ გიორგი XII-ის ძმებისა და თავისი მეუღლის **დარეჯანის** ზეგავლენით შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით სამეფო ტახტი გადადიოდა ძმებზე – უფროსიდან უმ-

ცროსზე, ხოლო ძმების შემდეგ უფროსი ძმის უფროს შვილზე, შემდეგ მომდევნო ძმის უფროს შვილზე და ასე შემდეგ. გიორგი XII ტახტზე ასვლისას იძულებული იყო დათანხმებოდა ამ ანდერძზე, მაგრამ შემდეგში პავლე I-ს მოსთხოვა ტახტზე თავისი შვილის დავით გიორგის ძის დამტკიცება. დამოკიდებულება ძმებს შორის გამწვავდა და სამეფოში სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა.

ასეთ ვითარებაში გიორგი XII სთხოვდა პავლეს მიეღო ქართლ-კახეთის სამეფო, ვითარცა რუსეთის პროვინცია, ოღონდ სამეფო ტახტი ბაგრატიონებისთვის დაეტოვებინა.

გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და **ელიზბარ ფალავანდიშვილმა,** როგორც გიორგი XII რწმუნებულებმა პეტერბურგში რუსეთის მთავრობას გადასცეს გიორგი XII ე. წ. სათხოვარი პუნქტები. გიორგი XII იმეორებდა თავის თხოვნას, რომ ქართლ-კახეთის სამეფო შეერთებულ იქნეს რუსეთთან, რომ საქართველოში მოქმედებდეს რუსეთის კანონები, ქართლ-კახეთის სამეფოს ციხეებში იდგეს რუსეთის ჯარები, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი დარჩეს მემკვიდრეობით მასა და მის შვილებს, ფული გამოშვებულ იქნეს ქართული და რუსული გერბებით და სხვ. რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა გიორგი XII წარდგენილი პუნქტები და გამოუგზავნა **კნორინგს** შეკითხვა, თუ რამდენი ჯარი იყო საჭირო ქართლ-კახეთის სამეფოს დასაჭერად.

რუსეთის მთავრობამ შეატყობინა კნორინგს, რომ მან მიიღო გიორგი XII წინადადება ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ და გამოაგზავნა თბილისში გიორგი XII-ის წარმომადგენელი – ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, რომელთაც ევალებოდათ, ეუწყებიათ გიორგისთვის რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება და, ამასთანავე, წამოელოთ პეტერბურგში გიორგის პასუხიც. რუსეთის მთავრობა ავალიშვილისა და ფალავანდიშვილის დარუნებას პეტერბურგში ვარაუდობდა 1801 წლის თებერვალში, ხოლო ამავე წლის აპრილში განზრახული ჰქონდათ, ქართლ-კახეთში შეეყვანათ საჭირო რაოდენობის ჯარი ქვეყნის დასაკავებლად. ამასთანავე, რუსეთის მთავრობა აფრთხილებდა კნორინგს, რომ არავითარი ცვლილება ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე არ მომხდარიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ გიორგი გარდაიცვლებოდა, ტახტზე სხვა არ დაეშვათ. კნორინგი თავის მხრივ თბილისში მყოფ ლაზარევს აფრთხილებდა ამის შესახებ.

გარდამავალი პერიოდი ქართლ-კახეთის მმართველობაში

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი მეფე **გიორგი XII** და ამ დროიდან დაიწყო სამეფოს მმართველობის გარდამავალი პერიოდი. 1800 წლის 29 დეკემბერიდან 1801 წლის 15 იანვრამდე, ე. ი. 18 დღის განმავლობაში თითქოს გრძელდებოდა გიორგის მეფობა: საქმიან ქაღალდებს ხელს აწერდნენ **იოანე ბაგრატიონი,** მეფის მდივანი **ეგნატე თუმანიშვილი** და გენ. **ლაზარევი.** ფაქტობრივად, სამეფოს ლაზარევი განაგებდა, ხოლო იურიდიულად უფლისწული იოანე, მეფის მდივანი ეგნატე თუმანიშვილი და გენ. ლაზარევი. გენ. ლაზარევი თავის მოხსენებაში კნორინგისადმი ასაბუთებდა, რომ იოანე ყველაზე სანდო და დაახლოებული პირი იყო გარდაცვლილი მეფისა. ასეთივე იყო ეგნატე თუმანიშვილი. მეფის დროს მის სურვილს სწორედ ეს ორი პირი ახორციელებდა, ამიტომ სწერდა ლაზარევი კნორინგს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალე ამ წესით მმართველობაო. ამასთანავე გენ. ლაზარევი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, რომ სხვა მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო. ლაზარევის მოხსენებიდან ირკვევა, რომ **სოლომონ ლიონიძეს** მოუნდომებია **დავით** უფლისწულის მეფედ გამოცხადება, მაგრამ გენ. ლაზარევს ეს არ დაუნებებია.

ჩვენ ვთქვით, რომ 18 დღის განმავლობაში ქართლ-კახეთის მმართველობაში მონაწილეობას იღებდა **იოანე ბაგრატიონი.** იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ენციკლოპედიური შინაარსის ნაშრომი **„კალმასობა“**. ამასთანავე, მასვე ეკუთვნის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების პროექტი, რომელიც მეტად საყურადღებოა. მასში მოცემულია იოანეს პროგრესული შეხედულებანი სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა საკითხზე. იოანეს, ისე როგორც მაშინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილს, კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ საჭიროა კარდინალური ცვლილებების შეტანა ქართულ სახელმწიფოებრივ წყობილებაში, რომ ამ ცვლილებათა გარეშე შეუძლებელია რაიმე პროგრესული ღონისძიების განხორციელება. იოანემ ეს პროექტი წარუდგინა თავის მამას 1799 წელს, მეფემ ის კიდეც მოიწონა, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება არ დასცალდა.

ამ პროექტში იოანე ბაგრატიონი დიდ ყურადღებას აქცევს ცენ-

ტრალური ხელისუფლების გაძლიერებას და მსხვილი ფეოდალების ალაგმვას.[6] რასაკვირველია, ასეთი ღონისძიება ძლიერ სასარგებლო იქნებოდა სამეფოსათვის. ამის შესახებ იმიტომ გვაქვს საუბარი, რომ იოანეს, **ეგნატე თუმანიშვილსა** და **გენ. ლაზარევთან** ერთად მოუხდა ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობა, მაგრამ ეს მონაწილეობა მეტად ხანმოკლე იყო და იოანეს მოღვაწეობა კი მეტად შეზღუდული. მას არც შეეძლო თავისი პროექტის რაიმე ნაწილის ცხოვრებაში გატარება, რადგან მისი პროექტი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმებისთვის იყო გათვალისწინებული, მაშინ, როდესაც საკითხი იდგა ამ სახელმწიფოებრივი წყობილების ლიკვიდაციისა.

გიორგი XII რწმუნებულების – **ავალიშვილისა** და **ფალავანდიშვილის** თბილისში დაბრუნებისთანავე, გენ. ლაზარევმა შეკრიბა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა და გააცნო **პავლე I** მანიფესტი, რომლითაც დამტკიცებული იყო გიორგი XII სათხოვარი ქართ-კახეთის რუსეთთან შეერთებისა და ბაგრატიონებისთვის ტახტის შენარჩუნების შესახებ. ჯერ კიდევ 1799 წლის 19 ნოემბრის წერილში პავლე I ამტკიცებდა **დავით ბატონიშვილს** ტახტის მემკვიდრედ. ამასთანავე, 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტით, რომელიც ხელმოწერილი იყო პეტერბურგში და გამოგზავნილი კნორინგთან, ქართლ-კახეთი შემოერთებული იყო რუსეთთან, როგორც ჩვეულებრივი პროვინცია. ამ მანიფესტში სავსებით გვერდავლილი იყო ბაგრატიონების ტახტის საკითხი. კნორინგს ეს უნდა გამოეცხადებია თბილისში, როდესაც გიორგი XII და ადგილობრივი საზოგადოება რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცს მიიღებდნენ და მეფის რწმუნებულები ისევ რუსეთში დაბრუნდებოდნენ. მაგრამ კნორინგს მანიფესტი მიღებული არ ჰქონდა, როცა მან გიორგი XII გარდაცვალების ამბავი გაიგო. მეფის გარდაცვალების შესახებ კნორინგმა დაუყოვნებლივ აცნობა პეტერბურგს და ამის შემდეგ მიიღო პავლე I მანიფესტი.

ამას წინ უსწრებდა შემდეგი ვითარება. როცა კნორინგთან გამოცხადდა ავალიშვილი და ფალავანდიშვილი პეტერბურგიდან თბილისში გასამგზავრებლად, კნორინგმა ისინი გაუშვა თბილისში პავლე I სხვა მანიფესტით, რომელშიც, როგორც ვთქვით, დამტკიცებული იყო გიორგი XII სათხოვარი ბაგრატიონების ტახტის შესახებ. ავალიშვილი და ფალავანდიშვილი თბილისისკენ გამგზავრებულნი მეორე დღეს ისევ

[6] ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, 1957.

დაბრუნდნენ კნორინგთან და აცნობეს, რომ საქართველოში გიორგი XII უკვე გარდაიცვალა და არაგვის მპყრობელმა **ვახტანგ ირაკლის ძემ** რუსეთ-საქართველოს გზა შეკრაო. კნორინგმა აუხსნა ავალიშვილსა და ფალავანდიშვილს, რომ გიორგი არ გარდაცვლილა. უბრძანა ლაზარევს, დუშეთში ავალიშვილისა და ფალავანდიშვილისთვის შეეხვედრებინა ასეული; თანაც მისწერა ვახტანგ ირაკლის ძეს, რომ გაეტარებინა ავალიშვილი და ფალავანდიშვილი და კვლავ გაესტუმრებინა ისინი საქართველოში. სწორედ ამის შემდეგ, როცა მოციქულები თბილისში გაისტუმრა, ლაზარევისგან მიიღო ცნობა გიორგის გარდაცვალების შესახებ. თავის მხრივ მან ეს ცნობა გაგზავნა პეტერბურგს. ასეთ ვითარებაში კნორინგს არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას. როდესაც პეტერბურგში გიორგის გარდაცვალების ცნობა მიიღეს, 1801 წლის 18 იანვარს გამოაცხადეს ახალი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ამ დროს კი თბილისში **დავით გაბრატიონის ძე** იყო გამოცხადებული მმართველად.

გიორგი XII გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მართლაც გავრცელდა ხმა მისი გარდაცვალებისა. ქართლ-კახეთში ამ დროს დიდი არეულობა იყო. სასიკვდილო სარეცელზე მიკრულ გიორგი XII-ს საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა. ძმები ლაშქარაშვილნი უცდიდნენ მის გარდაცვალებას, რომ ტახტზე **იულონი** აეყვანათ, თანახმად ირაკლი II ანდერძისა. **ალექსანდრე ბატონიშვილი** ირანში ემზადებოდა ქართლ-კახეთის დასაკავებლად. **დარეჯან** დედოფალი ყოველ ზომებს იღებდა, რომ დავითს ტახტი არ დაეკავებინა. ასეთ ვითარებაში ჩამოიტანეს ავალიშვილმა და ფალავანდიშვილმა პავლეს მანიფესტი თბილისში. 15 იანვარს **დავით ბაგრატიონმა** მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, რომ **პავლე I** მანიფესტის თანახმად მიუახლოვდა მამა-პაპათა ტახტს და გამგებლის ტიტულით შეუდგა ქართლ-კახეთის მართვას. 15 იანვარს დავითი მმართველი გახდა, ხოლო 18 იანვარს რუსეთში, როგორც ვთქვით, ახალი მანიფესტი გამოცხადდა, რომლის მიხედვით დავითი არ იყო ქართლ-კახეთის არც მემკვიდრე, არც გამგებელი.

დავითი შეუდგა საქართველოს გამგებლობას. გენ. ლაზარევმაც მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, რომ რუსეთის მთავრობის ნებართვით დავითი ასრულებს ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველის მოვალეობას. ამასთანავე, ლაზარევი აცნობებდა მოსახლეობას, რომ დავითი პავლე I-ის მიერ დამტკიცებულია ტახტის მემკვიდრედ.

დავითს ბრძოლა უხდებოდა თავისი ბიძების წინააღმდეგ, რომელთ-

აც ქართლ-კახეთის ტახტზე იულონი უნდა აეყვანათ. დავითი ამ ბრძოლის პროცესში თავის მოწინააღმდეგეებს მამულებსა და ყმებს ართმევდა და თავის მომხრეებს ასაჩუქრებდა; ამით მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდებოდა.

დავითი თავის მოქმედებისთვის, როგორც მმართველი, ანგარიშს აბარებდა კნორინგს; ასე მაგალითად, როდესაც მან დააპატიმრა ველისციხის მოურავი, როგორც მოჯანყე, ამის შესახებ მისწერა კნორინგს და სთხოვა ეცნობებინა, თუ რომელი კანონით გაესამართლებიათ ველისციხელი მოურავი, რუსეთისა თუ საქართველოსი.

დავითს ურთიერთობა ჰქონდა ქართლ-კახეთის მოსაზღვრე ხანებთან, ის აძლევდა სხვადასხვა სახის განკარგულებას სამღვდელოებას, ქალაქ თბილისის მოხელეებს და სხვ. ერთი სიტყვით, დავითი შეუდგა ქართლ-კახეთის სამეფოს მართვას. იმ ხნის განმავლობაში, როცა დავითი ქართლ-კახეთს მართავდა, მან საკმაო მართვის უნარი, ენერგია და ნებისყოფა გამოამჟღავნა. არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ აღვნიშნოთ, რომ დავითს ხშირად ვხედავთ რაზმით ფეოდალთა ამა თუ იმ დაჯგუფების წინააღმდეგ. ამასთანავე, მისი მოქმედება შეზღუდულია კნორინგისა და ლაზარევის მიერ. ლაზარევი უჩივის კნორინგთან დავითს, რომ უკანასკნელი დამოუკიდებლად მოქმედებს და არ უთანხმებს თავის ყოველგვარ მოქმედებას ლაზარევს.

დავითს, ისე როგორც იოანეს, არ დასცალდა თავისი დიდი ერუდიციისა და უნარის გამომჟღავნება. მას მოკლე დროის განმავლობაში ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. საერთოდ კი, დავითი თავისი ეპოქის მიხედვით განათლებული პირი იყო. განათლება მან მიიღო რუსეთში. ის იყო რუსეთის გენერალ-ლეიტენანტი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გიორგი XII-ის სასახლე შეშფოთებული იყო იმით, რომ დავითში ხედავდა ვოლტერიანელს, თავისუფალ მოაზროვნეს,[7] რესპუბლიკანელს.

1861 წლის 16-17 თებერვალს თბილისში და ქართლ-კახეთში გამოქვეყნებულ იქნა **პავლე I** მანიფესტი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის პროვინციად აღიარებდა. გენ. ლაზარევი შენიშნავს, რომ კათალიკოსი **ანტონი,** ამ მანიფესტის სიონში გამოცხადებისას ვერ ფარავდა თავის უკმაყოფილებას.

ამ მანიფესტის გამოცხადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ლაზარევი სწერდა კნორინგს: უფლისწული დავითი ძლიერ მოწყენილია, რადგანაც ის არ მოელოდა იმას, რაც მოხდა; საუბარში ის ძლიერ აქებს

[7] პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი XII, 1936. გვ. 70-71.

ბონაპარტეს, რომ კარგად მოახდინა რევოლუციაო; ერთი სიტყვით, წერს ლაზარევი, დიდად დაეჭვებული ვარ დავითის საქმიანობითო. ამასთანავე, ლაზარევი ატყობინებდა კნორინგს, რომ პროვინციაში მანიფესტით თავადაზნაურობის ნაწილი უკმაყოფილო იყო.

ასეთი იყო მდგომარეობა, რომელიც შეიქნა დავითის მმართველობის პერიოდში.

საინტერესოა შემდეგი საკითხის გათვალისწინება. როგორ ჰქონდა გიორგი XII წარმოდგენილი საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა?

გიორგი XII რუსეთს სთხოვდა: 1) იყოლიოს საქართველოში 3.000 ჯარისკაცი მუდმივად, 2) დაამყაროს საქართველოსა და ირანს შორის საზღვარი და თვალყური ადევნოს ამ საზღვარს, 3) აიძულოს ახალციხის ფაშა, არ მისცეს თავშესაფარი საქართველოზე თავდამსხმელ ლეკებს, 4) დაიცვას საქართველო ლეკ ფეოდალთა თავდასხმისაგან, 5) მისცეს ქართლ-კახეთის სამეფოს არტილერია და ცხენოსანი ჯარი, 6) რუსეთის ჯარის შესანახად საქართველოში პური შესყიდულ იქნეს რუსეთის მთავრობის მიერ.

ამასთანავე, გიორგი XII სთხოვდა რუსეთის მთავრობას, რომ ადგილობრივ რუსეთის სამხედრო ხელისუფლებას ნება ჰქონოდა, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის გარეშე დახმარება გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსთვის.

თავის ინსტრუქციაში რწმუნებულებისადმი, გიორგი XII ავალებდა მათ: მოეთხოვათ რუსეთის მთავრობისგან, რომ უკანასკნელს მიეცა ქართლ-კახეთის მეფისთვის წერილობითი დაპირება, ბაგრატიონების სახლისთვის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის შენარჩუნების შესახებ. ბაგრატიონებისთვის ტახტი იმიტომ უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით უერთდებოდა რუსეთს. სწორედ ამ ნებაყოფლობით მომენტს სთვლიდა გიორგი XII იმის საფუძვლად, რომ რუსეთი სამუდამოდ შეუნარჩუნებდა მასა და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტს საქართველოში.

როდესაც **ავალიშვილი** და **ფალავანდიშვილი** პეტერბურგში დაბრუნდნენ, **პავლე I** გარდაცვლილი იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1801 წლის 11 მარტს პავლეს უნდა მიეღო საქართველოს წარმომადგენლები. მიღების ცერემონიალი უკვე შემუშავებული იყო.

ამის შემდეგ საქართველოს საკითხი დაისვა **ალექსანდრე I** წინაშე. საქართველოდან ჩასული დელეგატები ადასტურებდნენ ქართველი ხალხის რუსეთთან შეერთების სურვილს და, ამასთანავე, სთხოვდნენ

რუსეთს, რომ ბაგრატიონებს სამეფო ტახტი შენარჩუნებოდა: დანიშნულ იქნეს ქართლ-კახეთის მეფედ ერთ-ერთი ქართველი უფლისწული, ისე რომ, ის ატარებდეს იმპერატორის ნაცვალის სახელწოდებას და იყოს საქართველოს მეფე.[8] ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი დაისვა სახელმწიფო საბჭოში.

სახელმწიფო საბჭო ამ საკითხს გადაჭრილად თვლიდა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით. მანიფესტი კი, როგორც ვნახეთ, ქართლ-კახეთს რუსეთის პროვინციად აცხადებდა, მაგრამ ალექსანდრე I დაახლოებულმა პირებმა, **ვორონცოვმა, კოჩუბეიმ** და **ჩარტორიისკიმ** დაარწმუნეს მეფე, რომ არაა საჭირო ამ საკითხში აჩქარება. სწორედ ჩამოთვლილი პირები შეადგენდნენ ე. წ. საიდუმლო კომიტეტს, რომელიც საერთოდ ლიბერალურად იყო განწყობილი. ალექსანდრე I თავისი მეფობის პირველ ხანებში ამ საიდუმლო კომიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ალექსანდრე I-მა დაავალა კნორინგს, გამგზავრებულიყო საქართველოში და ადგილზე შეესწავლა საქმის ვითარება. ალექსანდრე I-ის ინსტრუქციის მიხედვით, რუსეთის სამეფოს ინტერესები, მისი საზღვრების დაცვის საკითხი თხოულობდა ქართლ-კახეთის შემოერთებას. საჭირო იყო კავკასიის მთიანეთის შემომტკიცება, ამისთვის კი აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება, კერძოდ, ქართლ-კახეთის შემოერთება, რითაც კავკასიის ხალხებს რუსეთი ზურგში მოექცევოდა და მათ წინააღმდეგობას გადალახავდა.

გარდა ამისა, საქართველოს შემოერთება ოსმალეთისა და ირანის კავკასიიდან გაძევებისთვისაც აუცილებელი იყო. ამასთანავე, საჭირო იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და ქართველთა სურვილის გამორკვევა: მათ მართლაც უნდოდათ რუსეთთან შემოერთება თუ არა. ინსტრუქციის მიხედვით, კნორინგს უნდა გამოერკვია: ქართლ-კახეთში წარმოებდა თუ არა ტახტისთვის ბრძოლა ბაგრატიონებს შორის და იწვევდა თუ არა ეს სამეფოში არეულობას.

1801 წლის აგვისტოს თვეში სახელმწიფო საბჭომ განიხილა **კნორინგისა** და **მუსინ-პუშკინის** მოხსენება ქართლ-კახეთის შემოერთების შესახებ. საბჭოში ამ შემოერთების წინააღმდეგ გამოვიდნენ გრაფები **ვორონცოვი** და **კოჩუბეი** და თავადი **ჩარტორიისკი**.

საიდუმლო კომიტეტის წევრები სხვადასხვა საბუთს აყენებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების წინააღმდეგ. **ჩარტორიისკი**

[8] **С. Есадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, 1907, გვ. 27.**

ამტკიცებდა, რომ ქართლ-კახეთის შემოერთება კიდევ უფრო გაადიდებდა ისედაც უზარმაზარ იმპერიას. ეს გადიდება მოითხოვდა საზღვრების გაფართოებას, მის დაცვას და დიდ ხარჯებს. ჩარტორიისკის აზრით, საჭირო იყო 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა, როგორც ვასალისა, მისი დაცვა საშიშროებისაგან, მშვიდობის ჩამოგდება ტახტისთვის მებრძოლ ბაგრატიონებს შორის და სხვ. ვიცე-კანცლერი **კოჩუბეი** ამტკიცებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება იქნებოდა უსამართლობა, რადგან ბაგრატიონებს ტახტი უჭირავთ მემკვიდრეობით.

სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას. სახელმწიფო საბჭომ თავის გადაწყვეტილებას შემდეგი დასაბუთება მისცა: 1) ქართლ-კახეთის რუსეთთან შემოერთება სურდა **ერეკლე II**, რომელსაც ამ მიზნით მოზდოკში უნდოდა ჩამოსვლა **გუდოვიჩთან** შესახვედრად; ამ შეხვედრისას, რომელიც არ შედგა, ერეკლე თვითონ მოითხოვდა ქართლ-კახეთის შემოერთებას. 2) შეერთების მომხრე იყო **გიორგი XII**. 3) უფლისწულების ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტისთვის აიძულებდა რუსეთის მთავრობას, წასულიყო შეერთებაზე.

ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულ იქნა. **დავით ბაგრატიონის** მმართველობა დასრულდა 1801 წლის 9 მაისს. 1801 წლის 6 ივნისიდან დაიწყო მუშაობა ახლად შექმნილმა საქართველოს მთავრობამ.

16-17 თებერვალს, როგორც ვთქვით, გამოცხადებულ იქნა **პავლე I** მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. პავლეს სიკვდილის შემდეგ დავითი კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ შეიძლება პეტერბურგის კაბინეტს შეეცვალა თავისი შეხედულება ამ საკითხზე. პავლე I მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, ფაქტობრივად, ქართლ-კახეთში ხელისუფლება ხელში აიღეს რუსეთის სამხედრო ნაწილებმა. ოფიციალურად დავითი ტახტს ინარჩუნებდა, მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. 1801 წლის 24 მაისს გენ. **კნორინგი** საქართველოში მოვიდა. გენ. **ლაზარევმა** ამის შესახებ აუწყა ქართველ თავადაზნაურობას და მოუწოდა მათ, გამოცხადებულიყვნენ თბილისში კნორინგთან შესახვედრად.

1801 წლის 2 ივნისს **კნორინგმა** მიმართა „ქართველ ხალხს“ ერთგვარი მოწოდებით, რომელშიც თავის თავს საქართველოს გენერალ-გუბერნატორს უწოდებდა. თავის მოწოდებაში კნორინგი აღნიშნავდა, რომ გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ მრავალ ცვლილებას ჰქონდა

ადგილი; მრავალი ისეთი რამ არის გაკეთებული, რისი გაკეთების უფლება მხოლოდ რუსეთის იმპერატორს ჰქონდა. ზოგიერთისთვის უკანონოდ წაურთმევიათ სახელო და მამულები, სხვებისთვის კიდევ ასევე უკანონოდ უბოძებიათ და სხვ. ყველა ამ განკარგულებას ის გაუქმებულად აცხადებდა. კნორინგი არ ასახელებს ამ უკანონო ქმედებათა ავტორს, მაგრამ ცხადია, რომ მას მხედველობაში ჰყავდა დავითი, როგორც მმართველი. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კნორინგი ხაზს უსვამს გიორგი XII შემდეგდროინდელ აქტებს; ის მართებულად არ სცნობს გიორგი XII შემდეგ გამოცემულ აქტებს, ე. ი. ის უარყოფს დავითის მმართველობას. კნორინგის მოწოდების მიხედვით, გიორგი XII შემდეგ მხოლოდ რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცემულ აქტებს აქვს იურიდიული მნიშვნელობა. მაშასადამე, დავითის მმართველობის პერიოდი კნორინგს არ მიაჩნია იურიდიული ძალის მქონედ, რადგან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII გარდაცვალებით შეწყდა ქართული სახელმწიფოებრიობის მოქმედება და დაიწყო ახალი, რუსეთის სახელმწიფოს მოქმედება.

თავის მოწოდებაში კნორინგი აცხადებს საქართველოს მთავრობას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გენ. ლაზარევი, წევრები: მდივანბეგი **ზაალ ბარათაშვილი,** თავადი **იოანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, სულხან თუმანიშვილი** და ქალაქ თბილისის საქმეებისთვის მელიქ-მამასახლისი **დარჩია ბებუთოვი.** საქართველოს მთავრობას რეზიდენცია უნდა ჰქონოდა თბილისში. საქართველოს მთავრობას ექვემდებარებოდა ყოველგვარი საქმე, რომელიც ძველად მეფის კომპეტენციაში შედიოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა სისხლის სამართლის მსხვილი საქმეები, რომლებიც თვითონ კნორინგს ექვემდებარებოდა.

კნორინგი გენ. ლაზარევს სწერს, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულია, ყოველ თვეში საანგარიშო მოხსენება გაუგზავნოს კნორინგს, რომელშიც აღრიცხული იქნება ის საქმეები, რომლებიც გაარჩია ამ მთავრობამ. ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებითაც ბრალდებულს ემუქრებოდა მძიმე სასჯელი, ან კიდევ მსხვილი სამოქალაქო შინაარსის საქმეები, ექვემდებარებოდა გენერალ-გუბერნატორს.

საქართველოს დროებით მთავრობაში დაგროვდა აუარებელი სამოქალაქო სამართლის საქმე. ლაზარევი იძულებული შეიქნა, გორსა და სიღნაღში გაეხსნა სასამართლოები სამოქალაქო საქმეების გასარჩევად.

თავისი შინაარსით საქართველოს მთავრობა იყო დროებითი დაწესებულება და არსებობდა ის იმპერატორის ახალ განკარგულებამდე. საქართველოს დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა ყოველგვარი საქმე, როგორც სასამართლო, ისე საფინანსო, ადმინისტრაციული და სხვ. საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობდა „ძველი წესითა და ჩვეულებით"-აც. მართალია, კნორინგის მოწოდებაში არ იყო საუბარი საქართველოს კანონებზე, მაგრამ „ძველ წესებსა და ჩვეულებებში"იგულისხმებოდა საქართველოს კანონები.

საქართველოს მთავრობა უშუალოდ კნორინგს ემორჩილებოდა, რომელსაც რეზიდენცია ჩრდილო კავკასიაში და ასტრახანში ჰქონდა. ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ლაზარევი ეკითხებოდა კნორინგს და ისიც აძლევდა პასუხს ამ საკითხებზე. გარდა მსხვილი სისხლის სამართლის საქმეებისა კნორინგს ექვემდებარებოდა, აგრეთვე, უფლისწულებთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხი, თანამდებობათა პირების შესახებ და სხვ.

გენ. კნორინგი არიგებს ლაზარევს, რომ ქართველი მეფისდროინდელი მოხელეები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებდნენ თანამდებორივ მოვალეობებს, თუკი ისინი ერთგული არიან ახალი ხელისუფლებისა. ეს მოხელეები, სწერს კნორინგი, ძველებურად უნდა იღებდნენ სარგოს, მაგრამ თვითნებური გადასახადები არ უნდა გააწერონ. მრავალი საჩივარია მოხელეებზე და საჭიროა სასტიკად იქნენ გაფრთხილებული ისინი, რომ არ მიიყვანონ ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე, ე. ი. აჯანყებამდე. შემოსავალი, რომელიც მეფის სალაროში შემოდიოდა სამეფოს გაუქმებამდე, ახლა უნდა შემოდიოდეს ახალი მთავრობის სალაროში. ყოველგვარი ღონე უნდა მივიღოთ, სწერს კნორინგი, რომ ეს შემოსავალი გავადიდოთ, ყოველ შემთხვევაში, არ შევამციროთ, რათა ჯარები და მოხელეების ჯამაგირი ქართლ-კახეთის შემოსავლით იქნეს გასტუმრებული.

მიწის წიაღისეული სიმდიდრის ექსპლოატაციის შესახებ ქართლ-კახეთის მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებანი ძალაში რჩება და თუ საჭიროება მოითხოვს, დადებული უნდა იქნეს ახალი საიჯარო ხელშეკრულებანიც. კნორინგი წინადადებას აძლევს ლაზარევს ქართული ზარაფხანის დახურვის შესახებ, რადგან ამიერიდან, სწერს კნორინგი, ფული მოიჭრება რუსეთის იმპერატორის სახელით.

კნორინგის ლაზარევისადმი მიცემული ინსტრუქციის მიხედვით, სამამულო დავა საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს იმ

საბუთების მიხედვით, რომელიც შემქნილია ქართველი მეფეების დროს; ამასთანავე, უპირატესობა უნდა მიეცეს იმ მეფის საბუთს, რომელიც დროის მიხედვით უკანასკნელია. ასევე, თბილისში თავადაზნაურობისადმი კუთვნილ სახელებზე უნდა გავრცელდეს სახლში დაყენების ვალდებულება და ამ ვალდებულებისგან დიდი სიფრთხილით და საქმის გამოძიებით შეიძლება ვისიმე განთავისუფლება.

კნორინგი ცდილობდა ჯერ-ჯერობით, ე. ი. პირველ ხანებში, ყველაფერი დაეტოვებინა ისე, როგორც იყო გიორგი XII დროს და ყოველგვარ ცვლილებას გაურბოდა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ასეთი ცვლილება აუცილებელი იყო, საქართველოს მთავრობა კნორინგთან წინასწარ შეთანხმებით ატარებდა ახალ ღონისძიებას. ასეთი სიფრთხილე დაკავშირებული იყო იმასთან, რომ კნორინგს ეშინოდა ახალი ღონისძიების გამო მოსახლეობის მღელვარებისა.

კნორინგის ინსტრუქციის მიხედვით, ქართველი უფლისწულები, რომლებიც გაქცეული იყვნენ ქართლ-კახეთიდან და განაგრძობდნენ ბრძოლას ახალი მმართველობის წინააღმდეგ, კარგავდნენ მამულებს, რომლებიც გადადიოდა ხაზინის ხელში. ამასთანავე, თუ უფლისწულები მოინანიებდნენ თავიანთ დანაშაულს და დაბრუნდებოდნენ ქართლ-კახეთში, მაშინ მათ დაუბრუნდებოდათ თავიანთი ქონება.

გენ. **ლაზარევმა** მიმართა საქართველოს მთავრობის წევრებს, რომ კნორინგმა წინადადება მისცა მას, შეუდგეს ქვეყნის მართვას იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც მისცა მას კნორინგმა.

საქართველოს მთავრობის გარდა ქართლ-კახეთში მმართველობის ახალი ორგანოები პირველ ხანებში არ შექმნილა. ადგილებზე დარჩნენ მმართველობის ძველი ორგანოები. ამის დამადასტურებელია ლაზარევის მიმართვა ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. ლაზარევი მიმართავს, პირველ ყოვლისა, არაგვის საერისთავოს მმართველს უფლისწულ **ვახტანგს**, რომელსაც აცნობებს, რომ კნორინგის ინსტრუქციის საფუძველზე მისი თავმჯდომარეობით თბილისში შეიქმნა მთავრობა და ყოველგვარი საქმე, რომელიც ძველად ქართველ მეფესთან შედიოდა, ამიერიდან საქართველოს მთავრობაში უნდა შემოვიდესო. ლაზარევი აცნობებდა ვახტანგს, რომ თუ შენც გექნება რაიმე საქმე, გთხოვ, საქართველოს მთავრობას მიმართეო. ასეთივე მიმართვა გაუგზავნა ლაზარევმა უფლისწულ **თეიმურაზს,** უფლისწულს კათალიკოს **ანტონს** და ქართლისა და კახეთის თავადებს და მოურავებს.

ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო, საქართველოს მთავრობის შექ-

მნის შემდეგაც, ძველებურად იმ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა, როგორც იყო გიორგი XII დროს. მაშასადამე, ქართლ-კახეთი იყოფოდა საფეოდალოებად და სამოურაოებად. ამ ადმინისტრაციულ დაყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თბილისს, რომელსაც ქართველი მეფეების დროს განაგებდა მოურავი. კნორინგის 1801 წლის 31 მაისის ინსტრუქციის თანახმად, თბილისში, განსხვავებით ქართ-კახეთის სხვა ადგილებისა, რუსეთის ქალაქების მსგავსად, შეიქმნა ახალი მმართველობა.

ქალაქის მმართველობა, 1782 წლის დებულების მიხედვით, შედგებოდა: ობერპოლიცმეისტერისა, გოროდნიჩისა, პოლიცმეისტერისა და ორი პრისტავისაგან – ერთი სისხლის სამართლის საქმეებისა და მეორე სამოქალაქო საქმეებისთვის – და ორი როტმისტრისაგან. ორ უკანასკნელს ირჩევდა ქალაქის წარჩინებული მოსახლეობა.

ქალაქი იყოფოდა ნაწილებად, რომელთაც სათავეში ედგა კერძო პრისტავი, ნაწილები იყოფოდა კვარტალებად, რომელთაც სათავეში ედგა კვარტალის ზედამხედველი და კვარტალის პორუჩიკი. ქალაქის მმართველობის მოვალეობა იყო: 1) პასპორტის შესახებ კანონის აღსრულებისთვის თვალყურის დევნება, 2) ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვა, 3) ზნეობის მეთვალყურეობა, 4) მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოებათა აკრძალვა და სხვ.

კნორინგი წერს, რომ საქართველოში რუსეთის კანონების გატარება ძნელდება, რადგან ქართველი ხალხი არ არის შეჩვეული ამ კანონებს. ამიტომ, მან შეარჩია ისეთი მუხლები 1782 წლის დებულებიდან, რომლებიც უფრო შესაფერისია საქართველოსთვის და ამავე დროს ეს კანონები ზოგადი შინაარსის არის, ე. ი. განსაზღვრავენ პოლიციური მმართველობის საერთო საფუძვლებს.

კნორინგის წინადადებით თბილისი დაყოფილი იყო სამ ნაწილად. III ნაწილი ეწოდებოდა ე. წ. გარეუბანს; იყო კიდევ მეორე გარეუბანი – ავლაბარი, მაგრამ იგი ეკუთვნოდა **დარეჯან** დედოფალს და, კნორინგის სიტყვით, დედოფლისადმი პატივისცემისთვის ქალაქის ეს ნაწილი ამოღებული იყო ახლად შემოღებული მმართველობისადმი დაქვემდებარებულ რაიონთა სიიდან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დედოფალი დარეჯანი თვითონ მოისურვებდა მისდამი კუთვნილი ქალაქის ნაწილზე ახალი მმართველობის გავრცელებას, მაშინ შეიძლებოდა, ავლაბარიც შეეტანათ ქალაქის ადმინისტრაციის განმგებლობაში.

ქალაქ თბილისის ახალი ადმინისტრაციის სათავეში დააყენეს ობერპოლიცმეისტერი, რომელიც უშუალოდ გენ. ლაზარევს ემორჩილებოდა, როგორც ჯარების უფროსს. ქალაქ თბილისის ობერპოლიცმეისტერს ჰყავდა ორი ნაცვალი, ისევე როგორც ქართველი მეფეების დროს: ერთი ნაცვალი მეფისა იყო, მეორე კი ქალაქისა. კნორინგის წერილში ტერმინი „ნაცვალი“ შემონახულია ობერპოლიცმეისტერის მოადგილის აღსანიშნავად.

ისე როგორც 1782 წლის ქალაქის დებულებით რუსეთში, თბილისის პოლიციაშიც შემდეგი მოხელეები იყო: ობერპოლიცმეისტერი, მისი ნაცვლები იყვნენ კერძო პრისტავები, რაოდენობით სამი, თითოეულ უბანში თითო-თითო. უბნები თავის მხრივ დაყოფილი იყო კვარტალებად, რომელთა სათავეში იდგნენ ასისთავები; კვარტალები იყოფოდა კიდევ უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომელთა სათავეში იდგნენ ორმოცდაათის მეთაურები.

პოლიციის უფროსი წესრიგს იცავდა ქალაქში, ის ვალდებული იყო:

1) თვალყური ედევნებინა, რომ ქალაქში არავის ევაჭრა აკრძალული საქონლით.

2) თვალყური ედევნებინა საქონლის, განსაკუთრებით პროდუქტების ფასებისთვის, რომ არავის გაეყიდა ნიხრის ზევით.

3) თვალყური ედევნებინა წონისა და ზომისათვის.

4) ქალაქში არ უნდა დაეშვა გამოქცეულების არსებობა.

5) თვალყური ედევნებინა ქალაქში ხიდებისა და ქუჩებისთვის.

6) გაენაწილებინა ქალაქის სახლებში ჩასადგომი ჯარის ნაწილები ან სხვა პირები.

7) მოხეტიალენი და მათხოვრები ჩაესახლებინა იქ, საიდანაც მოვიდნენ.

8) წვრილი საქმეები ექვემდებარებოდა პოლიციის უფროსს, მნიშვნელოვან საქმეებს კი პოლიციის უფროსი წარადგენდა, სადაც საჭირო იყო.

9) პოლიციის უფროსი იყო ქალაქის წესრიგის დაცვის უფროსი და ამ საქმეში მას ჰყავდა აღმასრულებელი აპარატი, რომელიც მოქმედებდა მისი განკარგულების თანახმად.

პოლიციის უფროსი ყოველდღიურად მოახსენებდა ჯარების უფროსს, რომლის ბრძანებას ის ზუსტად ასრულებდა. ქალაქის ყველა პოლიციის მოხელე ემორჩილებოდა ქალაქის პოლიციის უფროსს.

კერძო პრისტავები, ასისთავები და ორმოცდაათისთავები ვალდებული იყვნენ: 1) თვალყური ედევნებიათ ქალაქის ქუჩების სისუფთავისთვის,

მიეღოთ წინასწარი ღონისძიება ხანძრის აღსაკვეთად და თუ მაინც მოხდებოდა ხანძარი, მიეღოთ ყოველგვარი ზომები მის ჩასაქრობად, 2) პოლიციის მსახურები ვალდებული იყვნენ სცოდნოდათ, თუ ვინ ცხოვრობდა მათდამი რწმუნებულ კვარტალში და ყოველდღიურად ანგარიში ჩაებარებიათ ობერპოლიცმეისტერისთვის. ამასთანავე, პოლიციის მოხელეებს ევალებოდათ, თვალყური ედევნებიათ ავადმყოფებისთვის, რომ არ გავრცელებულიყო გადამდები სნეულება; აგრეთვე, პოლიციას ევალებოდა დაეცვა წესრიგი, არ დაეშვა ჩხუბი და სხვ.

კნორინგმა წინადადება მისცა ლაზარევს, რომ თუ უკანასკნელი რაიმეს მოუმატებდა ან მოაკლებდა მის მიერ გაგზავნილ ინსტრუქციასა და 1782 წლის ქალაქის დებულებიდან ამონაწერებს, ამის შესახებ შეეტყობინებია მისთვის.

გენ. ლაზარევი ატყობინებდა **დარჩია ბებუთოვს,** რომ ის, მისი, გენ. ლაზარევის წარდგენით, დანიშნულია დროებით ობერპოლიცმეისტერად და მის მოადგილედ დანიშნულია **მიკირტუმ სურგუნოვი.** ლაზარევი წინადადებას აძლევდა დარჩია ბებუთოვს, წარმოედგინა კანდიდატები კერძო პრისტავებისა და პოლიციის სხვა მოხელეებისა.

ქალაქ თბილისში ასეთი მმართველობა იყო 1802 წლის მაისამდე; ამის შემდეგ საქართველოში გაიხსნა რუსული მმართველობის დაწესებულებანი 1801 წლის 12 სექტემბრის დებულების მიხედვით. ამ დებულებით რამდენადმე შეიცვალა ქალაქ თბილისის მმართველობა, მაგალითად, შემოღებულ იქნა კომენდანტის თანამდებობა, რომელსაც დაექვემდებარა ქალაქი. ქალაქ თბილისში მისი მოადგილე იყო პოლიცმეისტერი ანუ ნაცვალი. თბილისი დაიყო ოთხ ნაწილად, შემოღებულ იქნა ახალი სახელოები და სხვ.

როდესაც კნორინგმა შეადგინა „საქართველოს მთავრობა“ და განაწესა ქალაქ თბილისის პოლიცია, ამის შემდეგ მისწერა იმპერატორ **ალექსანდრეს** პასუხი, უკანასკნელის მიერ დასმულ საკითხზე ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის არსებობის შესახებ. ამავე პასუხში **კნორინგი** ქართლ-კახეთს განიხილავდა რუსეთის პროვინციად, წინადადებას იძლეოდა მის გუბერნიებად დაყოფის შესახებ და ამავე დროს ალექსანდრე I სწერდა, რომ მისი საქმე იყო, გადაეწყვიტა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების საკითხი.

ამრიგად, საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია დასრულდა ქართლ-კახეთის და შემდეგ მთელი საქართველოს რუსეთთან შეერთებით. ქართველ მესვეურებს ეს შეერთება წარმოდგენილი ჰქონდათ ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით. მეფის რუსეთისათვის კი მიუღებელი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთება უდიდესი პროგრესული ნაბიჯი იყო ქართველი ხალხისათვის. რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა გაარღვია ბარბაროსული გარემოცვა და რუსეთის გზით მაშინდელ მოწინავე კულტურას ეზიარა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და ახალი დაწესებულებების გახსნა აღმოსავლეთ საქართველოში

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა **ალექსანდრე I** მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ამასთან ერთად გამოქვეყნდა დებულება რუსული მმართველობის დამყარების შესახებ საქართველოში.

კავკასიის მხარის მთავარსარდალს გენ. **კნორინგს** პეტერბურგის მთავრობა ავალებდა: 1) გამოექვეყნებია 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოში, 2) გამოექვეყნებია, აგრეთვე, დებულება საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ, 3) შეედგინა განაწესი საქართველოსთვის საერობო და საქალაქო პოლიციის მოსაწყობად, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც საჭირო იქნებოდა რუსული კანონების გასატარებლად ქართულ სინამდვილეში, 4) დაკომპლექტებულიყო სათანადო მოხელეებით ის დაწესებულებები, რომლებიც მანიფესტის და დებულების მიხედვით საქართველოში უნდა გაეხსნათ.

გენ. კნორინგი საქართველოში მოვიდა 1802 წლის 9 აპრილს. მას თან ახლდა გიორგი XII კარზე რუსეთის ყოფილი ელჩი **კოვალენსკი,** რომელიც ახლა უკვე დანიშნული იყო საქართველოს მმართველად. ამასთანავე, კნორინგს თან ახლდნენ რუსი მოხელეები, რომლებიც საქართველოში იწყებდნენ სამსახურს ახლადგახსნილ დაწესებულებებში.

1802 წლის 12 აპრილს თბილისში გამოცხადებულ იქნა ალექსანდრე I 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და დაიწყო მოსახლეობის დაფიცება ახალი ხელისუფლების ერთგულებაზე. ფიცის მიღების დროს კნორინგი სიფრთხილის ისეთ ზომებს იღებდა, რომელიც რუსეთის მომხრე ქართველ თავადაზნაურობაშიც კი იწვევდა გაკვირვებასა

და უკმაყოფილებას. ასე, მაგალითად, ფიცის მიღების დროს კნორინგმა თავი მოუყარა თავისთან ქართველ თავადებს და წარჩინებულებს და ამავე დროს უბრძანა ჯარის ნაწილს, შემოეკრათ შეკრებილნი და შეტევისთვის მზადყოფნის მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **გ. ჭავჭავაძე,** უფლისწულები და ქართველი თავადაზნაურობის სხვა წარმომადგენელნი უჩიოდნენ კნორინგს, განსაკუთრებით კოვალენსკის, რომ მათ ვერ დაიმსახურეს საქართველოში მოსახლეობის ნდობა და პატივისცემა და პეტერბურგის კაბინეტისგან მოითხოვდნენ, რომ ისინი საქართველოში არ გამოეგზავნათ. ალექსანდრე I ეს საჩივარი სახელმწიფო საბჭოს გადასცა, რომელმაც არ დააკმაყოფილა გ. ჭავჭავაძისა და სხვების მოთხოვნილება იმ საბაბით, რომ აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა, რუსეთის გუბერნიაში მოხელეების დანიშვნა კი რუსეთის მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა და ეს საქმე სხვას არავის ეკითხებოდა.

კნორინგი და კოვალენსკი თავიანთი უტაქტო მოქმედებით ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილებას იმსახურებდნენ. ეს გარემოება კი ხელს უშლიდა მმართველობის ახალი სისტემის ნორმალურ მუშაობას. როგორც შემდეგ გამოირკვა, კნორინგი და კოვალენსკი სრულებით არ აღმოჩნდნენ თავიანთი მოვალეობის სიმაღლეზე; მათ დიდი სიძულვილი დაიმსახურეს, **მთავრობამ ისინი მოხსნა კიდეც და კოვალენსკი პასუხისგებაშიც კი მისცა**.

თბილისში, 1802 წლის 8 მაისს დილის 7 საათზე გასროლილმა ზარბაზანმა აუწყა მოსახლეობას ახალი მმართველობის შესახებ. ამ დროისთვის შეიკრიბენ – გენ. კნორინგი, კოვალენსკი, სხვა მოხელეები და ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები იმ სახლში, რომელშიც ახალი მმართველობა სადღესასწაულოდ უნდა გახსნილიყო. შეკრების ადგილზე, ოთახში მაგიდაზე ეწყო: დებულება გუბერნიების შესახებ, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და დებულება აღმოსავლეთ საქართველოს შინაგანი მმართველობის შესახებ. სიტყვები წარმოთქვეს, ერთი მხრივ, გენ. **კნორინგმა** და, მეორე მხრივ, **ივანე ორბელიანმა.** ამის შემდეგ დაეწყვნენ სიონის ტაძარში წასასვლელად: წინ მიდიოდნენ ქალაქის კომენდანტი, პოლიცმეისტერი და პოლიციელები. მათ მიჰყვედბოდა 12 ქართველი თავადი. ერთ მათგანს, ივანე ორბელიანს, აბრეშუმის ბალიშზე დადებული მიჰქონდა დებულება გუბერნიების შესახებ, მეორეს – **ანდრონიკაშვილს** ასეთივე ბალიშით მიჰქონდა 12 სექტემბრის მანიფესტი და დებულება აღმოსავლეთ საქართველოს

მმართველობის შესახებ. ოთხ-ოთხი თავადი – ასისტენტი, პროცესიის დროს, იმით ეხმარებოდნენ ორბელიანსა და ანდრონიკაშვილს, რომ ხელი ჰქონდათ მოკიდებული ბალიშების ყურეებისთვის. ამის შემდეგ მოდიოდა კნორინგი ამალითა და გენერალიტეტით, შემდეგ მიდიოდა ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი კოვალენსკი – მოხელეებით, შემდეგ მიდიოდნენ უფლისწულები, თავადები და აზნაურები. ამ პროცესიის წინ და უკან ჯარები მიდიოდნენ.

სიონის ტაძართან პროცესიას გამოეგება სამღვდელოება, ორმა მღვდელმთავარმა გამოართვა თავადებს (ორბელიასა და ანდრონიკაშვილს) ბალიშები, რომლებიც ტაძარში მაგიდაზე დააწყვეს. მიტროპოლიტმა სწირა. წირვის შემდეგ წაკითხულ იქნა კნორინგის მიმართვა ქართველი ხალხისადმი. შემდეგ წაიკითხეს მმართველობის შტატი და დებულება მმართველობის შესახებ. წაკითხვის დამთავრების შემდეგ ზეიმი ზარების რეკვით აღინიშნა, გასროლილ იქნა ზარბაზანი 101-ჯერ. შემდეგ მოეწყო პროცესია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კათალიკოსი **ანტონ II** სამღვდელოებით. პროცესია მივიდა მმართველობისთვის განკუთვნილ სახლში, კათალიკოსმა გადაიხადა პარაკლისი, სახლი მოასხურეს ნაკურთხი წყლით. სადღესასწაულო ნაწილი ამით დამთავრდა, რომლის შემდეგ იქვე გაიხსნა საქართველოს უმაღლესი მთავრობის პირველი სხდომა.

იმავე დღეს, ე. ი. 8 მაისს გაიხსნა ექსპედიციებიც.

მაისის თვის განმავლობაში ახალმა დაწესებულებებმა მუშაობა დაიწყეს დუშეთსა, გორსა, თელავსა და სიღნაღში.

ქართლ-კახეთის ადმინისტრაციული დაყოფა

აღმოსავლეთ საქართველოს შინაგანი მმართველობის შესახებ მიღებული 1801 წლის 12 სექტემბრის დებულებით, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო **დაყოფილი იყო 5 მაზრად:** გორის, ლორეს და დუშეთის (ქართლი), თელავისა და სიღნაღის (კახეთი).

გენ. კნორინგი თავის მოხსენებაში პეტერბურგის კაბინეტისადმი, ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე, იძლეოდა სამეფოს გუბერნიად გადაქცევისა და გუბერნიის მაზრებად დაყოფის გეგმას და სწორედ ამ გეგმის მიხედვით იყო დებულებაში მოცემული აღმოსავლეთ საქართველოს ხსენებული მაზრებიც.

მმართველობის სისტემას სამხედრო პრინციპი დაედო საფუძვლად.

ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო დაექვემდებარა კავკასიის ხაზის უფროსს, რუსეთის ამ ნაწილის ჯარების მთავარსარდალს.

საქართველოს უმაღლესი მთავრობა საქართველოს მმართველთან ერთად მართავდა საქართველოს. თავის მხრივ, ეს უმაღლესი მთავრობა იყოფოდა ექსპედიციებად. ადგილებზე არსებობდა სამაზრო და სასოფლო დაწესებულებანი. განვიხილოთ **ახალი მმართველობის სისტემა იერარქიული დაქვემდებარების მიხედვით**: მთავარმართებელი, მმართველი, საქართველოს უმაღლესი მთავრობა, ექპედიციები, მმართველობის სამაზრო და სასოფლო ორგანოები.

მთავარსარდლის ანუ მთავარმართებლის სახელო

გენერალი **კნორინგი ალექსანდრე I**-თან ძლიერ დაახლოებული პირი იყო, ის მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა. კნორინგი იყო კავკასიის ხაზის სარდალი. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ალექსანდრე I საქართველოს მთავარმართებლად დანიშნა გ. ლ. კნორინგი. დებულებაში საქართველოს მმართველობის შესახებ, მოხელეთა შორის პირველად დასახელებულია მთავარსარდალი. აგრეთვე განაწესში, რომლის მიხედვით მოხდა ახალი დაწესებულების გახსნა თბილისში, პირველად მოხსენებულია მთავარსარდალი კნორინგი.

მთავარსარდალი კნორინგი, ანუ მთავარმართებელი, იმავე დროს იყო კავკასიის ხაზის ინსპექტორი, ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი, „მმართველი სასაზღვრო კავკასიის მხარის საქმეთა“, აგრეთვე, მმართველი ასტრახანის გუბერნიის საქმეთა. ფაქტობრივად, მთავარსარდალი ანუ მთავარმართებელი იყო იგივე გენერალ-გუბერნატორი, რასაც **ეკატერინე II** მიერ გუბერნიის შესახებ 1775 წელს დამტკიცებული დებულება ითვალისწინებდა.

რუსეთში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა სწორედ ამ დებულების მიხედვით იყო აგებული, ამიტომ საქართველოს მმართველობაც ამ კანონს ემყარებოდა. გუბერნიებად სახელმწიფოს დაყოფა პირველად რუსეთში **პეტრე I** შემოიღო.

მაშასადამე, გარკვეულ ვითარებაში, გენერალ-გუბერნატორის, ანუ მეფის ნაცვალის თანამდებობის მატარებელ მოხელეს, შეიძლება მთავარსარდლის სახელი ეტარებია. 1775 წლის დებულების მიხედვით, გენერალ-გუბერნატორი, ანუ მეფის ნაცვალი, არის ადგილზე უმაღლესი მოხელე: ის ახორციელებს ადგილზე სახელმწიფო მეთვალყურის როლს.

მას შეუძლია მიიღოს სათანადო ზომები ყოველგვარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. გენერალ-გუბერნატორს, მართალია, სასამართლო ფუნქცია არ აქვს, მაგრამ როგორც მეფის ნაცვალს, შეუძლია ჩაერიოს სასამართლოს მუშაობაში, შეაფასოს სასამართლოს განაჩენი თუ გადაწყვეტილება და თავისი შეხედულებით შეაჩეროს კიდეც მისი სისრულეში მოყვანა.

საქართველოს მმართველის თანამდებობა

მთავარსარდალი **კნორინგი** თბილისში ფიცის მიღებისა, ქართლ-კახეთის საზღვრების შემოვლისა და თბილისში რუსული მმართველობის დაწესებულებათა გახსნის შემდეგ გაემგზავრა კავკასიის ხაზზე – **ქ. გიორგიევსკში**, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობის სათავეში დატოვა **კოვალენსკი**. ამის შემდეგ კნორინგი კმაყოფილდებოდა კოვალენსკისა და ლაზარევის მოხსენებებითა და ანგარიშით, ხოლო თვითონ საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს უზენაესი მთავრობის ხელმძღვანელი იყო კოვალენსკი, საქართველოს მმართველის ტიტულით, ხოლო საქართველოში განლაგებული ჯარების უფროსი იყო გენ. **ლაზარევი**.

ცვლილებები აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობაში 1803-1805 წლებში

რუსული მმართველობის დამყარებას უკმაყოფილოდ შეხვდა საქართველოს **ფეოდალური არისტოკრატია**, რომელმაც პოლიტიკური უფლებები დაკარგა, ხოლო ხალხის მასები აღტაცებით შეხვდნენ რუსეთთან შეერთებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშრომელი მასები რუსეთთან შეერთების შედეგად ბატონყმობის გადავარდნასაც კი მოელოდნენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთება ქართველი ხალხისათვის იყო **პროგრესული ნაბიჯი**. პირველ ყოვლისა, რუსეთის მმართველობამ, პირველ ხანებში მაინც, რამდენადმე ალაგმა ფეოდალთა თვითნებობა აღმოსავლეთ საქართველოში.

ამასთანავე, რუსეთის მმართველობის დამყარების პროგრესულობა ისიც იყო, რომ ქართველი ხალხი გამოეთიშა რუსეთთან შედარებით დაბალი განვითარების ბარბაროსულ ფეოდალურ გარემოცვას და რუსეთის ხალხის სახით ნახა ერთგული მეგობარი, რომელთან ერთად

მას წარმატებით შეეძლო ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ და საერთოდ უკეთესი მომავლისათვის.

კავკასიის ხალხებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთს ქართლ-კახეთი თავისი სურვილით შეუერთდა და თუ თავისი ნებით შეერთებულ ხალხს, ე. ი. ქართლ-კახეთის მოსახლეობას, რუსეთი მიიყვანდა იმ მდგომარეობამდე, რომ ის აჯანყდებოდა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ, აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოეტანათ კავკასიის ხალხებსაც. ამიტომაც პეტერბურგის მთავრობა ძლიერ დაინტერესებული იყო, როგორმე დაეწყნარებია ქართლ-კახეთის მოსახლეობა, რომ არ დაეფრთხო კავკასიის ხალხები. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება გავლენას მოახდენდა არა მარტო კავკასიის ხალხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ რუსეთის მფარველობაში შესულნი, არამედ **ირანსა**, **ოსმალეთსა** და მათ უკან მდგომ **საფრანგეთსა** და **ინგლისზე**, რომლებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს კავკასიის ამბებს და მზად იყვნენ, ყოველი ხელსაყრელი ვითარება გამოეყენებიათ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოში გამოეგზავნა წარმოშობით ქართველი, მაგრამ იმპერიის ერთგული გენერალი **პავლე ციციანოვი.** პ. ციციანოვის დანიშვნით მეფის მთავრობა თითქოს ერთგვარ დათმობაზე მიდიოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მოწინააღმდეგეებისადმი.

პ. ციციანოვს **ალექსანდრე I** სწერდა: საჭიროა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობაში შექმნილი არეულობის გამოსწორება, მმართველობის ერთიან სისტემაში მოყვანა და საქმის ისე წარმართვა, რომ რუსეთის ნდობა ჰქონდეს არა მარტო საქართველოს, არამედ საქართველოს მეზობელ ხალხებსაც. კავკასიის ხალხებმა უნდა დაინახონ, რუსული მმართველობის უპირატესობა ოსმალეთისა და ირანის მმართველობაზე, რომელიც თავისი შინაარსით ბარბაროსულიაო.

პ. ციციანოვს აღმოსავლეთ საქართველოში მძიმე მდგომარეობა დახვდა. ის აღნიშნავდა, რომ ქართული და რუსული კანონები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა და საჭირო იყო მმართველობაში სათანადო ცვლილებების შეტანაო. მაგრამ, გარდა ამისა, ახალი ადმინისტრაცია ადგილობრივი პირობების უცოდინარობით, მექრთამეობითა და თავისი კერძო ინტერესებისთვის ბრძოლით სახელს უტეხდა რუსეთის მთავრობას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გახრწნილობა და მექრთამეობა ადმინისტრაციის მაღალი მოხელეებისთვისაც იყო

დამახასიათებელი.

რუსეთის ადმინისტრაციის მეორე დიდი მოხელე, საქართველოს მმართველი **კოვალენსკი** ცნობილი იყო თავისი ანგარებით. საქართველოში მან ჩამოიყვანა ძმა და ნათესავები, რომლებიც საქართველოში თავიანთი გამდიდრების წყაროს ხედავდნენ. კოვალენსკი, რუსეთის მოხელე **სოკოლოვსკის** ცნობით, ეწეოდა სპეკულაციას, ითვისებდა სახაზინო ქონებას და სხვ. კოვალენსკიმ ადგილობრივ მდიდარ სომეხ ვაჭართან **ბეგთაბეგოვთან** ერთად, თბილისში გამოიწვია რუსული მანეთის კურსის დაცემა პირადი გამდიდრების მიზნით. კოვალენსკი და მისი ნათესავები, **ციციანოვის** მოხსენებათა მიხედვით, სჩადიოდნენ ბოროტმოქმედებებს. **გარსევან ჭავჭავაძის** სიტყვით, რუსული მმართველობის მოხელეების ბოროტმოქმედებანი აღაშფოთებდა ქართველ ხალხს და მისი მოთმინების ფიალას ავსებდა.

სამაზრო ექსპედიციის უფროსმა თბილისის გარეუბანში მდებარე საუკეთესო ბაღი, რომელიც სამეფო სახლს ეკუთვნოდა, თავის ცოლს გადასცა. ბოროტმოქმედებას ეწეოდნენ სხვა მოხელეებიც, როგორც თბილისში, ისე მაზრებში. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ **ა. პ. ბერჟეს,** რომ მაშინ რუსეთის შიდა გუბერნიების მმართველობაშიც არ იყვნენ უკეთესი მოხელეები.

საქართველოს ფეოდალთა კლასის სხვადასხვა ფენები ერთნაირად არ ხვდებოდნენ რუსეთის ახალ ადმინისტრაციას. **ფეოდალთა კლასის მაღალი ფენა**, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით დაკარგა პოლიტიკური პრივილეგიები, ყოველგვარი საშუალებით ებრძოდა რუსეთს. ამ ფენის წარმომადგენლები ქართველი ხალხის მოსისხლე მტრებს, ირანსა და ოსმალეთსაც კი დაუკავშირდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე, უფრო პროგრესული ნაწილი იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის რუსეთის ფარგლებში; მან კარგად იცოდა, რომ მაშინდელ ვითარებაში საქართველოს რუსეთის გარეშე მხოლოდ დაღუპვა მოელოდა.

პირველ ყოვლისა თანამდებობიდან გაათავისუფლეს მთავარმართებელი **კნორინგი** და საქართველოს მმართველი **კოვალენსკი**. მთავარმართებლად დაინიშნა **პ. ციციანოვი. ალექსანდრე I** ციციანოვს თვლიდა ფრიად სანდო პიროვნებად. ის დიდი თავგამოდებით ასრულებდა პეტერბურგის კაბინეტის დავალებას. ციციანოვი არ უშვებდა შემთხვევას, ალექსანდრე I პიროვნებისადმი გამოეხატა განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული. პ. ციციანოვმა კარგად

იცოდა რუსეთის მეფის სასახლის ეტიკეტი და არ იშურებდა ძალღონეს, მეფისთვის თავისი თავდადება ეჩვენებია.

პ. ციციანოვის დანიშვნას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოში. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მის დანიშვნაში ხედავდნენ რუსეთის მთავრობის ახალი პოლიტიკის დაწყებას, რომლის შედეგად ქართველი ხალხის მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას მოელოდნენ. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ციციანოვის დანიშვნას დადებითად შეხვდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენები.

ციციანოვის დროს თბილისში აღდგენილ იქნა სტამბა, გაიხსნა აფთიაქი, ჩამოყვანილ იქნა რუსეთიდან ექიმები, დაიწყო თბილისის ბოტანიკური ბაღის გაშენება, განვითარება იწყო ვაჭრობამ, ხელოსნობამ, ფაბრიკა-ქარხნებმა და სხვ. ქართულ ენაზე განცხადებების მიღება, თარჯიმნების დანიშვნა რუს მოხელეებთან, მექრთამე მოხელეების გადაყენება და სხვ. – შეღავათი იყო მოსახლეობისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ხალხის დასამშვიდებლად.

ციციანოვი უდიდესი ენერგიითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ხალხების შემოერთების საქმეს. ზოგიერთი სამეფო, სამთავრო და სახანო თავის ნებით შედიოდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში; სხვას კიდევ ციციანოვი ჯარებით იპყრობდა. 1803 წელს ციციანოვის წინადადებით რუსეთის ქვეშევდრომობა მიიღო **კაკი-ენისელის** სულთანმა. 1804 წელს მან იერიშით აიღო **განჯა**. ციციანოვის დროს რუსეთის მფარველობაში შევიდა **იმერეთის სამეფო, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი**. ციციანოვი თავის ჯარებით მიიწევდა კასპიის ზღვისაკენ, შეშფოთებულმა **ირანმა** გადაწყვიტა, ძალით შეეჩერებია რუსეთის ჯარების მოძრაობა, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო. ციციანოვი **ერევანს** შემოადგა ჯარით; ამ ბრძოლის პროცესში რუსეთის ჯარების ბაზა ქართლ-კახეთი იყო. საჭირო იყო რუსეთის ჯარების მომარაგება, სურსათის და იარაღის გადატანა, გზების და ხიდების შეკეთება. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას, განსაკუთრებით კი საქართველოს სამხედრო გზისპირის მცხოვრებთ. აუტანელ პირობებში ამუშავებდნენ მოსახლეობას გზის გასაწმენდად. ამ ნიადაგზე 1804 წლის მაისში საქართველოს **მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა**, მშრომელი მოსახლეობა გამოვიდა მჩაგვრელების წინააღმდეგ. აჯანყება თანდათან ფართოვდებოდა და ციციანოვი, რომელიც ამ დროს ერევნის გარემოცვას აწარმოებდა, იძულებული შეიქნა ჯარის ნაწილები აჯანყებულთა წინააღმდეგ გაეგზავნა.

„მთიელ გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა პირველ მასობრივ შეიარაღებულ გამოსვლას“ იმპერიის წინააღმდეგ. 1804 წლის ოქტომბერში მეფის ჯარებმა აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ მთავრობა იძულებული შეიქნა, შეემსუბუქებინა მოსახლეობის მდგომარეობა. დაწესებულ იქნა საგზაო სამუშაოებისთვის გასამრჯელო, განსაზღვრულ იქნა გადასახადი და სხვ.

ციციანოვი განაგრძობდა ბრძოლას რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოებისთვის ამიერკავკასიაში. 1805 წ. მან რუსეთს დაუმორჩილა **ყარაბახის, შაქის და შირვანის სახანოები**. შემდეგ ციციანოვი ჯარით მიადგა **ბაქოს**, მაგრამ აქ ის ვერაგულად იქნა მოკლული (1806 წ.).

ღვაწლი გარსევან ჭავჭავაძისა

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია, საგანგებოდ შევჩერდეთ **გარსევან ჭავჭავაძის** მოღვაწეობაზე.

გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი პერიოდის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი იყო. **ერეკლე II** შემდეგ ის იყო უმთავრესი მოქმედი პირი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეში. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი კი, ყველაზე მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხი იყო ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით, XVIII ს-ის უკანასკნელ ხანებში და, ამდენად, დიდია გარსევანის როლიც საქართველოს ისტორიაში.

გ. ჭავჭავაძე იყო საქართველოს რუსეთთან დაკავშირების თავგამოდებული მებრძოლი. მას ერეკლე II კარზე ეჭირა ეშიკაღასბაშის სახელო. ეშიკაღასბაში საპოლიციო აპარატის უფროსად ითვლებოდა. ზოგჯერ ეშიკაღასბაშს დიპლომატიური მისიით აგზავნიდნენ სხვა სახელმწიფოებშიც. ამასთანავე, ის იყო სასახლის ცერემონიალმეისტერი.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 1783 წლის ტრაქტატით და გ. ჭავჭავაძეც ამ დროიდან გამოდის ისტორიულ ასპარეზზე. **იოანე მუხრან ბაგრატიონთან** ერთად ამ ტრაქტატს ხელს აწერს ქართლ-კახეთის სამეფოს „მანდატურთუხუცესი და ზედამხედველი ყაზახისა სამთავროჲსა“ გ. ჭავჭავაძე. ტრაქტატით გათვალისწინებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მუდმივი წარმომადგენელი რუსეთის სამეფო კარზე; 1784 წელს ერეკლე II „შვილივით“ სანდო გარსევან ჭავჭავაძეს აგზავნის რუსეთში ამ თანამდებობაზე.

გარსევან ჭავჭავაძე წარსდგა **ეკატერინე II** წინაშე და სასახლეში მიღებული ეტიკეტის შესაბამისად სიტყვა წარმოთქვა. გარსევანს, როგორც ქართ-კახეთის ელჩს, უშუალო ურთიერთობა ჰქონდა **პოტიომკინთან,** რომელსაც ებარა კავკასიის საქმეები. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით გარსევანი პოტიომკინს მოგილევსკში უნდა ხლებოდა საქმეების გამო. გ. ჭავჭავაძეს გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთის მთავრობასა და ქართლ-კახეთის მეფესთან. გარსევანი 1794 წელს, გაზაფხულზე ქართლ-კახეთის მთავრობასთან მოსათათბირებლად დაბრუნდა საქართველოში და ამავე წლის შემოდგომაზე ისევ გაემგზავრა რუსეთს.

1795 წლის წერილების მიხედვით, ერეკლე II და ჭავჭავაძე ძლიერ შეშფოთებული იყვნენ **აღა-მაჰმად-ხანის** საქართველოზე თავდასხმისთვის მზადების გამო. გარსევანი სწერდა რუსეთის მთავრობას: თქვენ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი ბატალიონიც კი გაიყვანეთ საქართველოდან; ირანი და ოსმალეთი კი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან კავშირის გამო მოდიან საქართველოს ასაოხრებლადო. გარსევანი დაჟინებით მოითხოვდა, ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარების გარდა, 5-6 პოლკისა და, აგრეთვე, შეპირებული ზარბაზნების და არტილერიის საქმის მცოდნე ოფიცრის გამოგზავნას. გ. ჭავჭავაძე რუსეთის მთავრობას სასწრაფო პასუხს სთხოვდა ერეკლესთვის გასაგზავნად.

რუსეთმა მაშინ ჯარი ვერ გამოგზავნა საქართველოში. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო და ცეცხლს მისცა, მაგრამ საქართველოში გაჩერება ვერ შეძლო; ერეკლე II ომისთვის სამზადისს განაგრძობდა და ირანის ჯარი, თბილისიდან ქართლ-კახეთის სოფლების დასაპყრობად გასული, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. აღა-მაჰმად-ხანი თბილისს აოხრებდა ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი გავიდა საქართველოდან და ვარაუდობდა, უფრო მომზადებული წამოსულიყო ქართლ-კახეთის დასაპყრობად.

გ. ჭავჭავაძემ კვლავ მიმართა რუსეთის მთავრობას, აღუწერა შექმნილი მდგომარეობა და აღა-მაჰმად-ხანის კვლავ შემოსევის რეალური საფრთხე, რაც მოსალოდნელი იყო უახლოეს თვეებში, მომავალ ზამთარში, მომხდარიყო, რადგანაც ზამთარი ამიერკავკასიაში თბილი იცის და, მისი აზრით, იგი ომს ხელს არ შეუშლიდა. ზამთარში დარიალის ხეობით რუსეთის ჯარების საქართველოში შესვლა შესაძლებელია; „მე როგორც პატიოსანი კაცი და ერთგული მამულისა“, სწერდა გარსევანი,

ჩემს თავზე ვიღებ ჯარების გადაყვანის პასუხისმგებლობასო. ამასთან, აღნიშნავდა იგი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა საქართველოში შეურაცხყოფა არის „დიდი რუსეთის“, რომელსაც ქართლ-კახეთთან მფარველობის ხელშეკრულება აქვს დადებულიო.

რუსეთმა საქართველოში გამოგზავნა ჯარი და ირანთან ომის სამზადისს შეუდგა. გ. ჭავჭავაძე დაბრუნდა საქართველოში, რომ დაპირებისამებრ დახმარებოდა რუსეთის ჯარებს საქართველოში გადმოსასვლელად.

ერეკლე მეფემ მას ახალი დავალება მისცა რუსეთში სამოქმედოდ: ქართლ-კახეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა, რუსეთის ჯარების დახმარებით ამიერკავკასიის ხალხების ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლება. 1796 წელს **ეკატერინე II** გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II აგზავნის გ. ჭავჭავაძეს რუსეთში და ავალებს მას, მიულოცოს **პავლეს** ტახტზე ასვლა, გააცნოს მას ქართლ-კახეთის მთავრობის გეგმები – ამიერკავკასიის ხალხების რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ და სთხოვოს დახმარება.

პავლე I-მა დახმარების ნაცვლად საქართველოდან ჯარები გაიყვანა, ამით წაქეზებული ირანი საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისს შეუდგა. გ. ჭავჭავაძე განცვიფრებას გამოთქვამდა რუსეთის ჯარის საქართველოდან გაწვევით და სთხოვდა პავლეს მთავრობას, რომ მისთვის გარკვეული პასუხი მიეცათ: „ჩემს მეფეს... მსწრაფლად მოვახსენო“ ეს პასუხი, რომ არ განმეორდეს 1795 წლის სექტემბრის ამბებიო. გ. ჭავჭავაძემ რუსეთის მთავრობისაგან პასუხი ვერ მიიღო; მას გადაუწყვეტია საქართველოში დაბრუნება და მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. გარსევანი მეტად შეშფოთებული იყო, მას ერეკლეს ჯანმრთელობაც აწუხებდა: „უკეთუ დავახელებ მას ცოცხლად“, მოველაპარაკები შექმნილ მდგომარეობაზეო, წერდა ის რუსეთის მთავრობას. საქართველოში გამომგზავრება მან ვერ მოასწრო, ერეკლე II გარდაიცვალა და ტახტზე **გიორგი XII** ავიდა.

მეფე გიორგი XII და გარსევან ჭავჭავაძე მეტად აღელვებულნი და შეწუხებულნი იყვნენ საქართველოში შექმნილი მდგომარეობით: ოსმალეთი ახალციხეში თავშესაფარს აძლევდა და ამარაგებდა საქართველოზე თავდამსხმელ დაღისტნელ ფეოდალ აბრაგებს. გარდა ამისა, ირანი და ოსმალეთი ემზადებოდნენ საქართველოზე თავდასხმისთვის. ქართლ-კახეთის სამეფოს შიგნით არეულობა, ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო და სხვ. გარსევანი გიორგი XII სახელით ითხოვდა რუსეთის ჯარის

გამოგზავნას; ამასთანავე, საქართველოში გაგზავნილ ჯარის ნაწილებში რომ არ ყოფილიყვნენ ქართლ-კახეთის მთავრობისთვის მიუღებელი ელემენტები, მაგალითად, პოლკოვნიკი **დიმიტრი ორბელიანი** და სხვები. პავლე I დაჰპირდა გ. ჭავჭავაძეს დახმარებას და გიორგი XII ტახტზე დამტკიცებას. გარსევანი გამოემგზავრა საქართველოში, რომ ქართლ-კახეთის მესვეურებს შექმნილი ვითარების შესახებ მოთათბირებოდა. ის საქართველოში 1799 წელს ჩამოვიდა და მალე ისევ პეტერბურგში, ამჯერად, **გიორგი ავალიშვილისა** და **ელიზბარ ფალავანდიშვილის** თანხლებით დაბრუნდა. პეტერბურგში გ. ჭავჭავაძეს ყოველგვარ დახმარებას უწევდა საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელი **ლაშქარაშვილი.**

გიორგი XII კოვალენსკისთან წერილში გ. ჭავჭავაძეს იხსენიებს, როგორც „სრულშემძლებელ დესპანს, დიდ პოსოლსა და სპასპეტს“.

1799-1800 წლებში გ. ჭავჭავაძეს შეშფოთება უფრო გაუძლიერდა: ქართლ-კახეთის მდგომარეობა უარესდებოდა, ხოლო გამოსავალი არა ჩანდა. როდესაც გარსევანი 1799 წელს საქართველოში დაბრუნდა, გიორგი XII-მ გარსევანთან ერთად ქართლ-კახეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკულად ჩათვალა და რუსეთთან დამოკიდებულების საკითხიც ამასთან დაკავშირებით გადაისინჯა. გიორგი XII იძულებული შეიქნა, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები შეეცვალა რუსეთის სასარგებლოდ, რომ როგორმე რუსეთის დახმარება დროულად მიეღო.

ამის შესაბამისად გ. ჭავჭავაძემ პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფოს სახელით ასეთი **პირობები** წარუდგინა:

1) ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ერთ-ერთი პროვინცია იქნება.

2) იმავე დროს ქართლ-კახეთის მეფე იქნება გიორგი XII და ტახტის მემკიდრენი იქნებიან მისი შთამომავალნი; მაშასადამე, ქართლ-კახეთი სამეფოს სტატუსს ინარჩუნებდა.

3) ქართლ-კახეთის მეფეს და მის მემკვიდრეებს რუსეთში მიეცემათ მამული.

4) ქართლ-კახეთის მეფე მიიღებს რუსეთისგან ჯამაგირს.

პეტერბურგის სამეფო კარზე წარდგენილ ამ საბუთზე ხელს აწერენ „მეფე სრულიად საქართველოჲსა გიორგი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე“.

გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო

გართულდა. გარსევანისთვის აშკარა გახდა, რომ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას გეგმავდა. ამ პირობებში გ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამომუშავებული იქნა ახალი პროგრამა, რომელიც მისაღები უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობისთვის და ამავე დროს ქართლ-კახეთს სამეფოს შეუნარჩუნებდა.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1801 წლის აპრილის თვეში ქართველი ელჩების მიერ რუსეთის მთავრობისადმი ჩაბარებული **„ნოტა“** (ასე უწოდებენ მას ავტორები), რომელიც **პლატონ იოსელიანის** სიტყვით, გ. ჭავჭავაძის მინაწერებს შეიცავს. ეს „ნოტა“, თუ მთლიანად გ. ჭავჭავაძის მიერ არ არის შედგენილი, ყოველ შემთხვევაში, მისი მთავარი ავტორი სწორედ გ. ჭავჭავაძეა.

„ნოტაში“ აღნიშნულია, რომ ის შედგენილია გიორგი XII (აწ უკვე გარდაცვლილის) ინსტრუქციის მიხედვით. „ნოტა“ ახსენებს რუსეთის მთავრობას, რომ ქართლ-კახეთის სამეფომ „ნებით თვისით მისცეს თავი თვისი“ რუსეთს, ე. ი. რომ ის არ არის დაპყრობილი. რუსეთის მთავრობამ საქართველოში უნდა დაამტკიცოს „მეფე საქართველოსა“. ამასთანავე, „ნოტაში“ აღნიშნულია, რომ რუსეთთან გიორგი XII მიერ დადებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში მეფე უნდა ყოფილიყო; გიორგი XII წერდა: „რათა სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფობა“, ეს სიტყვები, განმარტებულია „ნოტაში“, გულისხმობს ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნებას. ქართლ-კახეთის მეფეს, „ნოტის“ მიხედვით უნდა ყავდეს „თანაშემწედ“ რუსეთის მთავრობის მოხელე. მეფე და მოხელე ორთავე უნდა აწერდნენ ხელს დოკუმენტებზე. საქართველოს დაწესებულებებში პირველ მოხელეებად იქნებიან ქართველი თავადები და აზნაურები, ხოლო „მეორენი შემდგომნი მათნი, რუსეთის მოხელეთაგანი“ არიან. ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა დაარსდეს **ხუთი სასამართლო**. პირველი დაწესებულება, ქართლ-კახეთის ცენტრში, უნდა იწოდებოდეს სენატის დეპარტამენტად, მასში უნდა შედიოდნენ: მეფე, თანაშემწე, სამი ქართველი მოხელე და რუსი მოხელეები. ამას გარდა უნდა იყოს სამეფოს მმართველობა, დაქვემდებარებული დეპარტამენტისადმი და სამი მაზრა.

თბილისში უნდა იყოს **პოლიცია**, რომლის სათავეში იქნება ობერ-პოლიცმეისტერი. აქვე იქნება სასამართლო, რომლის წევრები უნდა იყვნენ: ერთი ქართველი აზნაური, ერთი ვაჭარი და ერთი ხელოსანი. საბაჟოს უფროსი საქართველოში უნდა იყოს საქართველოს თავადი, თანაშემწეებად – ერთი ქართველი აზნაური და ერთი რუსი მოხელე.

საბაჟო საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ვაჭრობა განვითარდეს მეზობელ ქვეყნებთან.

მეფის ოჯახის წევრებს დარჩეს ის მამულები, რომლებიც აქვთ, ხოლო თუ რუსეთში წავლენ, მაშინ მათი ქონება გადაირიცხოს სახაზინოდ, ხოლო რუსეთში მიეცეს სამაგიერო. კათალიკოსი და ეკლესიის სხვა მსახურნი უნდა დარჩნენ ისევე, როგორც იყვნენ დღემდე.

აზნაურები და გლეხები უნდა დარჩნენ იმავე მდგომარეობაში, მხოლოდ უნდა აიკრძალოს გლეხების საზღვარგარეთ გაყიდვა, აგრეთვე, გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. საქართველოში უნდა იმყოფებოდეს 6000 მხედარი. ჭარელნი უნდა დავანაწილოთ სხვადასხვა ადგილას, რომ საქართველოს ვნება არ მიაყენონ.

„ნოტა“ საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია, რომელშიც ხაზგასმით არის გატარებული ის აზრი, რომ საქართველოს სამეფოს არსებობა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ფარგლებში.

გ. ჭავჭავაძე რუსეთის სამეფო კარზე 17 წლის განმავლობაში დაუღალავად, ერთგულად ემსახურებოდა თავისი ქვეყნის საქმეს. მისი მოქმედება ყოველთვის შეთანხმებული იყო ქართლ-კახეთის მეფეების სურვილთან. გარსევან ჭავჭავაძე არასოდეს არ გამოდიოდა თავისი რწმუნებულების ფარგლებიდან და ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას. თავისი უანგარო მოღვაწეოით გარსევან ჭავჭავაძემ დაიმსახურა, როგორც ქართლ-კახეთის, ისე რუსეთის მთავრობის ნდობა და პატივისცემა. ირაკლის სიტყვებით, გარსევანი იყო თავისი სამშობლის „უერთგულესი“ პატრიოტი. ერეკლე II გ. ჭავჭავაძეს უბოძა სოფ. ნაფარეული იმისათვის, რომ გარსევანმა „მინდობიობა ჩვენი შეასრულა ისე, როგორც ჩვენ გვინდოდაო“.

ამავე დროს **პ. ა. ზუბოვი,** ეკატერინე II ფავორიტი და მისი ფაქტიური მოადგილე, თავის წერილში ირაკლი II-სადმი, „აქებს რუსეთისა და თავის სამშობლოს სასარგებლოდ ღირსეულ“ მებრძოლს გ. ჭავჭავაძეს, რომელმაც პეტერბურგში „თავისი გონებითა და განათლებით“, აგრეთვე სამშობლოს ერთგულებით საერთო პატივისცემა დაიმსახურა.

ირაკლი II განუსაზღვრელად ენდობოდა გარსევანს, ასეთივე ნდობით სარგებლობდა ის გიორგი XII-საგან; საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი მეფე გიორგი XII გ. ჭავჭავაძეს კითხულობდა, მის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა; როცა გარსევანი დაბრუნდება, „მაშინ მე მშვიდად მოვკვდებიო“, ამბობდა იგი.

გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, თბილისში გ. ჭავჭავაძის ოჯახი

იყო ის ცენტრი, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება და მსჯელობდა საჭირბოროტო საკითხებზე. ამ პერიოდში აქ არ იყო გარსევანი, ის რუსეთის სამეფო კარზე იყო. თბილისში კი მოქმედებდნენ გარსევანის მეუღლე **მარიამი,** განათლებული და ენერგიული ქალი, და მისი ძმა **გიორგი ავალიშვილი.** ისინი ღებულობდნენ პეტერბურგიდან გ. ჭავჭავაძის დავალებას და ცდილობდნენ მის შესრულებას. ასე მაგალითად, მათ მიიღეს გარსევანის ინსტრუქცია, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად რუსეთის იმპერიის ფარგლებში, საჭიროა ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორის სახელზე დაწეროს თხოვნა. ხელი მოაწერონ და გადაუგზავნონ გარსევანს. **ლაზარევი** ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მათ მოქმედებას. ამასთანავე გენ. ლაზარევი სწერდა კნორინგს, რომ გ. ჭავჭავაძის მეუღლემ თავისი გულღია მიღებით „მიიზიდა თავისთან პატივისცემითა და სიყვარულით რუსები, რომლებიც თბილისში იმყოფებიანო“.

1801 წლის ოქტომბერში გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებზე უკანასკნელად წარსდგა **ალექსანდრე I** წინაშე ქართული დელეგაციის მეთაურის სახით. ალექსანდრე I უკვე მიიღო „საქართველოს სამეფოს მმართველობა“ და გ. ჭავჭავაძე ამ დელეგაციიდან პირველ რიგში დაასაჩუქრა, მაგრამ როგორც რუსეთის ქვეშევრდომი, მისი „ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი“ (სამოქალაქო ჩინი, რომელიც გენერალ-მაიორს უდრიდა).

1801 წლის შემოდგომაზე გ. ჭავჭავაძე დაბრუნდა თბილისში. გარსევანს საქართველოში განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო **დედოფალი მარიამი,** უფლისწულები და მათი მომხრეები. **დავით ბაგრატიონი** გარსევანს შურისძიებით ემუქრებოდა. უფრო გვიან დავით ბაგრატიონი სწერდა გარსევანის შესახებ: „ვითარცა არს ჩვეულება ქართველთა თავადთა“ გარსევანმა „დაივიწყა სიყვარული სამეფოჲსა“ და სამშობლოს უღალატაო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანონიმური ავტორი ერთ-ერთი პროვოკაციული წერილისა, რომელიც **ივანე ორბელიანისადმი** იყო მიწერილი, წერდა, რომ უფლისწულებსა და თავადაზნაურობას ასახლებენ რუსეთში და „ყოველივე ეს მოწყობილია თქვენი გარსევანითო“.

გარსევანს მტრულად შეხვდა საქართველოს მმართველი **პ. კოვალენსკი,** რომელმაც იცოდა, რომ გ. ჭავჭავაძე ბოროტმოქმედებისთვის მის მოხსნას მოითხოვდა.

გ. ჭავჭავაძესთან თბილისში მოაწყდა ქართლისა და კახეთის თავადაზნაურობა. მისგან მოელოდნენ პასუხს რუსეთთან დამოკიდებულების ყოველგვარ საკითხზე. საქართველოში არავის არ სჯეროდა, რომ გ. ჭავჭავაძის გარეშე რუსეთის მთავრობა საქართველოს მიმართ რაიმე გადაწყვეტილებას გამოიტანდა. რუსეთის მთავრობას გარსევანი კავკასიის საკითხების მრჩევლად ჰყავდა. როდესაც ოსმალეთიდან და ირანიდან ქრისტიანი მოსახლეობის ამიერკავკასიაში მოზიდვის საკითხი დაისვა, ამისთვის რუსეთის მთავრობამ გ. ჭავჭავაძე სპეციალური დავალებით ერეკლე II-სთან გამოისტუმრა. რუსეთის მთავრობა სწერდა ერეკლეს, რომ ეს საიდუმლო საქმე მხოლოდ თქვენ ორმა პირმა იცით – მეფე ერეკლე II და გარსევან ჭავჭავაძემო.

ეკატერინე II იყო გარსევან ჭავჭავაძის პირმშოს – **ალექსანდრეს** მიმრქმელი.

ასეთ ვითარებაში ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის საკითხს გარსევანის გარეშე გადაწყვეტდა.

ამას ისიც დაემატა, რომ **კნორინგმა,** როდესაც ქართლ-კახეთის გაუქმების შესახებ მანიფესტს აქვეყნებდა და ჯარებით ალყა შემოარტყა მანიფესტის მოსასმენად შეკრებილ ქართველ თავადაზნაურობას, შეშინებულმა ექსცესებით, რომ რუსეთის მთავრობისთვის რამდენადმე მაინც მოეხსნა სამეფოს გაუქმების პასუხისმგებლობა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მონაწილეებად გ. ჭავჭავაძე და პეტერბურგში მყოფი ქართლ-კახეთის სხვა წარმომადგენლები დაასახელა.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმების პროცესში ტახტის დაკარგვით განაწყენებულმა ბაგრატიონებმა და მისმა მომხრეებმა გ. ჭავჭავაძეს სამშობლოს მოღალატე უწოდეს. საერთო აღელვებისა და აფორიაქების პერიოდში, ვნებათა ღელვის ვითარებაში ადვილად წარმოიშვა გ. ჭავჭავაძის სამშობლოს მოღალატეობის ბრალდება. მაგრამ ამ ბრალდებას ასევე დაუსაბუთებლად იმეორებდნენ შემდგომ პერიოდშიც.

გარსევანს მარიამ ჭავჭავაძისთვის, გარდა თავისი წერილისა, ქართველი საზოგადოების გასაცნობად გამოუგზავნია 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და დებულება ახალი მმართველობისა. გარსევანი წერდა: საჭიროა, რომ საქართველოდან გამოგზავნოთ თხოვნა, რომ თქვენ გინდათ რუსეთის მფარველობაში ყოფნა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით, საკუთარი მეფით. თუ თქვენ ამ საქმეს მე არ მომანდობთ, მაშინ გამოაგზავნეთ ხსენებული თხოვნით

თქვენი წარმომადგენელი და მასთან ერთად მეც ვიმოქმედებო. გარსევანი წერდა: თქვენ მეფეს მოგცემენ, თუ ითხოვთ. რაც შეეხება პეტერბურგის მთავრობის განკარგულებებსა და ბრძანებებს, თქვენ შეგიძლიათ, ისინი არ მიიღოთ შესასრულებლადო.

გ. ჭავჭავაძეს სურდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის ფარგლებში, ისე რომ არ მიემართა უკიდურესი ზომებისთვის, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას. შექმნილ ვითარებაში კი აჯანყება, რომელიც შეასუსტებდა რუსეთის პოზიციებს ამიერკავკასიაში, გამოიწვევდა ირანისა და ოსმალეთის აქტიურ გამოსვლას ამიერკავკასიის ხალხების დასაპყრობად.

საყურადღებოა გ. ჭავჭავაძის მოსაზრება ქართლ-კახეთიდან **უფლისწულების გასახლების შესახებ**. ის მომხრეა უფლისწულების გასახლებისა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უნდა აყვანილ იქნეს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც გ. ჭავჭავაძე მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენას, როგორი ფორმითაც არ უნდა მომხდარიყო ეს.

ციციანოვი დარწმუნდა, რომ სამშობლოს პატრიოტი და პროგრესულად მოაზროვნე გ. ჭავჭავაძე არ იყო იმპერიისთვის საიმედო. ეს აზრი ციციანოვში უფრო განმტკიცდა 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს, როცა გარსევანის პირმშო, 18 წლის **ალექსანდრე,** მომავალი პოეტი, აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა და უფლისწულ **ფარნავაზს** მიუვიდა. ეს ციციანოვისთვის ნიშანი იყო იმისა, რომ გარსევან ჭავჭავაძის ოჯახი მთავრობის საწინააღმდეგოდ არის განწყობილი. ციციანოვი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, მისი აზრით, გარსევანი არ ემსახურება რუსეთის ჯარს ერთგულად, არ ამარაგებდა ამ ჯარს თავის სამოურაოდან, რის გამოც ციციანოვმა ყაზახის მმართველად გ. ჭავჭავაძის მაგივრად **ტარასოვი** დანიშნა.

ციციანოვი სთხოვს პეტერბურგის კაბინეტს, რომ გ. ჭავჭავაძე გაწვეულ იქნეს საქართველოდან რაიმე საპატიო საბაბით. 1805 წლის მაისში ციციანოვმა გარსევანის და მისი შვილის გაწვევა რუსეთში ვერ მოახერხა, მაგრამ ამავე წლის ნოემბერში კი შესძლო. ეს კი იყო მისი უკანასკნელი მგზავრობა. ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, გარდაიცვალა 1811 წელს, 54 წლის ასაკში და **დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში პეტერბურგში;** მისი საფლავის ეპიტაფია, სხვათა შორის, შემდეგ სიტყვებსაც შეიცავს: „...ყოველთა ხვედრი ესე არს“.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გარსევანი არ გამოდიოდა მარტო ქართლ-კახეთის ინტერესების დასაცავად. ის არა მარტო საქმის კურსში იყო საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობისა, არამედ არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას, მზრუნველობა გამოეჩინა მათთვის რუსეთის სამეფო კარზე. ის ქართველი პატრიოტი იყო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

26 წლის ჭაბუკი გარსევანი 1784 წელს გაემგზავრა რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩად და 1802 წლამდე პეტერბურგში იმყოფებოდა. პეტერბურგში დავაჟკაცდა ის როგორც სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. სასახლეში კარგად მიღებულ გარსევანს პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში უხდებოდა ტრიალი. აქ ხვდებოდა ის რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილ ადამიანებს – ფილოსოფოსებს, მწერლებს, ეცნობოდა მათ შრომებს, მათ იდეებს.

გ. ჭავჭავაძე, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, ნაკითხი, განათლებული ადამიანი იყო, თავის წერილებში ის მიუთითებდა მაშინდელი გამოჩენილი ფილოსოფოსების შრომებზე.

ნიჭიერი და მგრძნობიერი პატრიოტი, ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სამშობლოს ერთგული იყო, ამიტომ მისთვის სამშობლოს მოღალატის წოდება, არა მარტო უმართებულოა, არამედ დანაშაულიც.

გ. ჭავჭავაძე კარგად ერკვეოდა საერთაშორისო საკითხებში. რუსეთის ორიენტაციის მომხრე, ის თავდადებული მებრძოლი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა.

ქართლ-კახეთის მაშინდელმა პროგრესულმა ნაწილმა, რომლის ერთ-ერთი მეთაური გარსევანი იყო, მართებულად შეაფასა მდგომარეობა და დაასკვნა, რომ **საქართველო „ჩიხშია“ მოქცეული** და რომ ამ „ჩიხიდან“ მას საკუთარი ძალებით გამოსვლა არ შეუძლია. ერთადერთი ძალა კი, რომელსაც საქართველო უნდა დაუკავშირდეს, ეს რუსეთია.

გარსევანი, რასაკვირველია, უკმაყოფილო იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით. გარსევანისთვის ეს ნიშნავდა მთელი თავისი მიზნების, თავის მისწრაფების, თავისი მოღვაწეობის კრახს. გაუქმდა ის, რასაც მან თავისი სიცოცხლე შეალია. ის მთელი თავისი არსებით იბრძოდა სამეფოს აღსადგენად. ამასთანავე, მისი შორსმჭვრეტელობა, მისი საღი პოლიტიკური ალღო და საერთაშორისო საქმეების ღრმა ცოდნა იმაში გამოიხატა, რომ სამეფოს აღდგენის ერთადერთ საშუალებად მას მიაჩნდა ბრძოლა რუსეთის იმპერიის შიგნით. მას არ მიაჩნდა შესაძლებლად, ამ ბრძოლის მონაწილე გაეხადა გარეშე მტერი.

ამიტომაც ის არ დაუკავშირდა **ალექსანდრეს** ან სხვა უფლისწულებს, რომლებიც ირანისა ან ოსმალეთის მოშველიებით ლამობდნენ მეფობის დაბრუნებას. გარსევანისთვის ასეთი ნაბიჯი მიუღებელი იყო, რადგანაც ირანი ან ოსმალეთი საქართველოს მხოლოდ განადგურებას მოუტანდნენ.

ქართველი ხალხის პროგრესული მოაზროვნეების ორიენტაცია რუსეთზე – გამართლდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყანა დაწყნარდა. ოსმალეთისა და ირანის სისტემატური თარეში საქართველოში საბოლოოდ შეწყდა.

ქართველი ხალხი თანდათანობით დაუახლოვდა რუს ხალხს. ქართველები და რუსები გაერთიანებულ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც გარეშე, ისე შიდა მტრების წინააღმდეგ.

ამონარიდები შეადგინა
ბერდიაკონმა გიორგიმ (რუხაძე).

ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

ევროსაბჭოს 15425 რეზოლუცია, უკრაინის კათოლიკური უნია და მებრძოლი ლიბერალიზმის რეალური სახე*

თავი 1. ევროსაბჭოს რეზოლუცია

უკრაინის „მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირმა“ (СПЖ) გამოაქვეყნა კირილე ალექსანდროვის ანალიტიკური წერილი: ПАСЕ при помощи Украины приняла программу укрепления ЛГБТ: что нас ждет (07. 02. 2022), რომელშიც განხილულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2021 წლის 25 დეკემბერს მიღებული #15425 დოკუმენტი „ევროპაში **ლგბტ**-სადმი მზარდ სიძულვილთან ბრძოლის“ შესახებ. არსებითად, ეს არის პროგრამული დოკუმენტი **ლგბტ**-ს იდეოლოგიური დაწინაურების თაობაზე, რომელიც ევროპული სახელმწიფოებისთვის პირდაპირ ინსტრუქციებს შეიცავს.

დოკუმენტს უმრავლესობასთან ერთად უკრაინის სამივე დელეგატმა მისცა ხმა, ხოლო კიდევ ორმა არაოფიციალურმა პირმა სიტყვიერად დაუჭირა მხარი. უკრაინელთა ამგვარი ერთსულოვნება გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ მათი ახლანდელი ხელისუფლება ევროპული ქვეყნების სოდომიის გამარჯვებისკენ აღებულ კურსს სრულიად იზიარებს.

აქედან გამომდინარე, მკითხველს არ გაუჭირდება საქართველოს მთავრობის პოზიციის შედარება ევროპულ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით 2019 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ, როცა „ქართულმა ოცნებამ“, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, საქართველოში გეი-პრაიდის ჩატარებაზე უარი ოფიციალურად განაცხადა. ნუთუ ამ ფაქტის გათვალისწინებით კიდევ შეიძლება დაისვას კითხვა: ვის და

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 23.03.2022.

რატომ სძულს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ქვეყნის მმართველი პარტია?! ან იქნებ ჩვენს პატარა სახელმწიფოში, ევროპის დიდი ქვეყნებისგან განსხვავებით, ჰომოსექსუალური ქორწინებები და გენდერული იდეოლოგია აღიარებული რომ არ არის, ნაცების და მათი ბელადის დამსახურებაა?!

ყველამ თავის სინდისთან აგოს პასუხი, ჩვენ კი, როგორც ევროსაბჭოში საპარლამენტო ასამბლეას უწოდებენ, „ევროპის დემოკრატიულ სინდისს“ მივუბრუნდეთ, და ცხადად დავინახოთ დეგრადაცია, რასაც თანამედროვე ევროპის მორალური კატეგორიები განიცდიან.

რეზოლუციის მეორე პუნქტში წერია, რომ უფრო მეტად **ლგბტ**-ადამიანების სამოქალაქო უფლებებს არღვევენ და მათ მიმართ სიძულვილს აღვივებენ ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეები, მთავრობის წარმომადგენლები და ასევე რელიგიური ლიდერები. საქმე ისაა, რომ რელიგიური ლიდერები აღნიშნულ საკითხებზე თავიანთი რელიგიების შესაბამის თვალსაზრისს გამოხატავენ. მაგალითად, **ლგბტ**-იდეოლოგია წმიდა წერილს ეწინააღმდეგება და ქრისტიანობისთვის ცოდვას წარმოადგენს. ევროპელები კი ვეღარ აცნობიერებენ, რომ სიძულვილი ცოდვისა ცოდვილის სიძულვილს არ ნიშნავს და არა ბიბლიური მცნებების არსებობაა მიზეზი ადამიანის უზნეობისა, არამედ ზნეობის დამცველ მცნებათა არარსებობის სურვილი, რომელიც ცოდვის მამხილებლისადმი სიძულვილით ჩნდება. ამიტომ დასავლეთს ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ საზოგადოება დააყენოს არჩევანის წინაშე: ან წმიდა წერილი, ან **ლგბტ**-იდეოლოგია.

ასამბლეის ლოგიკიდან გამომდინარე, როცა სკოლებში მოზარდებს თავს ახვევენ გენდერულ იდეოლოგიას, როცა ფსიქოლოგები მათ ყმაწვილურ პრობლემებს იმით ხსნიან, რომ ისინი „თავიანთი სხეულით არ შობილან“, როცა არასრულწლოვნებს ქირურგიული ოპერაციებით უცვლიან სქესს – ეს ბავშვთა უფლებების დარღვევა არ არის! ხოლო, როცა ბავშვებს ოჯახის, ქორწინებისა და ზნეობის ბიბლიურ გაგებას უნერგავენ, ეს „წინასწარაკვიატებული ანტიგენდერული, გენდერულ-კრიტიკული და ანტიტრანს-ნარატივებია“.

რეზოლუცია ევროპულ სახელმწიფოებს მოუწოდებს, თავიანთი კანონმდებლობებითა და განსაკუთრებით კონსტიტუციებით აკრძალონ ნებისმიერი ნორმა, რომელიც საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების ტრადიციულ ღირებულებებს იცავს; ხოლო უკვე არსებული ამგვარი სახის ყველა ნორმა უნდა გაუქმდეს.

ასამბლეა განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს უნგრეთის ხელისუფლების მიმართ (რეზ. პუნქტი 12.1) და მოითხოვს, დაუყოვნებლივ გააუქმონ 2020-2021 წლებში მიღებული ზომები, „რომლებიც ბავშვებს ნებას არ რთავენ თავიანთი გენდერული იდენტურობის აღიარებისა, როცა იგი განსხვავდება იმ სქესისგან, რომლითაც ბავშვი დაიბადა; შვილად აყვანას უკრძალავს ყველას, გარდა ჰეტეროსექსუალური წყვილებისა; ყოველმხრივი სექსუალური სწავლა-განათლების ბლოკირებას ახდენს და ტრანს-იდენტურ და ჰომოსექსუალურ გამოხატვებს კრძალავს“.

უნგრული კანონები, რომელმაც ასეთი მშფოთვარე ისტერიკა გამოიწვია, სინამვდვილეში **ლგბტ**-წარმომადგენლების უფლებებს სრულიადაც არ არღვევენ. ისინი მხოლოდ იცავენ ბავშვებსა და მოზარდებს **ლგბტ**-იდეოლოგიის პროპაგანდისგან.

საპარლამენტო ასამბლეა კი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ **ლგბტ**-პროპაგანდაზე, განსაკუთრებით ბავშვებს შორის, ყველა შეზღუდვა მოხსნან. რასაკვირველია, ეს სხვა არაფერია, გარდა ჩვენი შვილების გახრწნისაკენ პირდაპირი მოწოდებისა.

რეზოლუციის მიხედვით, **ლგბტ**-ს წარმომადგენლები ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით კანონის წინაშე „განსაკუთრებული კასტის“ პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ. ამისთვის კი სახელმწიფოებმა საკანონმდებლო ბაზა უნდა შეცვალონ და გაატარონ შემდეგი მოთხოვნები: გენდერის იურიდიული აღიარება; ინტერსექს-ადამიანების ფიზიკური ხელშეუხებლობა; ჰომოსექსუალური „ოჯახების“ დაცვა; ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის შემოღება; აზრის გამოხატვის, ასოციაციებისა და შეკრებების (ანუ გეი-პარადების) თავისუფლება.

ევროპარლამენტართა აგრესიული იდეოლოგიის უკეთ გასააზრებლად ჯერ გავიხსენოთ ბოლო ჟამის ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი: „არავის ხელ-ეწიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მხეცისა მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისა“ (გამც. 13,17). ახლა კი გავეცნოთ ასამბლეის ბეჭდიან ბრძანებას: „ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ მთავრობებს ან სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბიექტებს, რომელნიც უარყოფენ **ლგბტ**-ადამიანების უფლებებს, დაფინანსების მიღებაზე უარი ეთქვათ, ხოლო ვისაც უკვე მიეცა დაფინანსება, უკან იქნას გამოთხოვილი“ (პუნქ. 16,5).

15425 რეზოლუციიდან ნაწილობრივ წარმოდგენილი პუნქტებითაც კარგად ჩანს, რომ ყველაფერი, რაც მასშია ჩაწერილი, თუ განხორციელდა, მაშინ ეს მომასწავებელი იქნება ქრისტიანობისგან განდგომისა, ცხოვრების ბიბლიური გაგებისა და იმ ძირითადი პრინციპების უარყოფისა, რომელზეც კაცობრიობის არსებობის ისტორია აქამდე ეფუძნებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შვილები **ლგბტ**-პროპაგანდისტებს ხელებში ჩავუგდოთ, ხოლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოდომიის მხარდაჭერისა და სტიმულირების პროგრამები დავნერგოთ.

ამიტომ ვისაც სურს, რომ თვითონ, მისი შვილები და შვილიშვილები ისეთივე ადამიანებად დარჩნენ, როგორც ისინი ღმერთმა შექმნა, ყველა მოვალეა, ჩვენი საზოგადოება თავზე მოხვეული **ლგბტ**-იდეოლოგიისგან დაიცვას. თავის მხრივ, უკრაინელი მართლმადიდებელი ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ მიუხედავად ახალი ევროპული ღირებულებებისადმი მათი ხელისუფლების ერთგულებისა, უკრაინელ ხალხს თავისი სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს და იგი საკუთარი მრავალსაუკუნოვანი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი პრინციპების დაცვასა და შთამომავლობისთვის გადაცემას აუცილებლად შეძლებს.

ქართველმა მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზემოთ წარმოდგენილ ინფორმაციას რუსულენოვანი მედიის არსებობის გარეშე ვერავისგან მიიღებდა, რომლის ჩახშობასაც დიდი მონდომებით ცდილობენ ადგილობრივი ნაცები და უკრაინაგამოვლილი ნაც-ჩინოვნიკები.

თავი 2. უკრაინის კათოლიკური უნია

ამჟამად საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერო ძირითადად უკრაინისადმი მხარდამჭერი პათოსით არის გაჟღენთილი, რომელიც თავის სივრცეს მნიშვნელოვანწილად, ჩვენთვის კარგად ცნობილი ცრუ დასავლური იდეოლოგიით, რუსოფობიით ავსებს. რომ არა რუსოფობიის ფაქტორი, პრეზიდენტ ვ.ზელენსკის ამორალური კლიპების ნახვისა და მისი ქვეყნის მიერ სამშობლოდან გაქცეული ნაცელიტის შეფარების გამო, საქართველოში ნაცების გარდა უკრაინისთვის თავს არავინ გამოიდებდა.

მრავალჯერ ახსნილი და დასაბუთებული ფაქტების გათვალისწინებით, ქრისტიანი ადამიანი, თუ იგი ლიბერალური მედიის ტყვეობაში არ არის მოქცეული, როგორ ვერ უნდა აცნობიერებდეს, რომ დასავლური პოლიტიკის სტრატეგიულ იარაღს – რუსთა სიძულვილს ანუ რუსოფობიას – რეალურად მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ იყენებენ, რომლის სიძულვილი დასავლეთს 1054 წლიდან მოდგამს.

ჭეშმარიტების მტრობა მეორედ მოსვლამდე არ დასრულდება. უნდა გვახსოვდეს, რომ თურქების მიერ XV ს-ში ბიზანტიის დაპყრობამდე მართლმადიდებლურ იმპერიას ძირი კათოლიკების მიერ ორგანიზებულმა ჯვაროსანთა ლაშქრობებმა გამოუთხარეს. ევროპელთა პოლიტიკური იდეა განსაკუთრებით გამოიკვეთა სისასტიკით ცნობილი IV ლაშქრობის დროს, რომელიც 1204 წელს კონსტანტინეპოლის აღებით, იმპერიის გაყოფითა და ბიზანტიურ ოლქებში ლათინთა სამთავროების დაარსებით აღინიშნა.

შემონახულია პაპი ინოკენტი III-ის წერილი რუსეთის სამღვდელოებისადმი, რომელიც კონსტანტინეპოლის დაპყრობისთანავე არის დაწერილი. მასში მართლმადიდებლურ აღმოსავლეთთან დაკავშირებით გამოხატულია პაპის სანუკვარი გეგმის განხორციელების სურვილი, რომ ბიზანტიის იმპერიის რომისადმი დაქვემდებარებას ასევე მთელი რუსეთის კათოლიკობაზე მოქცევაც უნდა მოჰყვეს.

საეკლესიო ისტორიოგრაფიას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიზეზები, რომელიც აღმოსავლეთისადმი დასავლეთის განწყობას ქმნის: „ძირეული მიზეზი რუსეთსა და დასავლეთს შორის მრავალსაუკუნოვანი გაყოფისა და წინააღმდეგობისა განპირობებულია **მართლმადიდებლობით**, რასაც კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით ბიზანტიური მემკვიდრეობა შეიძლება ვუწოდოთ. ამ კონტექსტით დასავლური **რუსოფობია** არის ბუნებრივი გაგრძელება დასავლური ბიზანტიოფობიისა“ (დეკ. ვლადისლავ ციპინი).

კათოლიკურ დასავლეთს მართლმადიდებელთა დასამორჩილებლად ბრძოლა არასდროს შეუწყვეტია. ერთ-ერთი ღონისძიება ცნობილია უნიის (ლათ. „ერთობა“) სახელით, როცა ორი აღმსარებლობა ფორმალურად ისე შეერწყმის ერთმანეთს, რომ მართლმადიდებლური საღმრთისმსახურო წესები შენარჩუნებულია, მაგრამ პაპის მეთაურობასა და კათოლიკურ ცრუ დოგმატებს ყველა წევრი უნდა აღიარებდეს. კათოლიკებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ ლიონის, ფლორენციისა და ბრესტის მასშტაბურ უნიათა განხორციელების წარუმატებელი მცდელობანი, მაგრამ ამ ეტაპზე უკრაინის გაკათოლიკების მიზანმიმართული გეგმა უკვე შესრულების ფაზაში შევიდა.

ზემოთ ნახსენები უკრაინის მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი გვამცნობს (К. Шемлюк, 18.02.2022), რომ მიმდინარე წლის 9 თებერვალს სოციალური ქსელით გამოქვეყნდა პროექტი კონკორდატისა (შეთანხმება) უკრაინისა და ვატიკანის სახელმწიფოებს შორის, რომელმაც უკრაინაში კათოლიკეთა სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირება უნდა მოახდინოს.

ვლ. ზელენსკი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ (2019), წინასაარჩევნო დაპირებისაებრ, კარგა ხანს საეკლესიო საკითხებში არ ერეოდა. მაგრამ მან თანდათან როგორც ფანართან, ისე ვატიკანთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა.

კონკორდატის პროექტში პრეფერენციები, რომელთაც უკრაინელი კათოლიკები და უნიატები მიიღებენ, საკმაოდ მკაფიოდ არის გაწერილი: ა) კათოლიკური ეკლესიის საკულტო ნაგებობებს რესტავრაცია საბიუჯეტო სახსრებით უნდა ჩაუტარდეს. უკრაინის იმავე ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს კათოლიკური სასწავლო დაწესებულებანი. მაშინ, როცა უკრაინის ახლანდელი კანონმდელობით, სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ აფინანსებს. ბ) ქორწინების მოწმობა, რომელსაც კათოლიკური ეკლესია გასცემს, საერო მოწმობას გაუთანაბრდება. ამგვარ პრივილეგიას სხვა კონფესიები მოკლებულია. გ) საკაპელანო საქმიანობას უკრაინის ტერიტორიაზე აღასრულებს სამხედრო ეპისკოპოსი, რომელსაც წმინდა საყდარი დაამტკიცებს. დ) სახელმწიფო უნიატებს და კათოლიკებს დაუბრუნებს მთელ ქონებას, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ იქნა ჩამორთმეული.

აღსანიშნავია, რომ უკრაინას კანონი რესტიტუციაზე ჯერ მიღებული არ აქვს, ხოლო უნიატები თავიანთ სრულიად დაუსაბუთებელ პრეტენზიებს უკვე აცხადებენ დასავლეთ უკრაინის უდიდეს მართლმადიდებლურ მონასტერზე – პოჩაევის მიძინების ლავრაზე, რომელიც კიევის მღვიმის (პეჩერის) ლავრის შემდეგ უკრაინის სიდიდით მეორე სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს. ამასთან, პრობლემას ისიც ზრდის, რომ დასავლეთ უკრაინაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კათოლიკეა.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გააძლიერებს კონკორდატი კათოლიკეთა (უნიატთა) პოზიციებს მართლმადიდებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ეს ჩვენს საზოგადოებას ნაკლებად აღელვებს; ისევე როგორც, ჩვენ არცერთი გაერთიანება ან პარტია არ გვინახავს უკრაინელ მართლმადიდებელთა მდგომარეობით აღშფოთებული, როცა მათ რამდენიმე წლის წინ სქიზმატიკოსები საკუთარი ტაძრებიდან ერეკებოდნენ! ახლა კი ყველა „გმირ უკრაინელ ხალხს“ უთანაგრძნობს – ნაცებიცა და ნაცმაცუნებიც!

თავი 3. რუსეთი მებრძოლი ლიბერალიზმის წინააღმდეგ

დასავლური გაგებით, ლიბერალიზმი თავისუფალ აზროვნებას ნიშნავს, მაგრამ ამ ტერმინის არაერთმნიშვნელოვანმა დეფინიციამ დიდი ხანია რეაქციული იდეოლოგიის მნიშვნელობა შეიძინა და, ლექსიკოლოგიური განმარტებით თუ ვიტყვით, ლიბერალიზმი „უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობას, მავნე შემწყნარებლობას“ გაუიგივდა. ევროპული დემოკრატია სწორედ ამ აღვირახსნილ თავისუფლებას ახვევს თავს დანარჩენ მსოფლიოს და სიტყვის თავისუფლების, ადამიანთა უფლებების და დასავლური ღირებულებების დაცვით განუკითხაობის სინდრომს ნერგავს.

ამგვარად დანერგილმა დემოკრატიამ მედიას ზნეობრივი პასუხისმგებლობა საერთოდ მოუხსნა, გარყვნილებას გამოსწორების ნაცვლად აფიშირებისა და პროპაგანდის გზა გაუხსნა, ხოლო ტრადიციასა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ბრძოლა გამოუცხადა. ლიბერალური იდეებით შეპყრობილი პოლიტიკოსები, ექსპერტები და ჟურნალისტები კი, მათ შორის ცალკეული ქართველი მღვდელმთავრები, ერთიანი ფრონტით გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ; მაშინ, როცა ქრისტიანულ სამყაროში ერთადერთი ძლევამოსილი სახელმწიფო სწორედ რუსეთის ფედერაციაა, რომელიც სულის წარმწყმედელ ლგბტ-ს აგრესიულ იდეოლოგიას, პრინციპულად თუ გავაანალიზებთ, ამჯერად იარაღის ძალით იგერიებს.

144 მილიონიან ქვეყანას, რომლის მოსახლეობის 70% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, როგორ შეიძლება, რომ მართლმადიდებელმა (იერარქიულ ხარისხზე აღარაფერს ვამბობ) ბოროტების იმპერია უწოდოს და მისი პრეზიდენტი და პატრიარქი ეშმაკეულ საქმიანობაში საქვეყნოდ დაადანაშაულოს! ცრუმოძღვარნო, გონებას კარი გაუღეთ და სინამდვილის აღქმის საშუალება მიეცით: 24 თებერვალს, სამხედრო ოპერაციის დაწყების წინ, რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** გარკვევით განაცხადა, რომ რვაწლიანი ლოდინის მიუხედავად, ნატომ რუსეთის საზღვრებისკენ გაფართოება არ შეანელა; ამიტომ რუსეთი მოსკოვისკენ მიშვერილი რაკეტების გარემოცვაში არ აპირებს 1941 წლის შეცდომის გამეორებას, როცა დაყოვნების პოზიციაში მყოფ საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია გაუფრთხილებლად დაესხა თავს და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ვიცით, რომ ზოგი თანამოქალაქე სამხედრო ტერმინოლოგიაზეც

მწვავედ რეაგირებს. ამიტომ მხოლოდ ფაქტების კონსტატირებით შემოვიფარგლებით. რუსეთი რომ არა სპეციალურ სამხედრო **ოპერაციას**, არამედ **ომს** აწარმობდეს, უკრაინა რამდენიმე დღეში აღგვილი იქნებოდა პირისაგან მიწისა. რუსეთის მიზანია ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების დაცვა, რომელთა მოსახლეობა „რვა წლის განმავლობაში კიევის რეჟიმის მხრიდან შეურაცხყოფასა და გენოციდს განიცდიდა“; მის გეგმაში არ შედის უკრაინის ოკუპაცია, იგი უკრაინის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის მისაღწევად მხოლოდ მის სამხედრო ინფრასტრუქტურას ანადგურებს. ნარინჯისფერი რევოლუციისა და „მაიდანის“ შედეგად სათავეში მოსული ლიბერალ-დემოკრატები სხვაგვარად არ დაცხრნენ. ისინი **ნატოს** მიმართ გადაჭარბებულმა ნდობამ აცდუნა და ახლა თავიანთი ცოდვების ნაყოფს იმკიან.

უკრაინის განდიდებითა და ცრუ პატრიოტული იდეებით ყელყელაობა სიკეთეს არ მოგვიტანს. ქადაგებისას (13.03.2022) მეუფე სპირიდონმა (აბულაძე) სწორად აღნიშნა, რომ რუსები და უკრაინელენი ეთნიკურად ერთი ხალხია და მათ შორის არავინ არ უნდა ჩაერიოს.

დასავლელი პოლიტიკოსები, ისევე როგორც კონსტანტინეპოლის პატრიარქი **ბართლომეოსი**, უკრაინის მხარდაჭერით მშვიდობის ჩამოგდებას ხელს ვერ შეუწყობენ. პირიქით, რუსოფობიური გამოხტომებით კონფლიქტი უფრო მწვავდება და საერთაშორისო ურთიერთობებიც მეტად იძაბება.

„უკრაინის ავტოკეფალია“ ჩვენი მედიის ერთ-ერთი სპეკულაციური თემაა და ამიტომ მოკლედ მასაც შევეხებით. პუბლიცისტური წერილების საშუალებით ჩვენ ეს თემა არაერთხელ მიმოვიხილეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მათი ანოტირება მაინც აუცილებელია. ჩვეულებრივ, კითხვას ასე სვამენ: უჭერთ თუ არა მხარს უკრაინის ავტოკეფალიას? _ ამ არაკორექტულად დასმული შეკითხვის მიზანიც, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსოფობიის გაღვივებაა, რადგან ცრუ ან უვიცი რესპოდენტი, როგორც წესი, რიხიანად პასუხობს: დიდ და გმირ უკრაინელ ხალხს, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ავტოკეფალია, რომელსაც რუსეთის ეკლესია ეწინააღმდეგება!

გასაკიცხი არა რთულ საეკლესიო საკითხებში გაურკვევლობა, არამედ ეკლესიის სახელით სიძულვილის დათესვის მცდელობაა; იმ დედა ეკლესიისა, რომლის თავი თვით უფალი იესო ქრისტეა და რომელიც ერთია ყველა რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვა მართლმადიდებე-

ლი ქრისტიანისთვის! სწორედ ამ ერთობის დასარღვევად იღვწის მთელი ანტიქრისტიანული სამყარო, მაგრამ მან ვერაფრით ვერ ისწავლა საღმრთო განგებულების უცვლელი წესი, რომ ქრისტიანთა დაღვრილი სისხლი მათსავე ეკლესიას განამტკიცებს.

რაც შეეხება უკრაინის საკითხს, მასზე უკვე მრავალი ნარკვევი და მონოგრაფია დაიწერა. ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ამჟამად მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული კრიზისი 2019 წლის 6 იანვარს პატრ. ბართლომეოსის მიერ უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის“, ანუ იგივე განხეთქილთა და სქიზმატიკოსებისთვის, ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ტომოსის გადაცემამ გამოიწვია.

საქმე ისაა, რომ უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედის, ავტოკეფალია არასდროს მოუთხოვია. ამიტომ დაკონკრეტების გარეშე აღნიშნული შეკითხვის დასმა თავის თავშივე შეიცავს ცდომილებას, რადგან როგორც აღვნიშნეთ, „უკრაინის ავტოკეფალია“ მხოლოდ არაკანონიკური ქმედების შედეგია და მასში განხეთქილთა ერთი ჯგუფის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა იგულისხმება.

რაც მთავარია, ფანარის არაკანონიკური გეგმა უკრაინის ხელისუფლების მხარდაჭერით, ანუ ამერიკული ინსტრუქციებით, განხორციელდა და იგი მართლმადიდებელი ეკლესიის დევნასა და შევიწროებას გეგმაზომიერად აგრძელებს.

მგონია, დასაფიქრებლად საკმარისი მასალა წარმოვადგინეთ, რათა მეტი სერიოზულობით მოვეკიდოთ გლობალურ საკითხებზე აზრის გამოხატვას და ჩვენი ამბიციებით სამშობლოს საფრთხე არ შევუქმნათ. ისე, როგორც თვითმხილველი ახლო წარსულისა, ფაქტების გათვალისწინებით შეგახსენებთ, რომ მყვირალა პატრიოტები განსაცდელის დროს ქვეყნიდან გარბიან. თუმცა გასაკვირიც არ არის; როცა დასავლელ პატრონთა საამებლად მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის გადიდებულ სურათს მოედანზე გაშლი და ფეხით გათელავ, მისი ტანკისტები კანფეტებს მოგართმევენ?!



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე)

განაჩენი უმაღლესი მთავარსარდლისა *

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ამა წლის 26 მაისს, საზეიმო ცერემონიაზე პირველი სიტყვა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა წარმოთქვა. მთავრობისა და მხედრობის, ერისა და ბერის, მთელი ქვეყნის წინაშე წარმდგარმა პრეზიდენტმა, სადღესასწაულო თარიღის შესაფერისად ეროვნული ღირსების ამამაღლებელი და ქართველი ერის გამამხნევებელი სიტყვის ნაცვლად, ოპოზიციონერთა ასკაციან მიტინგზე წასაკითხი დეკლარაცია მოგვასმენინა; ამით კი «უმაღლესმა მთავარსარდალმა» პოლიტიკური ჰარაკირის განაჩემი თავის თავს თვითვე გამოუტანა.

სამწუხაროდ, მან ხელისუფლების უკიდეგანო კრიტიკითა და დადანაშაულებით დიპლომატიური კურიერის ფუნქციაც კი ვერ შეასრულა, რადგან თავისი მეგობრებისა და პარტნიორებისგან მიღებული ინფორმაცია ადრესატამდე უარგუმენტოდ და ფრიად უტაქტოდ მიიტანა. ასევე, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ მთავარსარდლის მდაბიურ მეტყველებასა და ჩაცმულობაზე, მაგრამ მის ამბიციას ისტორიის ცოდნაზე ცოტათი დავაცხრობთ, ვინაიდან პრეზიდენტის ფრაზა «ერთმორწმუნე ძმის მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ფრესკების განადგურების» თაობაზე არა მარტო ყვითელი პრესისა და ცრუ ისტორიკოსების მგზნებარების გამომხატველია, არამედ ჩვენს დიდ მეზობელთან შუღლის გასაღვივებლად მოტანილი ცრუ არგუმენტი.

ყოველგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად სიმართლე მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. მით უმეტეს, შენზე გაცილებით ძლიერ სახელმწიფოსთან, რომელსაც შენი ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი ოკუ-

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 31.05.2023.

პირებული აქვს, გარდა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა, კიდევ რა საშუალება შეიძლება არსებობდეს, რომ დაკარგული ტერიტორია შემოიერთო?! – არა დასაშორიშორებელი და დასაპირისპირებელი, არამედ დასაახლოვებელი და დამაკავშირებელი ფაქტების მოძიებაა საჭირო, რომლებიც ჩვენი საერთო ისტორიული გამოცდილებიდან ორივე ერისთვის სასარგებლო და სასიხარულო ამბებს შეგვახსენებს.

«ავტოკეფალიის გაუქმება»

რუსეთის მფლობელობაში საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანებასთან ერთად საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაც რუსეთის ეკლესიას შეუერთდა. მას *სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის საქართველოს საეგზარქოსო* ეწოდა და მისი დაარსების დღედ 1811 წლის 30 ივნისი გამოცხადდა. ამ დროს პატრიარქი **ანტონ II**, ძე ერეკლე მეფისა, უკვე საქართველოს ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი იყო, რადგან 1795 წელს დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსის **მაქსიმე II**-ის გარდაცვალების შემდეგ ამ საყდრის გაუქმება ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა.

ასე რომ, საეგზარქოსოს დაარსებამდე თხუთმეტიოდე წლით ადრე, 1796 წლის 30 მაისს, შვიდი საუკუნის განმავლობაში ორ საკათალიკოსოდ გაყოფილი საქართველოს ეკლესია გაერთიანდა. აღნიშნული გაერთიანების აქტი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებამდე ხუთი წლით ადრე განხორციელდა, რაც, ცხადია, რუსეთის კეთილისმყოფელ როლზე მიუთითებს. თუ ბიზანტიის დასუსტებას საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფა მოჰყვა, რუსეთის საერთაშორისო გავლენების გაძლიერებით საქართველო პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც გაერთიანდა. საჭიროა შეხსენება, რომ შეკავშირებას ხელს უწყობს მეგობარი ქვეყანა, ხოლო დამპყრობელი «დაყავი და იბატონე»-ს პრინციპით მოქმედებს.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით რუსეთის მაშინდელი ეკლესიის სინოდური მმართველობის ფორმას, რომლის გაუთვალისწინებლობას ქართველი მეცნიერ-პუბლიცისტების დასკვნები ერთადერთ პოპულისტურ დებულებამდე დაჰყავს: «რუსეთმა ავტოკეფალია გაგვიუქმა». რუსოფობთა მიერ ეს დემაგოგიურად ფორმულირებული სამი სიტყვა დიდი ხანია საფრთხობელად გამოიყენება და პაექრობის მოსურნესაც კი ფარ-ხმალს აყრევინებს. მაშინ, როცა აღნიშნული მოვლენის ობიექტურად შეფასებისთვის მხოლოდ ფაქტების სწორად აღნიშვნა არის საკმარისი.

საქმე ისაა, რომ 1721 წლის 25 იანვარს რუსეთის იმპერატორმა **პეტრე დიდმა** გამოსცა მანიფესტი «სასულიერო კოლეგიის, ანუ სასულიერო კრების მთავრობის» დაარსების შესახებ, რომელმაც **პატრიარქის იერარქიული ხარისხი გააუქმა და სასულიერო მთავრობა სენატს დაუქვემდებარა.** შემდგომ კოლეგიას ეწოდა უწმიდესი და უმართებელესი სინოდი, რომლის მთავარ ზედამხედველად არასასულიერო პირი, **ობერ-პროკურორი** დაინიშნა. ასეთ სიტუაციაში გასაკვირი არ არის, რომ «1783 წელს, როცა საქართველომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი ქვეშევრდომობა აღიარა, საქართველოს მეფე **ერეკლემ,** რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულება იკისრა საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმებისა და უწმიდესი სინოდისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების შესახებ».[2]

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე არტიკულში სწერია, რომ იმპერატორი საქართველოს კათოლიკოსს ანუ უმთავრეს მთავარეპისკოპოსს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრად ამტკიცებს *«რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელთმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა».* ე. ი. მაშინდელ საჭეთმპყრობელს, **ანტონ I**-ს მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ტიტული ფორმალურად შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ იერარქიულად მიტროპოლიტებიც კი, ტობოლსკელის ჩათვლით, მასზე მაღლა იდგნენ. ამიტომ სპეკულაციები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის წოდების იძულებით გაუქმების თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ ორ ერთმორწმუნე ერს შორის დასაპირისპირებელ ინსტრუმენტად გამოიყენება და მას ისტორიულ სამართლიანობასთან არაფერი აკავშირებს.

ისტორიულ მოვლენათა გამოძიებისა და შესწავლის საჭიროებაზე არავინ დავობს, მაგრამ თანამედროვე მკვლევარს, თუ იგი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მასში გაერთიანებული ერთმორწმუნე ერების გულშემატკივარია, მართებს გათვალისწინება ოფიციალურად გამოცხადებული დადგენილებისა. კერძოდ, რა ობიექტურობითაც არ

[2] **Церковныя ведомости, №2, 1901. С. 46.**

უნდა დავასაბუთოთ წარსულში მომხდარ ამბავთა თუ კონკრეტულ პირთა ქმედების მორალური მიზანშეწონილობა, დღეს მისი გამოყენება მდგომარეობის გამწვავებისთვის არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩაითვლება, მით უმეტეს, თუ ადრინდელი პრობლემა დაპირისპირებულმა მხარეებმა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთსიყვარულის ძალით უკვე დიდი ხანია გადაწყვიტეს.

სწორედ ამ რიგის საკითხებს განეკუთვნება რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კანონიკური კავშირი გაწყდა, 1943 წელს ორივე ავტოკეფალურმა ეკლესიამ წარსულს ჩააბარა ყოველგვარი საკანონმდებლო დავა და ანგარიშსწორება, და ლოცვითი და კანონიკური კავშირი აღადგინა.[3] ამ სასიხარულო მოვლენის ინიციატორები იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა **კალისტრატე** (ცინცაძე) და სრულიად რუსეთის პატრიარქი **სერგი** (სტრაგოროდსკი). აღსანიშნავია, რომ კავშირის გაწყვეტის დროინდელი ორივე ტახტის მპყრობელიც აწ უკვე კანონიზებული წმინდანია – წმიდა პატრიარქი **ტიხონი** (ბელავინი) და წმიდა კათოლიკოს-პატრიარქი **კირიონი** (საძაგლიშვილი). ეს კიდევ ერთი დამატებითი პირობაა იმისა, რომ საეკლესიო საკითხების მკვლევარმა ტაქტის გრძნობა არ დაკარგოს და პიროვნებათა შეფასებისას ზნეობრივ საზღვრებს არ გასცდეს.

ამ მხრივ, თავიანთი კრიტიკული «ქარ-ცეცხლით» განსაკუთრებით გამოირჩევიან დასავლური სერტიფიკატებისა და დიპლომების მქონე ე. წ. თეოლოგები, რომელნიც, მაგალითად, პატრიარქი ტიხონის მიმართ ურცხვ ცილისწამებასაც არ თაკილობენ. მათი მსჯელობის უსაფუძვლობა ძნელი დასანახი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ კორექტული დისკუსიისთვის აუცილებელ პირობას: ეროვნულ ან პოლიტიკურ სიბრტყეზე საეკლესიო კანონთა პროექცირება, ანუ ერთმანეთში მათი აღრევა, დაუშვებელია.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეკლესიებს შორის უთანხმოების მიზეზი გახდა არა რაიმე საერობო საკითხი, არამედ საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის გამოცხადება რუსეთის წმიდა სინოდის კურთხევის გარეშე. როგორც სინოდის განჩინებაში (19.11.1943) არის

[3] ჟ. სამი საუნჯე, №1, 2011. რუსეთის წმიდა სინოდის განჩინება, გვ. 90-106// ЖМП, №3, 1944.

აღნიშნული: «საეკლესიო თვალსაზრისით, იმპერიის მთელ ტერიტორიას, საქართველოს ჩათვლით, სათავეში ედგა წმიდა სინოდი და წარმოადგენდა ერთიან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. იმპერიის ფარგლებში სხვა, სინოდისაგან დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას, იურიდიულად არ ჰქონდა არსებობის უფლება. სწორედ ამან განაპირობა რუსი საეკლესიო სამართალმცოდნეების მკაცრი პოზიცია». მაგრამ ეს პრობლემა, როგორც აღვნიშნეთ, მალე 80 წელი გახდება, რაც აღმოფხვრილია და ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ეკლესიათა შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. დაპირისპირებას ცდილობენ მხოლოდ რუსოფობები, რომელთაც სინამდვილეში არც თავიანთი ეროვნული ეკლესია უყვართ.

დღეს, როცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სოციალური ქსელებისა და მედიის მიერ ხელოვნურად გამოყვანილი ცრუ მეცნიერები ძალადობენ, ზერელე ცოდნაც სერიოზულად საღდება. ამიტომ მავანს ჰგონია, რომ საქართველო რუსეთს რომელიმე კონკრეტული მმართველის გადაწყვეტილებით შეუერთდა და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება.

ბუნებრივია, ერთ წერილში მრავალ თემას, მით უმეტეს ხელმეორედ, ვერ განვიხილავთ, მაგრამ დასმული საკითხის ნათელსაყოფად ერთ-ერთი ადრინდელი ნარკვევიდან დასკვნა უნდა გავიმეოროთ: ბიზანტიის დაცემის შემდეგ, XV ს-დან მოკიდებული,ისტორიული სურათი საქართველოს რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობისა ცხადყოფს, რომ 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთება არა **ერეკლე II**-ისა და **გიორგი XII**-ის პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ქართული დიპლომატიის დამაგვირგვინებელი პოლიტიკური აქტები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი მაჰმადიანური გარემოცვის გასარღვევად საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ.

აქედან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის მოწინააღდეგე, ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკის იმ მაგისტრალური მიმართულების უარმყოფელად გამოდის, რომელსაც ჩვენი მოღვაწენი ხუთი საუკუნის განმავლობაში ადგნენ. ეს მიმართულება კი, თავის მხრივ, გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რომელსაც საქართველო გაქრისტიანების დღიდან, ანუ IV ს-დან აწარმოებდა.

«ფრესკების განადგურება»

ეკლესიის ისტორიაში ხატთმბრძოლთა სახელწოდებით ცნობილია წმიდა გამოსახულებათა მგმობი მწვალებლობა, რომელიც მკრეხელური თეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე ქრისტიანულ ხატებს, ფრესკებსა თუ მინიატიურებს მთელი სისასტიკით ებრძოდა. ეს ერესი ბიზანტიაში, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, VIII-IX სს-ში იყო გავრცელებული; XVI ს-დან, პროტესტანტულმა მიმდინარეობებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს რელიგიური ავტონომიების განვითარებას, რომელთაგან მრავალი დასავლური სექტა ხატთმბრძოლთა იდეების მატარებელი გახდა, მაგრამ მათ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არაფერი აკავშირებთ.

ამიტომ, თუ ვინმე ანადგურებს ხატს, ჯვარს, ფრესკას ან ტაძარს, იგი მართლმადიდებელი არ შეიძლება იყოს. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, საკულტო ქმნილება რომელი ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს; აფრიკული და ამერიკული მართლმადიდებლური ხატი ისეთივე წმიდა საგანია, როგორც ქართული და რუსული, ჩინური და იაპონური. მსოფლიოს ყველა ადგილობრივი ეროვნული ეკლესია იმიტომ იწოდება ერთ ეკლესიად, რომ ჩვენ ერთი და იგივე სარწმუნოებრივი მოძღვრება და საეკლესიო საიდუმლოები გვაერთიანებს.

ნუთუ საზოგადოებაში აღარ დაგროვდა იმდენი ცოდნა, რომ რუსებზე, როგორც ქართული ფრესკების შემთეთრებლებზე, გავრცელებულ ცილისწამებას ბოლო მოეღოს? როგორ გგონიათ, რუსზე გაბრაზებულმა ქართველმა რუსული ფრესკები რომ ჩამოფხიკოს, მას ქრისტიანი შეიძლება ვუწოდოთ? ან იქნებ ის ბორგნეული ქართველები მოვიხსენიოთ მართლმადიდებლებად, გასული ს-ის 90-იან წლებში, ყალბი პატრიოტული შემართებით, საგურამოში სტაროსელსკების საგვარეული სასაფლაო რომ დაარბიეს და ჯვრები დალეწეს?

ვფიქრობთ, ნამდვილი ისტორიის აღსადგენად აუცილებელია გახსენება რუსი ხელოვანებისა, რომელნიც სწორედ რუსეთთან შეერთებულ საქართველოში, ეგზარქოსობის პერიოდში მოღვაწეობდნენ.

გრიგოლ ადამოვი 1891 წელს თბილისის ანჩისხატის ტაძრის რესტავრაციაში იღებდა მონაწილეობას; **პეტრე ამფილოვმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრისთვის შექმნა ოთხი ხატი, ხოლო თბილისის ფერისცვალების მონასტრის ძველი კედლის მხატვრობა განაახლა; **ნ. ანდრეევმა** 1901 წელს დაასრულა შიომღვიმის მონასტრის იოვანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ეკლესიის კანკელისა და საკურთხევლის მრავალი ხატის წერა, ასევე მან მოხატა შიომღვიმის სიონიც, რომელიც თავად გივი ამილახვრის სახსრებით განახლდა; **პოლიდორ ბაბაევს** (+1870 წ.), რომელიც ცნობილი მხატვრის კ. ბრიულოვის მოწაფე იყო, თბილისის ტაძრებისთვის ხატები აქვს დაწერილი; **ალექსანდრე ჟიდკოვსკიმ**, იმპერატორ ალექსანდრე III-ის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, 1888 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტრის ფრესკები და ხატები განაახლა; **ანდრიანე მალახოვმა** XIX ს-ის შუა წლებში თბილისის სემინარიის ეკლესიის სამეუფო კარი მოხატა და სიონის ტაძრისთვის ორი ხატი დაწერა, ასევე შუამთისა და ქვაბთახევის მონასტერთა კანკელის ხატებიც მისი შექმნილია. საეგზარქოსოსთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე მასვე უნდა განეახლებინა ბიჭვინთის ტაძრის ძველი მოხატულობა, მაგრამ საქართველოსკენ მომავალი გზაში გარდაიცვალა; **მაკარ მინინმა** 1855 წელს სამთავროს ტაძრისთვის მრავალი ხატი შექმნა; **პეტრე ნასენკინმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრის კანკელი მოხატა და განაახლა; მანვე სოფ. გუდანისა და ახიელის ეკლესიებისთვის ხატები დაწერა; **პეტრე ნორევს** დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში, იგი 1856 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ თბილისის ხატწერის კლასს ხელმძღვანელობდა; მასვე ეკუთვნის აკვარელით შესრულებული «დედოფალი თამარი», რომელიც გ. შარაძეს 1970 წელს წელს აღმოუჩენია; **თეოდორე რუბცოვმა** გუდანისა და ახიელის ეკლესიათა კანკელი მოხატა და მოავარაყა, ხოლო 1861 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტერში კანკელი დადგა. საინტერესოა, რომ დავით გარეჯელის სარკოფაგის მოწყობა მას ჰქონია მინდობილი; **ვასილი სოლოხოვი** XIX ს-ის მეორე ნახევარში ალავერდის ტაძრის კანკელის ხატწერაში მონაწილეობდა; **მიხეილ ტროშჩინსკიმ** 1855-1856 წლებში თბილისი სიონში მნიშვნელოვანი ფერწერული სამუშაოები შეასრულა, მარტყოფის მონასტრის გუმბათიანი ტაძარიც მისი მოხატულია; **თეოდორე ხლამოვმა** 1859-1861 წლებში დაწერა და განაახლა ხატები და კანკელი ალავერდის ტაძრისა. იგი ამავე წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ხატწერას ასწავლიდა. მანვე გუდანისა და ახიელის ეკლესიების კანკელის ხატები დაწერა; **თეოდორე ჩერნოვმა** 1856 წელს სიონის ძველი კანკელი სვეტიცხოველში გადაიტანა და სამეუფო კარისთვის ხატები დაწერა; მან 1854 წელს ქვათახევის გა-

ნახლებულ მონასტერში ახალი კანკელი დადგა. სამეუფო კარიც მისი დამზადებულია (1855 წ.).

დაბოლოს, გავიხსენოთ ცნობილი მოღვაწენი: თავადი **გრიგოლ გაგარინი**, რომელმაც ანჩისხატისა და სვეტიცხოვლის ფრესკები აღადგინა და თავისი ხარჯით თბილისის სიონის ტაძარი ცვილის საღებავებით მოხატა(1850 წ.), და სახელგანთქმული **მიხეილ ნესტ-ეროვი**, მომხატველი აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრისა(ფრესკებისა და კანკელის კომპოზიციათა რაოდენობა 50-ს სჭარბობს), რომელიც 1898 წელს საქართველოში სამუშაოდ იმპ. ნიკოლოზ II-ის უმცროსმა ძმამ, უფლისწულმა გიორგიმ მოიწვია.

რუს მოღვაწეთა წარმოდგენილი არასრული სია ნუთუ არ გვარწმუნებს იმაში, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკა არა ხატთმბრძოლობის, არამედ ხატთმწერლობისკენ იყო მიმართული? – თუ თქვენ საა-ზროვნო სფეროდან ლოგიკა არ გამოდევნეთ და რუსთმოძულეობით გონება არ დააბნელეთ, მაშინ დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაც არ გაგიჭირდებათ.

სხვათა შორის, ტაძრების შეთეთრების მოარულ ამბებზე ორ შემთხვევასაც გავიხსენებთ, რომელიც მკითხველისთვის, ალბათ, საგულისყურო იქნება.

1892 წელს, საქართველოში სტუმრად მყოფი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 1 მაისს სვეტიცხოველში უნდა მიბრძანებულიყო. საქართველოს ეგზარქოსმა, მეუფე პალადიმ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მცხეთის ტაძარი შესაფერისად მოემზადებინა. «კედლები და თაღები ტაძრისა ადგილ-ადგილ, სადაც მხოლოდ შიშველი ქვები ჩანდა, შეაბათქაშეს(ე.ი. გაჯით ან კირით შელესეს); აქა-იქ შემორჩენილი ადრინდელი ფერწერა განბანეს და განაახლეს, იატაკი შეძლებისდაგვარად მოაშანდაკეს და ტაძრის შიგნით თითქმის მთლიანად თეთრად შეღებეს».[4]

აჰა, ბატონო, ეგზარქოსის მთელი დანაშაული: იატაკისა და შიშველი ქვების შეთეთრება! არც ეს გამოგვრჩეს: იმპერატრიცას ტაძარში შებრძანების შემდეგ საეგზარქოსო გუნდს სლავურად და ქართულად(!) შეუსრულებია „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ და „ქრისტე აღდგა“. ჟურნალში ასევე აღნიშნულია, რომ მეუფე პალადის სვეტიცხოვლის მოხატვაზეც უზრუნვია, ამისთვის საჭირო სახსრებიც გამოუნახავს და ამ საგანზე არქეოლოგიურ საზოგადოებასთან მიწ-

[4] **Прибавления к Церковным ведомостям, №23, 06.06.1892. С. 841.**

ერ-მოწერასაც შედგომია.

ჩვენთვის საინტერესო მეორე ფაქტი ნეკრესის ეკლესიის 1762 წლის გუჯარმა, ანუ იმ დროის საბუთმა შემოგვინახა, როცა საქართველო რუსეთთან ჯერ არ იყო შეერთებული. კათოლიკოსი იოსები საზოგადო ეპისტოლეთი ნეკრესის ეპისკოპოს დოსითეს, სხვა საკითხებთან ერთად, ატყობინებდა: «თუკი ეკლესიის კედლები გაშავდა, მაშინ ისინი უნდა მოვაბათქაშოთ და შევათეთროთო».[5] იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველ კათალიკოსს რუსთა წინამორბედ ხატთმბრძოლად არ გამოაცხადებენ.

ჩვენ კი, ღმრთის შეწევნით, დემაგოგებთან ბრძოლაზე უარს არასდროს ვიტყვით და მშვიდობას ბოროტებასთან შეგუების საწინდრად არ გადავაქცევთ.

[5] **Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Тифлис, 1881. С.41.**



სერგი მაკალათია

მესხეთ-ჯავახეთი

თბილისი, 1938

თეზისები

ისტორიული მიმოხილვა

მესხეთ-ჯავახეთი, ან ზემო-ქართლი, ტერიტორიალურად შეადგენდა შიდა და ქვემო-ქართლის განუყოფელ ნაწილს და იგი მტკვრისა და ჭოროხის ხეობებით დაკავშირებული იყო ქართლის ისტორიულ-პოლიტიკურ ცენტრებთან: უფლისციხე-მცხეთა-თბილისთან. მესხეთ-ჯავახეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეადგენდა ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელსაც დასავლეთის მხარეზე საზღვრავდა რომი, შემდეგ ბიზანტია, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი – სომხეთი და ირანი. ამიტომ მესხეთ-ჯავახეთს, როგორც ქართლის ზემო ნაწილს, თავდაცვის საქმეში ეძლეოდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. იგი დარაჯობდა მტკვრისა და ჭოროხის სათავეებს, რომელიც ძველთაგანვე შეადგენდა ქართლის სამხრეთის ბუნებრივ საზღვარს. მდინარე ჭოროხის ხეობით ქართლი დაკავშირებული იყო მცირე აზიისა და საბერძნეთის პროვინციებთან, მტკვრის ხეობის სათავეებით კი – სამხრეთთან და ირანთან. ამ ორი ხეობის მიხედვით თვით ზემო-ქართლი იყოფოდა: ტაო-კლარჯეთად და მესხეთ-ჯავახეთად.

კლარჯეთი ან „ქვეყანა კლარჯეთისა“ ეწოდებოდა იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში და იგი შესდგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: **შავშეთი, არტანუჯი, ტაო, თორთომი** და **ბასიანი**. აქ პარხალის მთები და ბასიანი იყო ქართლისა და საბერძნეთის წყალ-გამყოფი ბუნებრივი საზღვარი. ტაოს-კარიდან იწყებოდა თორთომის სამხრეთ-დასვალეთით მდებარე **„გზა ქართლისა“** ანუ საქართველოს

ყელისა, რომელსაც შემდეგ თურქებმა **„გურჯი-ბოღაზი“** უწოდეს.

ტაოს-კარი იყო ზემო-ქართლისა და საბერძნეთის საზღვარზე და მას ბანა-ოლთისის წყალი ჰყოფდა ამიერ და იმიერ ტაოდ. იმიერ ტაო საბერძნეთს ეკუთვნოდა. ამიერ ტაოში საქართველოს სამფლობელო თავდებოდა ბანათი, რომლის სამხრეთით იწყებოდა საბერძნეთის სამეფო. ტაოს სამხრეთ-დასავლეთით საზღვრავდა ბასიანი, რომელიც ზემო-ქართლისა და საბერძნეთის საზღვარზე მდებარეობდა.

ამ ბანა-ოლთისის ხეობით ზემო-ქართლს ჰქონდა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა საბერძნეთის მცირე-აზიის პროვინციებთან და ამიტომ, როგორც მოსაზღვრე ნაწილი, ტაოსკარი და ბანა-ოლთისის ხეობა გამაგრებული იყო ციხე-სიმაგრეებით: ფანასკერტის ციხე, კალმახის ციხე, თუხარისი და სხვ.

ზემო-ქართლის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი **სამცხე-ჯავახეთი** მოქცეული იყო მტკვრის ხეობის სათავეებში. „ქვეყანაჲ სამცხისაჲ“ იწყებოდა ტასის კართან და თავდებოდა არსიანის მთასთან. მასში შედიოდა **აჭარაც**. სამცხის აღმოსავლეთით იყო **ჯავახეთი**, რომლის ნაწილს შეადგენდა: **ერუშეთი, არტაანი** და **კოლა**. „ხევი კოლაჲსი“-ს ეჭირა მტკვრის სათავე და აქედან იწყებოდა ზემო-ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი, სადაც მესხეთისა და კოლა-არტაანის მთები მტკვრის ხეობას ყოფს არეზისაგან. ზემო-ქართლისა და სომხეთის ეს საზღვარი გამაგრებული იყო **არტაანის** და **კარის** (ყარსის) მტკიცე ციხეებით.

კოლა-არტაანიდან გზები პირდაპირ ზემო-ქართლიდან შიდა და ქვემო-ქართლში შედიოდა, ამიტომ მტკვრის ხეობას ჭოროხის ხეობასთან შედარებით თავდაცვის საქმეში მეტი სტრატეგული მნიშვნელობა ეძლეოდა.

ჭოროხის ხეობა უერთდებოდა შავ ზღვას და იგი ტერიტორიულად უფრო დაკავშირებული იყო აჭარასთან და დასავლეთ საქართველოსთან. მტკვრის ხეობა კი ტერიტორიულად უშუალოდ აკავშირებდა ზემოსა და ქვემო ქართლს და ქმნიდა ამ ორივე ნაწილის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მთლიანობას. ამიტომ მტკვრის ხეობის დაცვა-გამაგრებას იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მით უმეტეს, ამ ხეობით მტრების შემოსევის დროს საფრთხე მოელოდა საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებს, როგორც იყო: **მცხეთა, უფლისციხე** და **თბილისი**, რომლებიც მდებარეობდნენ მტკვრის ნაპირას და წარმოადგენდნენ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებს.

ამასთანავე, ზემო-ქართლისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ყველა გზა შიდა და ზემო-ქართლში მხოლოდ ამ მტკვრის ხეობით შედიოდა. მაგალითად, ქართლისა ან „გურჯი ბოღაზის“ გზა საბერძნეთიდან მოდიოდა ჯერ კლარჯეთში, შემდეგ გადადიოდა არტანუჯში და აქედან არსიანის კარით ჯავახეთში. ჯავახეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გზა შედიოდა შიდა-ქართლში – უფლისციხე-მცხეთაში, ჩრდილოეთის მიმართულებით კი გზა გადადიოდა სამცხეში და იქიდან ლიხთ-იმერეთში; ამ გზას ეწოდებოდა **„გზა რკინის ჯუარისა“**.

ამავე მტკვრის ხეობით ქართლიდან კახეთში შედიოდა ტაო-კახეთის გზა, რომელიც ტაოდან თრიალეთზე და ჯავახეთზე გადადიოდა, შემდეგ მცხეთის ხიდს გაივლიდა და პირდაპირ კახეთში შედიოდა. კოლა-არტაანიდან კი არეზ-მტკვრის ხეობით გზა შემოდიოდა სომხეთიდან. ეს გზა მოდიოდა ანის-კარიდან და არტაან-ერუშეთით იგი გადადიოდა ჯავახეთ-სამცხეში და აქედან შიდა-ქართლში და მცხეთა-თბილისში.

ერთი სიტყვით, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის სამეფოს თავდაცვისთვის მტკვრის ხეობას უდიდესი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ხეობიდან შემოდიოდა ქართლში ყველა გზა და ამიტომ მტკვრის ხეობის დაცვა-გამაგრებას ისტორიულ წარსულში დიდი ყურადღება ექცეოდა. ამას მოწმობენ, სხვათა შორის, აქ დაცული პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეები: **ვარძია, თმოგვის ციხე, ხერთვისის ციხე**, რომელიც სდარაჯობს მტკვრის ორ ხეობას: ტბაფარავნისა (ჯავახეთის მტკვარი) და არტაანის (მტკვარი) წყლის შეერთებას, შემდეგ მტკვრის ქვემო მიმართებით არის **ასპინძისა**, **ახალციხისა** და **აწყურის** დიდი ციხეები.

ამ ციხე-სიმაგრეების მიზანი იყო, დაეცვა ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი, საიდანაც საქართველოს მუდამ მტრის შემოსევის საფრთხე მოელოდა. ამიტომ ამ ხეობის დაცვა-გამაგრებაზე იყო დაკავშირებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიული მთლიანობა და ძლიერება.

ისტორიულ წარსულში ზემო-ქართლის სახელწოდებაც ცვალებადი იყო. VIII-X სს-ში, როდესაც ბაგრატიონთა გვარის ერისთავებმა აქ, ტაო-კლარჯეთში დაარსეს თავიანთი საერისთაო, ამ მხარესაც ეწოდა ტაო-კლარჯეთი.[1]

[1] აშოტ კურაპალატის მემკვიდრეები იყოფოდნენ ორ შტოდ: პირველი, არტანუჯ-კლარჯნი მთავრები ან „კლარჯეთის ჴელმწიფენი“ იყვნენ და იწოდებოდნენ „მამფლად“, მეორე შტოს შეადგენდნენ „მეფენი ტაოსნი“.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი ჭოროხის ხეობიდან გადადის მტკვრის ხეობაში, ზემო-ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი ხდება **მესხეთი (სამცხე)** და ამ მხარესაც ეწოდა სამცხე ან მესხეთ-ჯავახეთი (XI-XIII სს.). შემდეგში კი, მონღოლთა შემოსევიდან (XIV ს.) მას ეწოდებოდა **სამცხე-საათაბაგო**.

ერთი სიტყვით, ძველი მესხეთ-ჯავახეთი ან სამცხე-საათაბაგო[2] ტერიტორიულად და ისტორიულად ეკუთვნოდა ქართლს, ხოლო გეოგრაფიულად შეადგენდა მის ზემო ნაწილს. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მესხეთ-ჯავახეთში წმიდა ქართული იყო, იგი მეტყველებდა ქართლურ კილოზე და თავისი ტიპით, ყოფა-ცხოვრებითა და ხასიათით არ განსხვავდებოდა შიდა და ქვემო-ქართლის მოსახლეობისგან.

ისტორიულ წარსულში ქართლის მოსახლეობის მიგრაცია მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით ხდებოდა. მძიმე პოლიტიკურ პირობებში ქართლის მოსახლეობა მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში პოულობდა თავშესაფარს, აქ ეძებდა იგი დამხმარე ძალას, იკრეფდა საკუთარ ძალღონეს და აქედან შემდეგ გადადიოდა მედგარ შეტევაზე და იბრძოდა პოლიტიკურ-ეროვნულ გაერთიანებისთვის.

მესხეთ-ჯავახეთის ან ძველი ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურება იწყება VIII-IX ს-ში, საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდში. მაგრამ სანამ ჩვენ ამ პერიოდის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი, თუ რას წარმოადგენდა ეს მხარე არაბთა შემოსევამდე.

მესხეთ-ჯავახეთის ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი **იბერიის** წარსულთან. მესხეთ-ჯავახეთი შეადგენდა იბერიის სამხრეთ ნაწილს და მდებარეობდა საბერძნეთის საზღვარზე. ამიტომ, როგორც სანაპირო მხარე, მესხეთ-ჯავახეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ დიდ ბრძოლებში, რომელსაც იბერიაში **ირანი** და **ბიზანტია** აწარმოებდნენ. ეს ბრძოლა იყო ხანგრძლივი, მან I-დან V ს-მდე გასტანა. ირანიც და ბიზანტიაც ცდილობდა იბერიის დაპყრობას და მის გამოყენებას თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, რომ მოეპოვებინა პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ქვეყნებში. ამის გამო იბერიამ ორივეს მხრივ განიცადა

[2] ათაბაგობა პირველად თამარმა უბოძა ივანე ამირსპასალარს და შემდეგ ათაბაგობა გადაიქცა მესხეთ-ჯავახეთის ერისთავ-მთავრების სახელისუფლო წოდებად.

არა ერთი შემოსევა და აოხრება. 532 წელს ირანმა დაიპყრო იბერია, იბერიის მეფე **გურგენი** ბიზანტიაში გაიხიზნა, ირანელებმა ამით ისარგებლეს და იბერიაში მოსპეს მეფობა.

ამასთანავე, გაუქმდა იბერიის ძველი სატახტო ქალაქი მცხეთა და იბერიის პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი გადატანილ იქნა თბილისში, სადაც იჯდა ირანის მოხელე მარზპანი და იბერიას განაგებდა. იბერიის დაპყრობას, გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობისა, აგრეთვე ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობაც.

იბერიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ამიერ-კავკასიაში ცენტრალური ადგილი ეჭირა, იგი წარმოადგენდა ერთგვარ გზასა და ხიდს ევროპასა და აზიას შორის. ამასთანავე, მას ჰქონდა გასასვლელი შავსა და კასპიის ზღვებზე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ – ჩრდილოეთის მიმართულებით, კავკასიონის ვიწრო და გრძელი გასასვლელით, დარიალის ხეობაში. ამიტომ იბერიის ტერიტორიის დამპყრობელი ბატონ-პატრონი ხდებოდა შავი და კასპიის ზღვის სანაპიროების და, აგრეთვე, ჩრდილოეთის მნიშვნელოვანი კარებისა: დარიალისა და დარუბანდისა, საიდანაც შემოდიოდნენ ჩრდილოეთის ველებზე მობინადრე ტომები და ამიერ-კავკასიაში საფრთხეს უმზადებდნენ ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ბატონობას. ამ მხრივ ბიზანტიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა მესხეთს, რომელიც მდებარეობდა ბიზანტიის სამეფოს საზღვარზე.

ბიზანტია მიზნად ისახავდა ამიერ-კავკასიიდან ირანის ბატონობის განდევნას, კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობას და შემდეგ ინდოეთისკენ მიმავალი გზების ხელში ჩაგდებას. ამ გეგმის განსახორციელებლად პირველ ყოვლისა საჭირო იყო იბერიის დაპყრობა; ამის გამო დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის. ბოლოს, ბიზანტიის კეისარმა **ჰერაკლემ** გაიმარჯვა 626 წელს და აღმოსავლეთ საქართველოდან ირანელები განდევნა. მაგრამ VII ს-ის პირველ ნახევარში არაბთა შემოსევამ ბოლო მოუღო ჩვენში ბიზანტიისა და ირანის ქიშპობას.

არაბები საქართველოში პირველად 643 წელს შემოვიდნენ და მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, რაც შეეხება სამხრეთსა (სამცხე) და დასავლეთ საქართველოს (ლაზიკა), არაბები იქ არ გადასულან, და ორივე ეს მხარე დარჩა ბიზანტიის მფარველობაში. მაგრამ არაბები ცდილობდნენ სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დაპყრობას და ამიერ-კავკასიაში ბიზანტიის

პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენისგან განთავისუფლებას. 730 წელს დიდი ჯარით **მურვანმა** გაილაშქრა სამხრეთ საქართველოში, შეესია სამცხეს 735 წელს, 9000 ჯარით დაეცა ოძრახეს ციხესთან გამაგრებულ იბერიელებს და დაამარცხა. არაბებმა ხელში ჩაიგდეს ზემო ქართლის ერთი ნაწილი, მტკვრის ხეობა; მხოლოდ მისი მეორე ნაწილი, ჭოროხის ხეობა, ვერ დაიპყრეს. ის ისევ ბიზანტიის მფარველობაში დარჩა.

ერთი სიტყვით, მურვანის შემოსევის შემდეგ არაბებმა ხელში ჩაიგდეს მთელი იბერია სამცხითურთ, გარდა მისი ერთი ნაწილისა, ჭოროხის ხეობისა.

არაბების ამ მეორე შემოსევის (730 წ.) შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობაც შეიცვალა და მათმა მმართველობამ მკაცრი ხასიათი მიიღო. არაბები ერეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების შინაურ საქმეებში. ამას თან დაერთო ხალხის ეკონომიკური შევიწროება და სარწმუნოებრივი დევნაც. ამის გამო მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა, განსაკუთრებით მისი მაღალი წოდება, რომელსაც არაბები აიძულებდნენ მიეღო მაჰმადიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ართმევდნენ ხელისუფლებას და ქონებას. ამიტომ არაბებისგან შევიწროებული ქართლის მოსახლეობა იძულებული შეიქმნა, რწმენისა და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, გახიზნულიყო ქართლის იმ მხარეში, სადაც არაბების ბატონობა არ ვრცელდებოდა და მოსახლეობა იმყოფებოდა ბიზანტიის მფარველობაში. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი კუთხე იყო ტაო-კლარჯეთი, დასავლეთში კი – ეგრისი (ლაზიკა) და აფხაზეთი, სადაც ამ დროს ბიზანტიის კეისრის მფარველობის წყალობით შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება იყო.

თვით ბიზანტიაც თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა არაბებთან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შავი ზღვის სანაპიროებისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელში ჩაგდებას. ამიტომ ბიზანტიისთვის საჭირო იყო სანაპირო ქვეყნების: ლაზიკის, აფხაზეთის და ტაო-კლარჯეთის შემომტკიცება-გამაგრება, რომ ამით შეექმნა აღმოსავლეთის საზღვარზე ერთგვარი საფარი არაბთა შემოსევის წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ ბიზანტიის კეისარი ასე თავგამოდებით იცავდა ამ მოსაზღვრე ქვეყნებს და მფარველობას უწევდა აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში გახიზნულ მოსახლეობას. ამგვარად, VII-VIII სს-ში არაბებისგან დევნილი ქართლის მოსახლეობის მიგრაცია ხდება ლაზიკაში და ჭოროხის ხეობაში და აქ ჩნდება ახალი დასახლებული ადგილები: **გურია**, **აჭარა** და **შავშეთ-კლარჯეთი**, სადაც ბიზანტიის

მფარველობაში მოსახლეობა პოულობდა შედარებით უფრო ასატან პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებს და სარწმუნოებრივ თავისუფლებას.

VIII ს-ში ქართლის ერისთავად იყო **აშოტ დიდი კურაპალატი** (786-826 წწ.), რომელმაც ვერ გაუძლო არაბების დევნასა და შევიწროებას და ბოლოს იძულებული შეიქნა, გახიზნულიყო ჭოროხის ხეობაში და დახმარება ეთხოვა ბიზანტიის კეისარისათვის. აშოტი აქ დაესახლა არტანუჯში და შექმნა ძლიერი საერისთაო შავშეთ-კლარჯეთისა. ბიზანტიის კეისარმა აშოტი დაამტკიცა ერისთავად და მას უბოძა კურაპალატობა. ამგვარად დაარსდა ტაო-კლარჯეთის საერისთავო, ქართლი კი დარჩა უერისთავოდ, რადგანაც თბილისის ამირას შიშით ქართლის ერისთავობას ვერავინ ბედავდა.

აშოტის ქართლიდან ტაო-კლარჯეთში გადასახლებასთან ერთად ტაო შეიქმნა ქართლის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად და **აშოტ კურაპალატიც** შეუდგა თავისი ახალი საერისთავოს მოწყობა-გაძლიერებას, რის შესახებაც მემატიანე **სუმბატ დავითის-ძე** მოგვითხრობს: „იგი დაემკვიდრა შავშეთ-კლარჯეთსა ზედა და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა და ზოგი ოხერი აღაშენა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა“.

მაგრამ ახალ საერისთავოს გაძლიერებისთვის მხოლოდ ტერიტორიული გაფართოება არ კმაროდა. მუშახელისა და მეომართა რიცხვის გასამრავლებლად საჭირო იყო მშრომელი მოსახლეობის მიზიდვა; ამ მიზნით აშოტ კურაპალატს გვერდში ამოუდგა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე **გრიგოლ ხანძთელი**, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ საეკლესიო მოძრაობას, ეგრეთწოდებულ მეუდაბნეობას, რამაც ტაო-კლარჯეთში მიიზიდა ქართლიდან დევნილი მრავალი ქრისტიანი. გრიგოლმა ხანძთის მონასტერში შექმნა ქრისტიანული რწმენისა და ქართული კულტურის ცენტრი. ამგვარად, ტაო-კლარჯეთი თანდათანობით გადაიქცა ქართლის მოსახლეობის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ და კულტურულ ცენტრად.

VIII ს-ის დასასრულს შავშეთ-კლარჯეთის ერისთავები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს საერისთავოების დაპყრობა-გაერთიანების ბრძოლებში და აფხაზთა ერისთავებს დიდ მეტოქეობას უწევდნენ ქართლის დაპყრობის საქმეში. მით უმეტეს, შავშეთ-კლარჯეთის ერისთავები თავიანთ თავს ქართლის საერისთავოს კანონიერ მემკვიდრეებად თვლიდნენ.

აშოტის მემკვიდრეთა შორის **ბაგრატი I** ცდილობდა სხვადასხვა

დიპლომატიური ხერხით დაებრუნებინა შიდა ქართლი და საშუალება არ მიეცა მისი მეტოქე აფხაზთა მეფისათვის, ქართლში გამაგრებულიყო. ბაგრატთან ერთად თავიანთი სამფლობელოს გასაფართოებლად იბრძოდნენ მისი ძმებიც, რომლებიც დამოუკიდებელი ფეოდალური საბატონოს შექმნას ცდილობდნენ. ამ მიზნით ბაგრატის უმცროსმა ძმამ **გუარამ მამფალმა** ისარგებლა არაბების ბატონობის შესუსტებით, გადავიდა მტკვრის ხეობაში და დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, არტაანი და შექმნა მსხვილი ფეოდალური სამფლობელო, **ჯავახეთად** წოდებული.

შავშეთ-კლარჯეთის საერისთავოს გაძლიერებას, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობდა ბიზანტიის კეისრის მფარველობა, რომლის პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა სანაპირო ქვეყნების გამაგრებას არაბთა შემოსევის წინააღმდეგ. ამ მხრივ შავშეთ-ტაო-კლარჯეთი თავისი სტრატეგიული მდებარეობით ბიზანტიისთვის წარმოადგენდა ერთგვარ საფარს და ბიზანტიის კეისარიც ცდილობდა, ტაო-კლარჯეთის ერისთავების კეთილგანწყობა არ დაეკარგა, ამიტომ იგი არ ერეოდა ტაო-კლარჯეთის შინაურ საქმეებში. კლარჯეთის ერისთავებმა ეს კარგად იცოდნენ და თუ კეისარი განიზრახავდა მათი უფლებრივ-ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას, მაშინვე დაემუქრებოდნენ მას და შეუთვლიდნენ, ჩვენ გადავდივართ არაბების მხარეზეო.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, როდესაც **აშოტ** კისკასმა **გურგენ** მაგისტროსის მტრობით არტანუჯის ციხე **რომანოზ** კეისარს (920-944) გადასცა და ბიზანტიის პატრიკმა **კონსტანტმა** ციხის კედელზე კეისრის დროშა აღმართა, ამაზე **გურგენ** და **დავით** მაგისტროსები აღშფოთდნენ. მათ აცნობეს კეისარს: „თუ მისი დიდებულება თავის ჯარს არტანუჯში შემოჰგზავნის, ჩვენ იმის სამსახურზე უარს ვიტყვით და სარაცინებს (არაბებს) მივემხრებითო“. კეისარი შეშინებულა, უკანვე გამოუხმია კონსტანტი და არტანუჯის ციხიდან დროშა ჩამოუხსნიათ.

ამით გათამამებული კლარჯეთის ერისთავები ხშირად ეცილებოდნენ ბიზანტიას მოსაზღვრე პროვინციების დასაკუთრებაში. **კონსტანტინე პორფიროგენეტი** მოგვითხრობს, რომ რასაც კლარჯეთის ერისთავები თავისი ძალით არაბებს ჩამოართმევდნენ, იმათ საკუთრებად რჩებოდაო. მაგრამ, როდესაც ბიზანტიელებმა არაბებს წაართვეს თეოდოსიოპოლი (არზრუმი), პორფიროგენეტი ამბობს: „იბერიელნი მოვიდნენ და დაიჭირეს მთელი ეს მხარე, როგორც თვით თეოდოსიოპოლი, რომელზედაც კანონის ძალით არავითარი უფლება მათ არა აქვთ, რადგანაც

საბერძნეთისა და იბერიის საზღვარია არაქსი (არეზი). ასე რომ, მარცხენა მხარე არაქსისა, რომელიც ივერიას დაჰყურებს, ეკუთვნის იბერიელებს, მარჯვენა მხარე კი, თეოდოსიოპოლის გარშემო ადგილებითურთ შეადგენს ჩვენს საკუთრებასა. მაგრამ რადგანაც კურაპალატი ერთგულად მსახურებს ჩვენს დიდებულებასა, ამისათვის მეგობრობის გამო ჩვენ დავთმეთ“.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იბრძოდნენ ტაო-კლარჯეთის ერისთავები, რომ გაეფართოებინათ თავიანთი საერისთავოს საზღვრები: მათ შესძლეს ზემო-ქართლში ჩამოეყალიბებიათ მსხვილი მესხეთ-ჯავახეთის საერისთავო, რომელიც ახლა საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა ქართლის ტერიტორიულ და პოლიტიკურ გაერთიანებას.

ქართლი, თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვანი კუთხე იყო. მას ეჭირა ცენტრალური ადგილი და ამიტომ რომელ ერისთავის ხელშიც იგი მოექცეოდა, ის ერისთავი გახდებოდა საქართველოს ბატონი და მთელი ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მესვეურიც.

ტაო-კლარჯეთის ერისთავებს ამ შემთხვევაში არ შეეძლოთ გარეშე მაყურებლად დარჩენა, მით უმეტეს ისინი ქართლს თავიანთ, მამეულ საკუთრებად სთვლიდნენ. მაგრამ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის ამ პერიოდში მესხეთ-ჯავახეთის ერისთავებს შორის ჩამოვარდნილი იყო შური და მტრობა. ამიტომ, როდესაც დაიწყო ქართლის დასაპყრობად ბრძოლა, მებრძოლნი გაიყვნენ ორ ბანაკად: ერთ მხარეზე დადგნენ სომეხთა ერისთავი და მისი მოკავშირე კლარჯეთის ერისთავი **დავით ბაგრატის-ძე**, მეორე მხარეზე კი – აფხაზთა მეფე და მისი მოკავშირე ჯავახეთ-არტაან-ტაშირის ერისთავი **ნასრი გურამისძე**.

ბრძოლა იყო ხანგრძლივი და ცვალებადი. 904 წელს აფხაზთა მეფემ გაიმარჯვა. მან შესძლო ქართლის ცენტრის, უფლისციხის დაპყრობა და ქართლში გაბატონება.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართლის დაპყრობის საქმეში აფხაზთა ერისთავები ბიზანტიის დახმარებით შეერთებული ძალით მოქმედებდნენ, მესხეთ-ჯავახეთის ერისთავები კი ერთმანეთს ებრძოდნენ და ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. მესხეთ-ჯავახეთის ერისთავების ამ შინაური განხეთქილებით ისარგებლეს აფხაზთა ერისთავებმა და მათ მოწინააღმდეგების დამარცხება და ქართ-ლის ხელში ჩაგდება ადვილად შესძლეს.

მაგრამ აფხაზთა მეფეებმა ქართლში თავიანთი ძალაუფლება მაინც ვერ განიმტკიცეს. მათ არ ემორჩილეოდნენ ქართლის დიდგვაროვანი ფეოდალ-ერისთავები, რომლებიც არ ცნობდნენ აფხაზთა მეფის უფლებას ქართლზე. ამას მოჰყვა შინაური განხეთქილება და ქვეყნის აშლილობა. ამ გარემოებით ისარგებლეს კახეთის ერისთავებმა და თბილისის ამირას დახმარებით ქართლში გაილაშქრნენ და დიდი ჯარით მიადგნენ უფლისციხეს.

ქართლის ერისთავებმა ვერ შესძლეს უფლისციხის დაცვა და **იოანე მარუშისძის** რჩევით, იძულებული გახდნენ, ქართლი გადაეცათ მისი კანონიერი მემკვიდრის, ტაოს მფლობელის **დავით კურაპალატისათვის**. მემატიანის სიტყვით: „ამან (იოანე მარუშისძემ) წარავლინა მოციქულნი წინაშე დავით კურაპალატისა, აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიჭიროს თვით, ანუ უბოძოს **ბაგრატს** – ძეს გურგენისსა, ასულის წულსა **გიორგი** აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოლა დედეულად აფხაზეთი და ქართლი ესევე“.

ერთი სიტყვით, იოანე მარუშისძე ურჩევდა დავით კურაპალატს, გაერთიანებული საქართველოს მეფედ დაესვა თავისი შვილობილი ბაგრატი, რომელსაც ფეოდალური მემკვიდრეობის ადათის ძალით შეეძლო საქართველოს გაერთიანება. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა შეეძლო მხოლოდ დავით კურაპალატს, რომელიც ძლიერ ერისთავად ითვლებოდა და მეზობელ სახელმწიფოებში თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით დიდი სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი.

დავით კურაპალატმა ისარგებლა ამ გარემოებით და დიდი ჯარით გაილაშქრა ქართლში. დავითმა აიღო უფლისციხე და ქართლი თავის შვილობილს ბაგრატს გადასცა. მემატიანის სიტყვით, დავითმა ქართლის დიდებულებს ასეთი გაფრთხილება მისცა თურმე: „ესე (ბაგრატ) არის მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყველანიო“.

ამგვარად, 974 წელს დავით კურაპალატმა ქართლში გადმოიყვანა და მეფედ დასვა ქართლის საერისთაოს კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი; ასე რომ, საქართველოს გაერთიანების პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა ტაო-კლარჯეთმა და მისმა ერისთავმა დავით კურაპალატმა, რომელსაც მეგობრული კავშირი ჰქონდა ბიზანტიის კეისართან. 971 წელს, როდესაც ბიზანტიის კეისარს აუჯანყდა **სკლიაროსი**, კეისარმა დახმარება სთხოვა დავითს, რომელმაც **ბასილ II**-ს გაუგზავნა 12.000-იანი იბერიელთა ჯარი **თორნიკე ერისთავის** სარდლობით.

თორნიკემ დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და აჯანყებაც ჩააქრო. ამისათვის კეისარმა თორნიკე დიდად დაასაჩუქრა, დავით კურაპალატს კი არზრუმისა და ბასიანის მხარე უბოძა.

ერთი სიტყვით, დავით კურაპალატი სარგებლობდა მოხერხებული პოლიტიკური გარემოებით და თავის სამფლობელოს საზღვრებს აფართოებდა. იგი გარდაიცვალა 1001 წელს, ხოლო ტაო მემკვიდრეობით გადაეცა ბაგრატ მეფეს; ბაგრატიც აღიარებულ იქნა აფხაზთა და ქართველთა მეფედ. მაგრამ მარტო ტაოს შემოერთება არ კმაროდა, საჭირო იყო კლარჯეთის დაბრუნებაც. ბაგრატმა ამ შემთხვევაში მიმართა ხერხს, რომ ნაკლები მსხვერპლის გაღებით კლარჯეთი ხელში ჩაეგდო.

ამ მიზნით კლარჯეთის ერისთავები ბაგრატმა სადარბაზოდ მიიწვია ფანასკერტის ციხეში, შეიპყრო ისინი და თმოგვის ციხეში ჩაკეტა, სადაც ყველანი დაიხოცნენ. მათი სამფლობელო – კლარჯეთი – ბაგრატმა დაიპყრო.

ამგვარად, ტაო-კლარჯეთმა საქართველოს გაერთიანებაში დიდი ისტორიული როლი შეასრულა. მაგრამ არც გაერთიანების შემდეგ დაუკარგავს მესხეთ-ჯავახეთს თავისი ისტორიულ-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა; ფეოდალური მონარქიის პერიოდშიც მესხეთ-ჯავახეთი, როგორც ჩვენ ამას შემდეგ დავინახავთ, ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ.

მხოლოდ, სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის კულტურული ღვაწლი, რომელიც ამ კუთხეს მიუძღვის საქართველოს გაერთიანების წინა პერიოდში, VIII-X საუკუნეებში.

საქართველოს გაერთიანების წინა პერიოდში სამონასტრო მოძრაობა ფრიად გაძლიერდა და ეკლესიის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მართალია, სასულიერო წოდება მოლაშქრეთა რიცხვით და შეიარაღებული ძალებით სხვებთან შედარებით სუსტი იყო, მაგრამ მას ეჭირა იდეოლოგიური ზემოქმედების იარაღი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოების დიდ ნაწილზე.

VIII-X სს-ში სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური მოძრაობის ცენტრად ტაო-კლარჯეთი გადაიქცა. ამ მოძრაობის მეთაური იყო გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე **გრიგოლ ხანძთელი** (756-861 წ.), რომელმაც ხელი შეუწყო კლარჯეთში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცებას და საეკლესიო მწერლობის აღორძინებას. გრიგოლ ხანძთელიც არაბების დევნას გამოექცა ქართლიდან, დასახლდა კლარჯეთში და აქ ხანძთაში

ააშენა მონასტერი, რომელიც შეიქმნა ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. ამას ხელს უწყობდა, რასაკვირველია, ბიზანტიის სიახლოვე და მისი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური გავლენა. გრიგოლ ხანძთელმა შექმნა მეუდაბნოე ბერების ძლიერი ჯგუფი, რომელიც გაურბოდა მაცთურ ქვეყანას, სიმდიდრეს და ქადაგებდა თავმდაბლობასა და სიგლახაკეს.

მეუდაბნოეთა ამ მოძრაობას ტაო-კლარჯეთში მოჰყვა დიდი საეკლესიო მშენებლობა, მრავალ უკაცრიელ ადგილზე გაჩნდა მოსახლეობა და გაშენდა სოფლები. ეკლესია და სასულიერო წოდება ტაო-კლარჯეთში გაძლიერდა და ახლა იგი მეტოქეობასაც კი უწევდა კლარჯეთის მთავრებს, არ ემორჩილებოდა მათ და სასულიერო ხელისუფლებას საეროზე მაღლა აყენებდა. გრიგოლ ხანძთელი ამბობდა: „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არვისსა ხელმწიფებასა ქვეშე არიანო“.

ამიტომ მაღალი სამღვდელოება ტაო-კლარჯეთის ერისთავების საქმეებში მონაწილეობდა; ტუქსავდა ურჩ ერისთავებს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მათ ეკლესიიდან და სამთავროდანაც სდევნიდა.

ამ სამონასტრო მოძრაობას ტაო-კლარჯეთში მოჰყვა სასულიერო მწერლობის განვითარება-დაწინაურება. აღმოცენდნენ მონასტრები, რომლებიც გადაიქცნენ იმდროინდელ სწავლა-განათლების ცენტრებად.

მათ შორის იყო შესანიშნავი ხანძთის მონასტერი, სადაც გრიგოლ ხანთელის შემდეგ მოღვაწეობდა გამოჩენილი სასულიერო მწერალი **გიორგი მერჩული**. ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კერად ტაო-კლარჯეთში შეიქმნა აგრეთვე ოპიზა. აქ მოღვაწეობდნენ: **მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი** და **სერაპიონ ზარზმელი**. ოპიზაში გადაინუსხა მრავალი თხზულება; მათ შორის ცნობილია 913 წელს გადაწერილი ოპიზის სახარება. ქართული მწერლობის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე შატბერდის მონასტერმა, სადაც ნათარგმნი და გადაწერილია მრავალი შესანიშნავი ძეგლი: 973 წლის შატბერდის კრებული, ჰადიშის სახარება 897 წ., ჯრუჭის სახარება 936 წ., პარხლის სახარება 973 წ., **იოანე ბერას** მიერ გადაწერილი უდაბნოს მონასტრის მრავალთავი X ს. და სხვ.

ცნობილი იყო, აგრეთვე, იშხანისა და ტბეთის მონასტრები. ტბეთში მოღვაწეობდა **სტეფანე მტბევარი**, რომელმაც აღწერა წმ. **გობრონის** ცხოვრება. აქვე მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიმნოგრაფები: **დავით** და **იოანე ტბელნი**. ტბეთშია გადაწერილი 955 წელს ტბეთის ცნობილი სახარება.

თორთომის ხეობაში იყო **ადარნასე კურაპალატის** მიერ (881-923 წწ.) აშენებული ოშკის მონასტერი, სადაც 978 წელს გადაიწერა ბიბლია, 977 წელს – „სამოთხე, ანუ **იოანე მოსხის** ლიმონარი“, **ოქროპირისა** და **ეფრემ ასურის** ქადაგებათა კრებული, იოანე ჩირაქის მიერ 977 წელს – **იოანე ოქროპირის** ცხოვრება და სხვ.

ამავე ხეობაში X ს-ში დაარსდა შესანიშნავი ხახულის მონასტერი, რომელიც სოფ. ხახულში ააშენა დავით კუროპალატმა. აქ მოღვაწეობდა შესანიშნავი მჭევრმეტყველი **იოანე ხახულელი**, რომელსაც ეწოდა **ოქროპირი**. იოანემ გადაწერა **კირილე ალექსანდრიელის** მოძღვრებანი და თებერვლის თთუენი.

ჭოროხის ხეობაში დაარსდა პარხლის მონასტერი, სადაც გაცხოველებული ლიტერატურული მუშაობა იყო. ცნობილია პარხლის მრავალთავი და სახარება.

ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო მუშაობამ ჩქარა გადალახა საქართველოს საზღვრები და იგი გვერდში ამოუდგა საბერძნეთის მოწინავე სკოლებს. ტაო-კლარჯეთის მოღვაწეებმა **იოანე** და **ექვთიმე მთაწმინდელმა** მიაშურეს ათონის მთას, სადაც იმ დროს დიდი სალიტერატურო მუშაობა იყო გაჩაღებული და აქ დააარსეს ივერიის პორტაიტის ღმრთისმშობლის მონასტერი (982-985 წ.), რომელიც გადაიქცა ქართული სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობის მნიშვნელოვან ცენტრად. ივერიის მონასტერმა ქართული სასულიერო მწერლობა დაუკავშირა ბიზანტიურს, საიდანაც ჩვენში ტაო-კლარჯეთის მეშვეობით ბერძნული კულტურის ნაკადები შემოდიოდა.

პროფ. კ. კეკელიძე ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო მოღვაწეობის ამ პერიოდს ასე ახასიათებს: „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქ გაიკვანძა ის კავშირი, რომელმაც შემდეგ პერიოდში წარმოშვა **ბიზანტიური მიმართულება**, აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა საგანგებო ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით

გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტებში და მერმე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ შტოს ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხისას. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან გადმოტანილი ტრადიციებით“.

კულტურულად დაწინაურებულმა მესხეთ-ჯავახეთმა ამ პერიოდში (VII-VIII სს.) წარმოშვა მთელი რიგი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა.

კ ი რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი, რომელიც ცნობილია თავისი პაექრობით ნესტორიან-მონოფიზიტებთან, დაიბადა ჯავახეთში და პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავისი სოფლის სკურტის სკოლაში. შემდეგ კი სწავლობდა საბერძნეთში.

კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ა რ ს ე ნ I დ ი დ ი, ავტორი თხზულებისა „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, დაიბადა და აღიზარდა სამცხეში.

ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, ცნობილი ჰაგიოგრაფი (X ს.) იყო სამცხიდან.

ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ ზ მ ე ლ ი, რომელმაც აღწერა თავისი ბიძის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, იყო კლარჯეთიდან.

გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი (951 წ.), გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი, შესანიშნავი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე.

გ რ ი გ ო ლ ო შ კ ე ლ ი, ცნობილია როგორც კარგი მთარგმნელი.

ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, ცნობილი ჰიმნოგრაფი (X ს.). მოღვაწეობდა ტბეთის სავანეში. შემდეგ იყო მაწყვერლად (აწყურის ეპისკოპოსი). იგი ცნობილია, როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიურად მოაზროვნე და კარგი სტილისტი.

მ ი ქ ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი, იოანე ვარაზვაჩეს შვილი და ძმა ექვთიმე ათონელისა. მიქელი მოღვაწეობდა ოშკის მონასტერში, იგი ითვლება ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ფუძემდებლად. მან დაგვიტოვა შესანიშნავი საგალობლებისა და ჰიმნების უზარმაზარი კრებული, რომელიც შეუდგენია 978-988 წწ-ში.

ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი (X ს.), გამოჩენილი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე, რომელიც ითვლება ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავრად. ექვთიმეს მამამ იოანემ დაარსა ივერიის მონასტერი. იოანე წარმოშობით სამცხიდან იყო, სოფ. ჩორჩანიდან, რომელიც დღეს ადიგენის რაიონშია, ზარზმიდან 7 კილომეტრის მანძილზე. ჩორჩანის მიდამო გამაგრებული ყოფილა მაგარი და მიუვალი ციხით, რომელიც

„ოქროსციხედ“ იწოდებოდა (დღევანდელი „აღთუნ-ყალა“). ამ მხარის მფლობელებს ჩორჩანელს (ჩორდვანელს) ეძახდნენ.

IX ს-ში **გიორგი ჩორჩანელმა**, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, თავისი სამფლობელო და „ჩორჩანელობა“ გადასცა თავის დისწულებს – ხურსიძეებს. ამ ჩორჩანელ-ხურსიძეთა გვარიდან იყვნენ იოანე, ექვთიმეს მამა, და ცნობილი სარდალი **თორნიკე ერისთავი**, რომელმაც მამაცობით თავი ისახელა საბერძნეთში. როდესაც ბიზანტიის კეისარს **ბასილ II**-ს აუჯანყდა სარდალი **ბარდა სკლიაროსი**, კეისარმა დახმარება სთხოვა **დავით კურაპალატს**, დავითმა გაგზავნა მაშველი ჯარი თორნიკე ერისთავის სარდლობით. თორნიკემ გაიმარჯვა და ამისთვის კეისარმა იგი დაასაჩუქრა. მთელი ეს ნადავლი თორნიკემ შესწირა ათონის მონასტერს, სადაც თვითონაც ბერად იყო შემდგარი.

ამ იოანე და თორნიკეს მიერ დაარსებულ ათონის მონასტერში იოანეს შვილმა ექვთიმემ გააჩაღა დიდი თარგმნითი მუშაობა. იგი ამასთანავე იყო ათონის მონასტრის წინამძღვარი, გამოჩენილი მთარგმნელი ბერძნულიდან ქართულად. მან ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „სიბრძნე ბალაჰვარისა“. არ არის საეკლესიო მწერლობის ისეთი დარგი, რომლიდანაც ექვთიმეს არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება.

VIII-X სს. ტაო-კლარჯეთში დაწინაურდა აგრეთვე ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგები: ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ჭედვითი ხელოვნება და სხვ. ამ ეპოქას ეკუთვნის მესხეთ-ჯავახეთის შესანიშნავი ძეგლები: ბანას მრგვალი ტაძარი, რომელიც შემკულია მაღალხარისხოვანი ჩუქურთმებითა და ქანდაკებებით. აგრეთვე, იშხანის, ტბეთის, ოშკის, ხახულის და სხვა შესანიშნავი მონასტრები, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებად.

ერთი სიტყვით, როგორც ზემომოყვანილი ფაქტები მოწმობენ, ქართლის პოლიტიკურ-კულტურული შემოქმედების ცენტრად VIII-X სს-ში ტაო-კლარჯეთი გადაიქცა, სადაც არაბებისგან დევნილმა **აშოტ კურაპალატმა** და **გრიგოლ ხანძთელმა** შესძლეს, ძლიერი საერისთავო და სამონასტრო ცხოვრება შეექმნათ. ამან ხელი შეუწყო მესხეთ-ჯავახეთის კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებას და იგი X ს-ში ქართული კულტურისა და განათლების კერად ჩამოყალიბდა.

მესხეთ-ჯავახეთის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღმოცენდა და განვითარდა შემდეგში (XI-XII სს.) თვით ქართული კლასიკური მწერლობაც.

980 წელს გამეფდა **ბაგრატ III**, რომელმაც გააერთიანა სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთი საქართველო, და იწოდებოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ. საქართველოს ფეოდალური ერთეულების ამგვარი ტერიტორიული გაერთიანება და ერთმეფობის დაარსება ნიშნავდა საქართველოს პოლიტიკურ გაძლიერებას, რასაც ბიზანტიის კეისარი არ თანაუგრძნობდა. გაძლიერებულ საქართველოს ადვილად შეეძლო ბიზანტიის მფარველობისგან თავის დაღწევა და ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში, ტერიტორიული გაფართოების მიზნით, შეტევაზე გადასვლა. მით უმეტეს, საქართველოსა და ბიზანტიას შორის სადავო იყო არზრუმისა და ბასიანის მხარე, სადაც ზემო-ქართლის მთავარი კარი მდებარეობდა. ამ მხარეს დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველო-ბიზანტიასა და მცირე აზიის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამიტომ გაერთიანებულ საქართველოს სამხრეთით ზურგი რომ გამაგრებული ჰქონოდა, საჭირო იყო ბასიან-არზრუმის შემოერთება და იქიდან ბიზანტიის განდევნა. მით უმეტეს, ამ ორივე მხარეს ფლობდა დავით კურაპალატი, რომლის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის კეისარმა იგი ბაგრატ III-ს წაართვა და თვით დაეუფლა.

1014 წელს **გიორგი I**-მა განიზრახა, ესარგებლა ბიზანტიის კეისრის **ბასილის** მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და მისთვის ეს ორივე მნიშვნელოვანი მხარე წაერთმია. ბასიან-არზრუმის გარშემო დაიწყო ბრძოლა, რომლის მთელი სიმძიმე გადატანილ იქნა მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე. 1023 წელს ეს ბრძოლა დამთავრდა გიორგი I-ის დამარცხებით: იგი იძულებული გახდა კეისართან ზავი შეეკრა და ხელი აეღო, არამარტო სადაო ბასიან-არზრუმზე, არამედ მისთვის გადაეცა ყველა ის ციხე-სიმაგრე და ადგილ-მამულებიც, რომლებიც ეკუთვნოდა დავით კუროპალატს: ტაო, კოლა-არტაანი და ჯავახეთი.

ამგვარად, მესხეთ-ჯავახეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები და საკმაოდ დიდი ტერიტორია. მაგრამ მესხეთ-ჯავახეთის გარშემო წარმოებული ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ბიზანტიის კეისარმა **კონსტანტინემ** ახლა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მესხეთ-ჯავახეთის მოსაზღვრე ადგილების დაპყრობა-შემოერთებას. ამ მიზნით მან აქ შექმნა ადმინისტრაციული ერთეული, იბერიის თემი „საკატაპანოდ“ წოდებული, რომელშიც შედიოდა კოლა-არტაანი და ჯავახეთი. ბიზანტიის კეისარი ცდილობდა ივერიის თემის გაფართოებას, რომ მთლიანად ხელში ჩაეგდო ზემო-ქართლის ტერიტორია. ამისთვის

ბერძნები არაფერს ზოგავდნენ და ყოველგვარ ხერხსა და საშუალებებს მიმართავდნენ: მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთის ფეოდალები მოსყიდვით თუ ქრთამით თავიანთ მხარეზე გადმოყავდათ. **ბაგრატ IV**-ის დროს ტაოს აზნაურები: **ვაჩე კარიჭისძე**, **ბანელი ეპისკოპოსი** და სხვანი განუდგნენ მეფეს და გადავიდნენ ბიზანტიის მხარეზე.

კეისარი მიმართავდა, აგრეთვე, შეიარაღებულ ძალას, რათა მესხეთის მნიშვნელოვანი ადგილები ხელში ჩაეგდო. შემდეგ ბერძნები შეეცადნენ, ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ აეჯანყებინათ ტაო-კლარჯეთის მცხოვრებნი: ამ მიზნით კონსტანტინეპოლიდან გადმოიყვანეს ბაგრატის ნათესავი **დემეტრე** და გამოაცხადეს კლარჯეთის ხელმწიფედ. ამგვარად, ბერძნებმა ბაგრატს აუჯანყეს ქვეშევრდომნი ტაო-კლარჯეთში და საქართველოს სამხრეთ ნაწილსაც საფრთხე შეუქმნეს. მით უმეტეს, დემეტრეს შველოდა ბიზანტიის ჯარი, რომლის დახმარებით დემეტრეს ადვილად შეეძლო ტაო-კლარჯეთის დაპყრობა და იქიდან ბაგრატის განდევნა, რასაც მიზნად ისახავდა ბიზანტიის კეისარი.

ბრძოლამ მიიღო მწვავე ხასიათი და ბაგრატ IV იძულებული გახდა ბიზანტიათან აღედგინა მშვიდობიანი ურთიერთობა და მიეღო კეისრის პოლიტიკური მფარველობა. ამ მიზნით, 1031 წელს მან **რომანოზ კეისარს** ზავი და მშვიდობის ჩამოგდება სთხოვა. კეისარსაც ეს სურდა, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფე ჰყოლოდა ვასალურ დამოკიდებულებაში და მესხეთ-ჯავახეთიდან მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეცდინა. კეისარი ბაგრატს დაეზავა. უბოძა მას კურაპალატობა და მშვიდობიანობის სიმტკიცისათვის მიათხოვა თავისი ასული **ელენე**. ერთი სიტყვით, მესხეთ-ჯავახეთის დაცვასა და შენარჩუნებას ბაგრატ IV უაღრეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან კარგად იცოდა, რომ ამ ტერიტორიის დაკარგვა საფრთხეს უმზადებდა საქართველოს გაერთიანების საქმეს და ვის ხელშიც მესხეთ-ჯავახეთი მოექცეოდა, იგი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონი გახდებოდა.

ამის შემდეგ ბაგრატი შეუდგა მესხეთ-ჯავახეთში თავისი შერყეული ძალა-უფლების განმტკიცებას: სამხრეთის მიმართულებით იგი აწარმოებდა გარკვეულ პოლიტიკას, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია არეზის სათავეში მდებარე სომხეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი ანისი, რომელსაც საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. 1045 წელს ფეოდალური მემკვიდრეობის წესით ბაგრატმა, რომლის დედა **მარიამი** იყო სომეხთა მეფის ასული, მიიღო ანისი. ეს ქალაქი ითვლებოდა სომხეთის პოლიტიკურ-კულტურულ და სავაჭრო ცენტრად

და ანისის ბაგრატის ხელში გადასვლა ნიშნავდა საქართველოს მეფის გაძლიერებას სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც მიუღებელი იყო ბიზანტიისათვის, მით უმეტეს კეისარი სომხეთს თავის ქვეშევრდომად სთვლიდა. ამის გამო კეისარი ბაგრატს ისევ აუმხედრდა; ახლა კეისარმა ბაგრატის წინააღმდეგ გამოიყვანა **ლიპარიტ ორბელიანი**; რომელიც ბაგრატის დაუძინებელი მტერი იყო. მესხეთ-ჯავახეთი ჩქარა გადაიქცა მათი ხანგრძლივი ბრძოლის ასპარეზად. ბაგრატი ვერ უმკლავდებოდა გაძლიერებულ ლიპარიტს, რომელმაც ბიზანტიის ჯარის დახმარებით ხელში ჩაიგდო ქართლის მნიშვნელოვანი ადგილები და მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიის ნაწილი. დამარცხებული ბაგრატი 1054 წელს გაემგზავრა კონსტანტინეპოლში და კეისარს მფარველობა და ლიპარიტთან შერიგება სთხოვა. **კონსტანტინე მონომახმა** ეს შემთხვევაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ორივე ასე შეათანხმა: ბაგრატი მთელი იბერიისა (ქართლ-მესხეთის) და აფხაზეთის პატრონი და მეფე იქნებოდა, ხოლო ლიპარიტი, სანამ იგი ცოცხალი იქნებოდა, მესხეთის მთავრად დადგინდებოდა, ხოლო ბაგრატი პატრონად და მეფედ უნდა მიეჩნია.

ერთი სიტყვით, კეისარმა მესხეთი ამ შემთხვევაშიც გადასცა თავის ერთგულ მოყმეს ლიპარიტს, რათა ეს სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მხარე ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის ქვეშ მოექცია.

მაგრამ ბიზანტიის აგრესია მესხეთის მიმართ ამით არ შეჩერებულა და გაძლიერებული ლიპარიტიც კეისრის დახმარებით განაგრძობდა ბაგრატის გავლენის შესუსტებას მესხეთ-ჯავახეთში. მაშინ ლიპარიტის ძალმომრეობით შევიწროებული მესხეთის ფეოდალების ერთი ჯგუფი მეფე ბაგრატს მიემხრო. მესხეთის ფეოდალებმა **სულა კალმახელის** მეთაურობით შეიპყრეს ლიპარიტი და იგი კალმახის ციხეში დაატუსაღეს, ბაგრატმა ასეთი სამსახურისთვის სულა კალამხელი დაასაჩუქრა: „ამის მსახურებისა ნაცულად მეფემან უბოძა მამულით ციხისჯუარი და ოძრხე, ბოდო-კლდითა და სხუაცა მრავალნი საქონელი“.

ბაგრატმა ლიპარიტს ჩამოართვა არტანუჯი, ყუელი და სხვა ციხე-სიმაგრეები, აგრეთვე ჩამოართვა მესხეთის ერისთავობა და იგი საბერძნეთში გააძევა. ამას მალე მოჰყვა თურქების შემოსევა, რომელმაც ბოლო მოუღო ბიზანტია-საქართველოს დაუსრულებელ ბრძოლას მესხეთ-ჯავახეთის გარშემო. თურქების სახით ბიზანტიასა და საქართველოს მოევლინა საერთო მტერი, რომელიც საფრთხეს უმ-

ზადებდა ორივე ქვეყნის პოლიტიკურ მშვიდობიანობას და ქრისტიანულ რწმენას.

1065 წელს, სომხეთის დაპყრობის შემდეგ **თურქები** მტკვრის ხეობით პირველად შემოიჭრნენ ჯავახეთში და მიადგნენ ახალქალაქს, რომელიც თურქებმა ააოხრეს და დიდი ნადავლით უკანვე გაბრუნდნენ.

თურქების ამ შემოსევამ უფრო გაართულა მესხეთ-ჯავახეთის პოლიტიკური მდგომარეობა და ამიტომ **გიორგი II**-მ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამხრეთ საქართველოს საზღვრების გამაგრებას. ამისათვის საჭირო იყო აქ მდებარე ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება და ჩაკეტვა. ასეთი იყო: ოლთისი, კარნუ-ქალაქი და კარი (ყარსი), რომელსაც საქართველოს სამხრეთის მხარის დასაცავად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მხარე ეკუთვნოდა ერისთავთ-ერისთავს **გრიგოლ ბაკურიანისძეს**, ცნობილ ქართველ მოღვაწეს და პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელს. გიორგი II-მ შესძლო, გრიგოლისგან მთელი ეს მხარე მიეღო და აქ მცველად შავშელი აზნაურები დაეყენებინა.

1074 წელს თურქებმა განაახლეს შემოტევა საქართველოს სამხრეთ საზღვარზე და აიღეს ქ. კარი. **1080** წელს თურქებმა გადმოლახეს მესხეთ-ჯავახეთის საზღვარი, მოაოხრეს კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, აჭარა და სხვ. თურქებმა გადასწვეს არტანუჯი და კლარჯეთი. მტრისგან აოხრებული მესხეთ-ჯავახეთის სოფლის მეურნეობა დაეცა და მოსახლეობა შემცირდა. ამასთანავე, თურქებმა ხელში ჩაიგდეს მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში მდებარე მესხეთ-ჯავახეთის ციხე-სიმაგრეები და შემოსასვლელი კარები; ყოველ გაზაფხულზე თურქების მოთარეშე რაზმები თავისუფლად შემოდიოდნენ მესხეთ-ჯავახეთიდან შუა ქართლში და მოსახლეობას იკლებდნენ: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა, ნაცულად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.

ერთი სიტყვით, მესხეთ-ჯავახეთში თურქების შემოსევას მოჰყვა სამხრეთის კარებისა და მტკვრისა და ჭოროხის სათავეების თურქების ხელში გადასვლა: თურქებმა იწყეს საქართველოში თავისუფალი თარეში. ამის გამო გიორგი II იძულებული შეიქნა, სულთანისთვის ეთხოვა ზავი და მისთვის ყოველწლიურად ხარკიც ეძლია.

მაგრამ თურქების ბატონობა აღმოსავლეთში მალე **ჯვაროსანთა** ომებმა შეასუსტა (1097-1250 წწ.). მაჰმადიანთა შორის დაუძლურება უფრო დაეტყო ირანის სელჩუკიან თურქებს, რომლებიც მესხეთ-ჯავახეთს მოსვენებას არ აძლევდნენ და ცდილობდნენ საქართველოს

ხელში ჩაგდებას. ჯვაროსნების მიერ **1097** წ. იერუსალიმის აღების შემდეგ თურქების პოლიტიკური ძლიერება შეირყა და ირანის სულთანს ძალა აღარ შესწევდა საქართველოს დალაშქვრისა. ახლა მთელი მისი სამხედრო ძლიერება მიმართული იყო ჯვაროსანთა წინააღმდეგ. ამან დროებით მესხეთ-ჯავახეთი თურქების შემოსევისაგან მოასვენა; **დავით აღმაშენებელმაც** ისარგებლა თურქების ძლიერების შესუსტებით და საგარეო მდგომარეობის გართულებით და თურქების სულთანს მოუსპო ხარაჯის მიცემა. ამგვარად, დავითმა საქართველო გაანთავისუფლა თურქების მოხარკეობისგან.

ამის შემდეგ დავითს არ მოელოდა საგარეო საფრთხე და იგი საქართველოს თურქებისაგან გაწმენდას და საზღვრების გაფართოებას შეუდგა. დავითის სამხედრო მოქმედების გეგმის მთავარ ამოცანას შეადგენდა თბილისის აღება და აქ სამეფო ტახტის გადმოტანა, შემდეგ კი სამხრეთის საზღვრების გაწმენდა თურქებისაგან და სომხეთის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.

1122 წელს დავითმა აიღო თბილისი, რომელიც მან გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად აქცია. თბილისისა და ქვემო-ქართლის შემომტკიცების შემდეგ დავითის საზრუნავი საქმე იყო ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის აღდგენა და ხელის შეწყობა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სომხეთის ქალაქის ანისის შემოერთებას, რომელსაც თურქების შემოსევამდე საქართველოსთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. ქ. ანისი არეზისა და მტკვრის ხეობით და მესხეთ-ჯავახეთის გზით უკავშირდებოდა თბილისს, ამიტომ დავითმა ახლა ყურადღება მიაქცია სამხრეთის საზღვრისა და მესხეთ-ჯავახეთის გაწმენდას თურქებისაგან, რათა ამ გზით სომხეთთან და საბერძნეთთან სავაჭრო ურთიერთობა აღედგინა.

1123 წელს დავითმა გაილაშქრა მესხეთ-ჯავახეთიდან ბასიანამდის, რის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა-კარნიფორი, ბასიანნი სპერამდინ და რაცა პოვა თურქმანნი, მოსრნა და ტყუე-ყო, ჩამოვლო ბუიათაყური და დაწუნა ოლთისნი და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“.

მესხეთ-ჯავახეთის საზღვრების თურქებისაგან განწმენდის შემდეგ დავითმა გაილაშქრა ანისში, დაამარცხა თურქები და ქალაქი აიღო. ანისის მეთვალყურეობა და დაცვა დავითმა გადასცა მესხ აზნაურებს, რომლებიც ანისისა და მესხეთ-ჯავახეთის მოსაზღვრე ქალაქების შე-

მოერთებითა და მათთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით დაინტერესებული იყვნენ.

ანისისა და, საზოგადოდ, სომხეთის საკითხმა **გიორგი III**-ის დროს (1156-1184 წწ.) მიიღო მწვავე პოლიტიკური ხასიათი: ამასთან დაკავშირებით მესხეთ-ჯავახეთს, როგორც სომხეთის მოსაზღვრეს, ეძლეოდა აქტუალური პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა. ამიტომ გიორგი III-ის მთელი სამხედრო მოქმედება მიმართული იყო სამხრეთისკენ, შაჰარმენების წინააღმდეგ, რომლებსაც სომხეთის სამეფოს ტერიტორია ეჭირათ. მით უმეტეს, შაჰარმენიის მნიშვნელოვანი ქალაქი ანისი საქართველოს მეფის მფარველობაში იყო და ამ სავაჭრო ქალაქს თურქებისგან მუდამ საფრთხე მოელოდა. თბილისის და მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად პირველ ყოვლისა საჭირო იყო საქართველოს სამხრეთ საზღვრის დაცვა, თბილის-ანის-დვინის სავაჭრო გზის თურქებისაგან განთავისუფლება და საქართველოს მეფის ძალა-უფლების განმტკიცება შაჰარმენიის ტერიტორიაზე.

ამ მიზნით გიორგი III შეუდგა მტკვრის ხეობის გამაგრებას და მან სამცხეში ააგო სიმაგრე **ვარძია**, რომელიც მტკვრის ხეობის შემოსასვლელ კარებს დარაჯობდა. მის მახლობლად იყო ძლიერი და მაგარი თმოგვის ციხე, შემდეგ ხერთვისის, ასპინძის, აწყურის და სხვა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც იცავდნენ მესხეთ-ჯავახეთის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილებს.

1161 წელს გიორგი III-მ დაიპყრო ანისი და იგი **ივანე ამირსპასალარს** გადასცა. 1162 წელს ანისიდან გიორგიმ გაილაშქრა დვინისაკენ, აიღო ეს ქალაქიც და გაანთავისუფლა თურქთა ბატონობისაგან.

ამგვარად, გიორგი III-მ იარაღით შესძლო სომხეთის სავაჭრო ქალაქების ანისისა და დვინის დაპყრობა, მაგრამ ძნელი შეიქნა ამ ქალაქების დაცვა-შენარჩუნება. თურქთა ამირები, ათაბაგები და სულთნები თავდადებით იბრძოდნენ ანისისა და დვინის დასაპყრობად. ამ ორ ქალაქს მათთვის სავაჭრო მნიშვნელობის გარდა, აგრეთვე, პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქ ქართველების გაძლიერება მაჰმადიანთა პოლიტიკურ-რელიგიური ძლიერების შესუსტება-დაცემას ნიშნავდა.

თამარ მეფის დროს (1184-1214 წწ.) მესხეთ-ჯავახეთი გადაიქცა სამხედრო მოქმედების მთავარ ასპარეზად, სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დიდი ბრძოლებიც წარმოებდა.

ჯვაროსანთა ომებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეასუსტა თურქთა და საზოგადოდ მაჰმადიანთა ქვეყნების ძლიერება: ეს გარემოება საქართველოს ფეოდალურ მონარქიას საშუალებას აძლევდა, ტერიტორიული გაფართოების მიზნით, გადასულიყო მეზობელი ქვეყნების დალაშქვრაზე, რაც ამავე დროს იძლეოდა საკმაოდ დიდ სამხედრო ალაფსა და ნადავლს.

ასეთი დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება უფრო მიზანშეწონილი იყო სამხრეთ-დასავლეთით, სადაც მტკვრის ხეობით სომხეთის მნიშვნელოვანი ქალაქები მდებარეობდნენ, ჭოროხის ხეობით კი – ტრაპიზონი და საბერძნეთის პროვინციები, რომელთა დაპყრობა თურქების ძლიერების დაცემის შემდეგ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ მიზნის განხორციელებაში მთავარი მნიშვნელობა ეძლეოდა მესხეთ-ჯავახეთის საზღვრებისა და მისი შემოსასვლელი კარების გამაგრებას. ამასთანავე, საჭირო იყო ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მხარის გამოცდილ და საიმედო ხელში გადაცემა. თამარმა ამ მიზნით დააწინაურა მესხეთის ფეოდალ-დიდებულები და ამირსპასალარობა უბოძა ჯერ **გამრეკელ-თორელს**, შემდეგ **სარგის**, **ზაქარია** და **ივანე მხარგრძელებს**, რომელთა საჯდომი და საბრძანებელი იყო სამცხეში (ახალციხეში).

მესხეთ-ჯავახეთის დაწინაურება თამარის ეპოქაში უმთავრესად გამოწვეული იყო ამ მხარის, როგორც მოწინავე სადროშოს პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობით; ამასთან, მესხეთ-ჯავახეთი შეადგენდა სამხედრო ვაზირის, ამირსპასალარის სახელისუფლოს, რომელსაც სავაზიროში მეორე ადგილი ეჭირა და გადამწყვეტ როლს თამაშობდა სამეფოს თავდაცვის საქმეში.

მესხეთ-ჯავახეთის გასამხედროება ხელს უწყობდა აქაური ფეოდალების გაძლიერებას. თამარის ეპოქაში მათ შორის ცნობილი იყვნენ: **თორელი, ფანასკერტელი, კალმახელი, თმოგველი, ჯაყელი, თუხარელი, გაგელი, ახალციხელი** და სხვ., რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათივე ხელში იყო პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეები: თმოგვისა, თორისა, ოძრხესი, არტანუჯისა, ყუელისა, კალმახისა, ახალციხისა და სხვ.

მესხეთ-ჯავახეთის ამ მეწინავე სადროშოს სათავეში იდგნენ გამოჩენილი სარდლები, რომელთა დახმარებით თამარი ცდილობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების გაფართოება-გამაგრებას.

1204 წელს, როდესაც **ჯვაროსნებმა** კონსტანტინეპოლი აიღეს და

გაძარცვეს, ამით ისარგებლა თამარმა და ტრაპიზონის დასაპყრობად ლაშქარი გაგზავნა. **ალექსი კომნენოსმა** აქ შექმნა ტრაპიზონის სამეფო, რომელიც იმყოფებოდა თამარის მფარველობაში. შემდეგ თამარმა განიზრახა კარის (ყარსის) დაპყრობა და აქ გამაგრება. კარის სტრატეგიული მნიშვნელობა მესხეთ-ჯავახეთის დასაცავად თამარისათვის ნათელი იყო; 1205 წელს ქართველებმა კარი დაიპყრეს და თამარმა ეს ქალაქი გადასცა **ივანე ახალციხელს**, რომელიც თამარ მეფემ დანიშნა მონაპირედ და მას ამირთ-ამირობა უბოძა.

მაგრამ კარის ქართველების ხელში გადასვლამ გამოიწვია დიდი მოძრაობა მაჰმადიან სულთნებს შორის. რუმის სულთანმა **რუქნადინმა** 1206 წ. დიდი ჯარით გამოილაშქრა კარის დასაპყრობად. საქართველოს ჯარი კი ჯავახეთში შეიყარა, თვით თამარი მივიდა ვარძიაში. ვარძიიდან საქართველოს ჯარი დაიძრა ბასიანისკენ. ამ ლაშქრის წინამბრძოლნი იყვნენ **ზაქარია მხარგრძელი**, ამირსპასალარი და ძმანი **შალვა** და **ივანე ახალციხელნი**. თამარი ოძრხეში დაბრუნდა და აქედან ადევნებდა თვალყურს სამხედრო ოპერაციების მსვლელობას. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს მესხეთ-ჯავახეთის ფეოდალ-ერისთავებმა: **ზაქარია გაგელმა**, **შალვა** და **ივანე ახალციხელებმა**, **თაყაიადინ თმოგველმა** და სხვ. სულთანი რუქნადინი ამ ბრძოლაში დამარცხდა. მაგრამ მარტო ქ. კარის აღება არ კმაროდა, საჭირო იყო აგრეთვე ქ. ანისის დაცვა. 1208 წელს ზაქარია ამირსპასალარმა ეს ქალაქიც გაანთავისუფლა არდაველი სულთანის შემოტევისაგან.

ამგვარად, მესხეთ-ჯავახეთის ფეოდალების დახმარებით თამარმა შესძლო სამხრეთ-დასავლეთით პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება და საქართველოს ფეოდალური მონარქიის ტერიტორიული გაფართოება.

მაგრამ მხოლოდ ტერიტორიული გაფართოება არ იყო საკმარისი, საჭირო იყო ნადავლის მოპოვება, რომელზედაც დამყარებული იყო ფეოდალური მონარქიის ძლიერება და კეთილდღეობა. ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა მესხეთ-ჯავახეთს, რომელიც მტკვრისა და არეზის ხეობით დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის ისეთ მდიდარ სავაჭრო ქალაქებთან, როგორებიც იყო: კარი, ანისი, ნახჭევანი, თავრიზი, არდებილი და სხვ.

1210 წელს ნადავლის მოპოვების მიზნით მესხეთ-ჯავახეთის დიდებულებმა ზაქარია ამირსპასალარის მეთაურობით განიზრახეს სპარსეთში გალაშქრება, რომლის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „მოვიდეს მხარგრძელნი ამირსპასალარი და მსახურთ უხუცესი **ივანე** და **ვარამ გაგელი** მეფეს წინაშე და მოახსენეს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმხნე სპათა შენთა, არამედ აღვამხედროთ ერაყს (ხორასანს) და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთით ძალი და სიმხნე ჩუენი: აწ უბრძანე სპათა საქართველოსათა, მზა იყუნენ ლაშქრობად ხვარასანსო“.

თამარმა ეს წინადადება მიიღო. სათარეშოდ მიმავალი საქართველოს ლაშქარი მტკვრის ხეობით შევიდა მესხეთ-ჯავახეთში, აქედან გადავიდა არეზის სათავეში და კარი-ანისის გზით შეიჭრა ჯერ ნახჭევანში, ხოლო შემდეგ თავრიზში. თავრიზიდან მოარბიეს: მიანა, ყაზმინი, ხოროსანი და სხვ. რაკი დიდძალი ალაფის დაგროვების გამო წინსვლა გაძნელებულა: „ვერ-ღა ძალ-ედვა წიაღსვლად ალაფისაგან“, ამბობს მემატიანე, ქართველებმა უკან დაბრუნება არჩიეს და „შემოიქციეს გამარჯვებულნი“.

ერთი სიტყვით, როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, XII ს-ში, რუსთაველის ეპოქაში სამხედრო ოპერაციები სწარმოებდა უმთავრესად საქართველოს სამხრეთ საზღვარზე და ამ ბრძოლებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მესხეთ-ჯავახეთი, რომელიც შეადგენდა მოწინავე რაზმს.

სამხედრო თავდაცვის მიზნით, თამარმა ეს მხარე ჩააბარა ამირსპასალარებს, რომლებიც მესხეთ-ჯავახეთს განაგებდნენ. ამირსპასალარის საბრძანისი სამცხეში ქ. ახალციხეში მდებარეობდა. სამხრეთის საზღვრის დაცვასა და ლაშქრობის საქმეს იგი აქედან ხელმძღვანელობდა და მეთვალყურეობდა.

თამარმა მესხეთ-ჯავახეთის გამგებელი ამირსპასალარი სამეფოს ერთგული სამსახურისთვის უფრო განადიდა და მას ა თ ა ბ ა გ ო ბ ა უბოძა, რაც მეფის აღმზრდელსა და მრჩეველს ნიშნავდა. მართალია, ქართველთა მატიანეში პირველ ათაბაგად მოხსენებულია **ივანე მხარგრძელი**, მაგრამ ქართლის ცხოვრების ცნობით პირდაპირ ჩანს, რომ ათაბაგობა პირველად ებოძა **იოანე ახალციხელს** ჯერ კიდევ ზაქარიას სიცოცხლეში, როდესაც თამარმა კარი აიღო: „იოანე მეფემან მისცა კარი და ათაბაგობა“. ივანე მხარგრძელს კი ეს თანამდებობა ებოძა ზაქარიას სიკვდილის შემდეგ. თამარის დროს, ამბობს ისტორიკოსი მარი ბროსე, ვინმე ივანე ახალციხელი 1207 წელს, ყარსის აღების შემდეგ „წოდებულ იქმნა ათაბეგად და ემირთ-ემირათ“-ო. ამის შემდეგ სამცხის ათაბაგები უფრო გაძლიერდნენ და ისინი საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ.

სამხედრო თავდაცვის მიზნით მესხეთ-ჯავახეთის საზღვრები და მტკვრისა და ჭოროხის ხეობის შემოსასვლელი კარები გამაგრებული იყო პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეებით. მათი მფლობელი ერისთავ-ფეოდალები: გაგელი, ციხისჯვარელი, თმოგველი, ფანასკერტელი, ახალციხელი, კალმახელი, ჯაყელი და სხვანი ითვლებოდნენ ძლიერ ერისთავებად, რომელთა განწყობილებაზე იყო დამოკიდებული საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერება თუ შესუსტება.

ამასთანავე, მესხეთ-ჯავახეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაშიც. მესხეთ-ჯავახეთის მტკვრისა და არეზის ხეობათა მეშვეობით საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სომხეთთან და ირანთან, სამხრეთ-დასავლეთით კი ჭოროხის ხეობით დაკავშირებული იყო საბერძნეთთან და მცირე აზიის პროვინციებთან. სამხრეთ საქართველოს ამ მხარეს მდებარეობდა ცნობილი სავაჭრო ქალაქები: ანისი, დვინი, ტრაპიზონი და სხვ. ამ ქალაქებთან საქართველო მესხეთ-ჯავახეთის მეშვეობით აწარმოებდა ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას. XII ს-ში საქართველოს ფეოდალური მონარქია ამ სავაჭრო ქალაქების ხელში ჩასაგდებად დიდ ბრძოლებს აწარმოებდა.

რუსთაველის ეპოქაში მტკვრისა და ჭოროხის ხეობებით მესხეთ-ჯავახეთში შემოდიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა და განათლება, რაც ხელს უწყობდა მესხეთ-ჯავახეთის საზოგადოებრივ-კულტურულ დაწინაურებას.

მესხეთ-ჯავახეთის სოციალური და კულტურული ვითარება XI-XII სს-ში

საქართველოს ფეოდალური ერთეულების გაერთიანების პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესხეთ-ჯავახეთი გადამწყვეტ როლს თამაშობდა და მან შესძლო, ეს დიდი პოლიტიკური საქმე გამარჯვებით დაემთავრებინა.

გაერთიანების შემდეგ მესხეთ-ჯავახეთი ფეოდალური მონარქიის ავანგარდად იქცა და, როგორც მეწინავე სადროშო, მესვეური იყო ყველა იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც საქართველოს ფეოდალური მონარქია სამხრეთის მხარეში აწარმოებდა.

ამასთანავე, მეფესა და ფეოდალებს შორის წარმოებულ ბრძოლებში მესხეთ-ჯავახეთის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა და საქართველოს მეფეები ცდილობდნენ, მესხეთის ერისთავ-დიდებულები მუდამ თავიანთ მხარეზე ჰყოლოდათ.

როდესაც **ბაგრატ IV**-მ საკუთარი ძალით ვერ შესძლო მეამბოხე ერისთავ-ერისთავის **ლიპარიტ ლიპატირის-ძის** დამარცხება, მას მოეშველნენ მესხეთის ერისთავები და **სულა კალმახელმა** ლიპარიტი დაამარცხა. ამისათვის მეფემ სულა კალმახელი დაასაჩუქრა და უბოძა მას: ციხისჯუარი და ოძრხე, ბოდო-კლდითა და სხვ.

მესხეთის ფეოდალ-ერისთავები საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ საქმეებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და მათი მიდგომა თუ განდგომა ხშირად ამა თუ იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხს სწყვეტდა. როდესაც **გიორგი III**-ს განუდგა **დემნა**, რომელსაც ეხმარებოდა ამირსპასალარი **ივანე ორბელიანი**, განდგომილებს მიემხრნენ სამცხის ერისთავები და აგრეთვე „ჯავახნი“ – **კახაჲ** შვილებითურთ, **დიდი გამრეკელი**, **მემნა ჯაყელი**, ჰასან კაენისა პატრონი და **გრიგოლ ანელი აპირატის-ძე.**

მეფე გიორგი III დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და მას მეამბოხეთა მხრივ სრული დამარცხება მოელოდა. მაგრამ იგი ამ შემთხვევაში იხსნეს ისევ მესხეთ-ჯავახეთის დიდებულებმა, რომელთაგან პირველად გიორგის მიემხრო დიდი გამრეკელი, რომელსაც შემდეგ მიჰყვნენ მესხეთ-ჯავახეთის სხვა ერისთავ-დიდებულები. ამან გადაწყვიტა მეამბოხეთა ბედი და გიორგი III-მ მათი დამარცხებაც ადვილად შესძლო.

თამარის მეფობის დროს, 1190-1191 წწ-ში **გიორგი რუსმა** განიზრახა თავისი დაკარგული ტახტის დაბრუნება და კონსტანტინეპოლიდან მოადგა კარნუ-ქალაქს, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობდა. ამან თამარს შეუქმნა საშიში მდგომარეობა, მით უმეტეს გიორგი რუსმა მიიმხრო მესხეთ-ჯავახეთის ფეოდალები: **გუზანი**, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, სამცხის სპასალარი **ბოცო**, **ივანე ყუარყვარე** ციხის-ჯვარელი და სხვ., რომლებმაც შეფიცეს გიორგი რუსს ერთგულება და აღუთქვეს დახმარება. მაგრამ თამარმა მესხეთის დიდებულის ამირსპასალარ **გამრეკელის** დახმარებით შესძლო მესხეთის მეამბოხე ფეოდალების თავის მხარეზე გადმობირება და ამან შეასუსტა განდგომილთა ბანაკი, რომელმაც დაიხია თმოგვისა და ერუშეთისკენ, სადაც გადამწყვეტ ბრძოლაში მეამბოხენი დამარცხდნენ.

ამგვარად, მესხეთ-ჯავახეთის ფეოდალ-ერისთავები შინაურ თუ საგარეო ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და მათ განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის პოლიტიკის

გამარჯვება-დამარცხებაში.

მესხეთ-ჯავახეთმა, აგრეთვე, დიდი კულტურული როლი ითამაშა რუსთაველის ეპოქაში. ქრისტიანული იდეოლოგია, ბერძნული ფილოსოფია და განათლება აქ შემოდიოდა ჭოროხის ხეობით, სპარსული და არაბული განათლება კი – არეზ-მტკვრის ხეობით. კულტურის ეს ორი ნაკადი იყრებოდა მესხეთ-ჯავახეთში, სადაც საკმაოდ ძირმომაგრებული იყო ქართული კულტურა და მწერლობა. ასეთ გაპოხიერებულ ნიადაგზე გაიზარდა და გაძლიერდა რუსთაველის ეპოქის დიდი კულტურული შემოქმედება. მესხეთ-ჯავახეთის კულტურულ დაწინაურებას ხელს უწყობდნენ აქ არსებული ძველი და ახალი სკოლები, რომელთა დაარსების ინიციატორები და მესვეურები იყვნენ მესხეთის მოღვაწეები. შავშეთელმა **პროხორემ** XI ს-ში ააშენა ჯვრის მონასტერი პალესტინაში და ეს მონასტერი **ბაგრატ IV** დროს გადაიქცა ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრად. **გრიგოლ ბაკურიანმა** 1083 წელს ბულგარეთში ააშენა პეტრიწონის მონასტერი, რომელიც გადაიქცა ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის კერად.

ამ სკოლების დამაარსებელი მესხეთ-ჯავახეთის მოღვაწენი მიზნად ისახავდნენ, საქართველოში გადმოენერგათ ქრისტიანული თეოლოგია და ბერძნული ფილოსოფია. ჩვენ ვხედავთ მესხეთიდან გამგზავრებულ მოწაფეებს, რომლებიც სწავლობდნენ უცხოეთის სკოლებში და რუსთაველის ეპოქაში ამ სკოლებმა ჩვენ შესანიშნავი მწერლები და ლიტერატურული მოღვაწეები აღგვიზარდა:

გიორგი მთაწმინდელი, რომელიც დაიბადა სამცხეში და სწავლობდა ხახულის მონასტერში, შემდეგ კი კონსტანტინეპოლში. იგი მოღვაწეობდა მთაწმინდის ლავრაში, სადაც ბერძნულიდან ქართულ ენაზე მრავალი საღმრთისმეტყველო შინაარსის თხზულება თარგმნა.

ეფრემ მცირე შესანიშნავი მეცნიერი და ფილოლოგ-ფილოსოფოსი იყო ტაოდან. ეფრემმა შექმნა ქართულ მწერლობის მთელი ეპოქა და მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ნიადაგი მოუმზადა ქართული მწერლობის განვითარების შემდგომ პერიოდს.

იოანე პეტრიწონელი, გამოჩენილი ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, რომელიც სწავლობდა კონსტანტინეპოლში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნეოპლატონურ ფილოსოფიურ მოძრაობაში. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით მისი წარმოშობის ადგილი, მაგრამ, უეჭველია, იოანე პეტრიწონელი ეკუთვნოდა მესხეთ-ჯავახეთის მოღვაწეთა წრეს.

იოანე ჭიმჭიმელი დაიბადა და აღიზარდა სამცხეში. იგი ცნობილი ფილოსოფოსია და ცხოვრობდა თამარის დროს.

იოანე ანჩელი იყო ანჩიდან და მან შეადგინა ანჩისხატის საგალობელი.

სარგის თმოგველი (1185 წ.) თმოგვის მფლობელი იყო. მან დასწერა „დილარიანი“.

იოანე შავთელი, ცნობილი პოეტი, ავტორი „აბდულმესიისა“, იყო შავშეთიდან. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

გამოჩენილი პოეტი ჩახრუხაძე თამარის კარის მეხოტბე, „თამარიანის“ ავტორი, დაიბადა მესხეთში.

მესხეთ-ჯავახეთის ამ გამოჩენილ მოღვაწეთა პლეადას აგვირგვინებს შოთა რუსთაველის გენიალური პიროვნება, რომელსაც სამართლიანად და სიამაყით შეეძლო ეთქვა: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“.

გარდა ამ სტროფისა რუსთაველის ავტობიოგრაფიის შესახებ სხვა წერილობითი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ მესხეთ-ჯავახეთში დღემდის გავრცელებულია თქმულება-გადმოცემები, რომლებიც გარკვევით მიგვითითებენ, რომ შოთა მესხია და მისი სამშობლოც მესხეთის რუსთავია.

მესხეთის რუსთავს სტრატეგიის და კულტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი მოქცეული იყო საქართველოს იმ დიდ სამხედრო გზაზე, რომელიც მტკვრის სათავიდან კოლა-არტაანით საქართველოში შემოდიოდა. სამხრეთის ეს გზა გამაგრებული იყო პირველხრისხოვანი ციხეებით: ვარძია-თმოგვი-ხერთვისი-ასპინძა-აწყური და სხვ. ამ დიდ სამხედრო გზაზე იყო რუსთავიც, მოქცეული ხერთვისსა და ასპინძას შუა; იგი აკავშირდებდა მესხეთ-ჯავახეთის ორ დიდ ცენტრს – ვარძიასა და სამცხეს. ამიტომ ისტორიულ წარსულში რუსთავს, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესხეთ-ჯავახეთის თავდაცვისა და კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების საქმეში.

რუსთაველის ეპოქაში განსაკუთრებით დაწინაურდა ხუროთმოძღვრება და ოქრომჭედლობა. იმდროინდელი ნაჭედი ხატები და ნივთები მნახველს დღესაც აოცებენ თავიანთი მაღალი ხელოვნებითა და ოსტატობით, როგორც, მაგალითად, ხახულის განთქმული ხატი. რუსთაველისა და თამარის ეპოქაში ცხოვრობდნენ მესხეთ-ჯავახეთის

განთქმული ოქრომჭედლები **ბექა** და **ბეშქენ ოპიზარნი**; რომლებმაც გააკეთეს ტბეთის და გელათის სახარების შესანიშნავი ყდები, ანჩის კარედი ხატი და სხვ.

სახუროთმოძღვრო ძეგლებიდან შესანიშნავია ამ ეპოქის ციხე-სიმაგრეები, განსაკუთრებით ვარძია და თმოგვის ციხე. მრავალსართულიან ვარძიაში გამოჭრილია დიდი ტაძარი, რომლის კედელზე გამოსახულია **გიორგი III** და თვით **თამარ მეფე**. ქვაბლიანის ხეობაში დაცულია ამ ეპოქის შესანიშნავი ძეგლი ზარზმა და სხვ.

მესხეთ-ჯავახეთმა დიდი კულტურული როლი ითამაშა ქართული საერო მწერლობის დაწინაურებაში. მესხეთის გამოჩენილმა პოეტებმა შექმნეს სახოტბო ლირიკა და რაინდული პოეზია, რომელიც აღმოცენდა ქალის რომანტიკული ტრფიალის მესხურ ტრადიციებზე; ამ რაინდული რომანტიკით გატაცებული იყო იმდროინდელი ფეოდალური არისტოკრატია.

ამას ხელს უწყობდა მესხეთის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო მტკვრისა და არეზის ხეობებით. აქედან შემოდიოდა არაბულ-ირანული კულტურის ნაკადები. ეს ხელს უწყობდა იმას, რომ მესხეთ-ჯავახეთი უშუალოდ გაცნობოდა არაბულ-ირანულ მწერლობას, მათ ენას, რწმენას და იდეოლოგიას. ამით აიხსნება, რომ რუსთაველის ეპოქაში მესხეთ-ჯავახეთის მწერლები ბერძნულ ეპიკურ და ფილოსოფიურ მწერლობასთან ერთად იმდროინდელ არაბულ-ირანულ საგმირო და სააშიკო მწერლობასაც კარგად იცნობდნენ.

ირანული საერო მწერლობის ნიმუშების გაცნობამ, როგორც ცნობილია, ხელი შეუწყო ჩვენში საერო მწერლობის აღორძინებას, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ მესხნი – **შავთელი** და **ჩახრუხაძე**.

თამარისა და რუსთაველის ეპოქაში მესხეთში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც თამარმა დაასრულა და გაამშვენიერა. თამარი ხშირად იმყოფებოდა ვარძიაში და აქედან განაგებდა სამეფო საქმეებს.

იოანე შავთელმა ვარძიის ღმრთისმშობელს, ბოლოსიტეკის ომში ქართველების გამარჯვების გამო, უძღვნა სამადლობელი იამბიკონი: „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

რუსთაველის ეპოქის მესხეთის მწერლებს ახასიათებს ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, რაც იმდროინდელი ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში დიდ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამას

ხელს უწყობდა ის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის მეშვეობით სწარმოებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია საქალაქო ცხოვრების დაწინაურება და „სავაჭრო ერის“ ან ვაჭართა წოდების გაძლიერება. ეს წოდება ებრძოდა გაძლიერებულ არისტოკრატიას და დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეების ქადაგებით ძალა-უფლების მოპოვებას ცდილობდა.

ერთი სიტყვით, მესხეთ-ჯავახეთი რუსთაველის ეპოქაში წარმოადგენდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ავანგარდს და მის მეწინავე სადროშოს. მესხეთ-ჯავახეთი კულტურულ-ეკონომიკურადაც დაწინაურებული კუთხე იყო და მესხეთის მწერლებმა შექმნეს ის დიდი კულტურული მემკვიდრეობა, რომლითაც რუსთაველის ეპოქა სამართლიანად ამაყობს.

მესხეთ-ჯავახეთი მონღოლთა ბატონობის პერიოდში (XIII-XIV სს.)

მონღოლების შემოსევამ შეარყია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერება. ამას შედეგად მოჰყვა მაჰმადიანური საამიროებისა და საათაბაგოების საქართველოსგან განდგომა. მონღოლების თარეში საფრთხეს უმზადებდა საქართველოს სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას.

აღმოსავლეთში მონღოლები ებრძოდნენ თურქებს, იპყრობდნენ მათ სამფლობელოებს, ხოლო ხვარაზმიდან დევნილი სულთანი **ჯალალედინი** საქართველოს შემოსევით ემუქრებოდა. 1225 წ. ჯალალედინმა თბილისი აიღო და ამას მოჰყვა მონღოლების შემოსევა 1238 წელს. მონღოლებმა დაიპყრეს თბილისი და მთელი აღმოსავლეთი საქართველო, მხოლოდ დასავლეთი საქართველო გადაურჩა მონღოლთა ამ შემოსევას.

მონღოლები ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს მთლიანობის დაშლას, ისარგებლეს **რუსუდან** დედოფლის გარდაცვალებით და საქართველო გაყვეს რამდენიმე სამთავროდ, რომელთა მმართველად დანიშნეს დიდებულ-ერისთავები: **გრიგოლ სურამელს** უბოძეს ქართლის ერისთავობა, **თორელ-გამრეკელს** – ჯავახეთი, ხოლო სამცხე კარნუ ქალაქამდის – **ცოტნე დადიანს**. ამ მთავრების უზენაესი ზედამხედველობა მონღოლებმა უბოძეს ბაკურციხის მფლობელს **ეგარსლანს**, რომელიც მონღოლებს ერთგულ სამსახურს უწევდა.

1258 წელს მონღოლებმა საქართველოს მოსახლეობას შეაწერეს დიდი ხარკი და ამ მიზნით აღწერეს მოსახლეობის ყოველივე უძრავი და მოძრავი ქონება, პირუტყვი, კაცი, ყანა, ვენახი და სხვ. ამის გამო ხალხი ეკონომიკურად დაქვეითდა და გაღარიბდა. მით უმეტეს, ხარკის ასაკრეფად მონღოლები სასტიკ ზომებს იღებდნენ და ვინც გადასახადს ვერ გაიღებდა, მას შვილებს სტაცებდნენ.

XIII ს. ბოლო ხანებში მონღოლთა ყაენებს შორის შუღლი ჩამოვარდა. **აბაღა** ყაენი, რომლის საყაენოში შედიოდა საქართველო და ამიერ-კავკასია, ებრძოდა **ბერქა-ყაენს**; აბაღას თავდაცვისთვის ესაჭიროებოდა ერთგული და გულადი მოკავშირე. ამ მიზნით აბაღამ დაიახლოვა მეფე **დავით V** და **სარგის ჯაყელი**, რომელიც განაგებდა მესხეთში ჯაყის დიდ ციხე-სიმაგრეს.

სარგის ჯაყელი ახლა მონღოლების სამსახურით ცდილობდა დაწინაურებას, პირადი უფლებისა და ძლიერების მოხვეჭას. მით უმეტეს, სარგის ჯაყელს განზრახვა ჰქონდა, ქართლის მეფისაგან განდგომით დამოუკიდებელი სამცხის საერისთავო დაეარსებინა. ამაში მას, უეჭველია, ხელს უწყობდნენ მონღოლები, რომლებიც სამცხის ერისთავის გადმობირებით ცდილობდნენ ქართლის მეფის შესუსტებას და შემდეგ სამხრეთ საქართველოს ხელში ჩაგდებას.

დავით V ამას კარგად ხედავდა: მან სარგის ჯაყელს შესწამა განდგომა, დაატუსაღა იგი და მისი დასჯა მოინდომა. მაგრამ აბაღა ყაენმა ეს რომ გაიგო, მაშინვე უბრძანა ნოინებს სარგისის განთავისუფლება. დავით V იძულებული იყო აბაღას ეს ბრძანება შეესრულებინა.

სარგის ჯაყელმა დიდი გულადობა გამოიჩინა და სამსახური გაუწია, აგრეთვე, **ულუ** ყაენს **ბერქა** ყაენის წინააღმდეგ ბრძოლაში. სარგისი და მისი ჯარი მეწინავე რიგებში იბრძოდნენ და დაამარცხეს ბერქა ყაენი. ამისათვის ულუ ყაენმა მას კარნუ ქალაქი და მისი მიდამო უბოძა.

ამის შემდეგ სარგისი უფრო გაძლიერდა, ყაენმა მას სამცხის ერისთავობა დაუმტკიცა. ამიტომ **გიორგი V ბრწყინვალის** გამეფებამდე სამცხის მფლობელნი უშუალოდ ემორჩილებოდნენ ილხანებს, ე. ი. **ჩინგის ყაენის** დინასტიის ხანებს.

ამგვარად, საქართველოს მთავართა შორის მონღოლთა ბატონობის ამ პერიოდში ყველაზე ძლიერი შეიქმნა სამცხის ათაბაგი, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა მონღოლთა ყაენს; საქართველოს მეფისათვის ათაბაგის პოლიტიკურ განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. მით უმეტეს, ქართლის მეფის დამტკიცება ხდებოდა ათაბაგებთან შეთანხმებით და მონღოლთა ყაენები ათაბაგის ერთგულებას დიდად აფასებდნენ. სამცხის ათაბაგი თავისი ლაშქრით ეხმარებოდა მონღოლებს, მონაწილეობას იღებდა მონღოლების შორეულ ლაშქრობაშიც და, როგორც სანაპირო სამთავრო, საბერძნეთიდან გადმოსული თურქების შემოსევებისგან საზღვარსაც ერთგულად იცავდა.

ათაბაგმა **ბექამ** 1302 წელს ბასიანში და ტაოში გადმოსული თურქების დიდი ლაშქარი დაამარცხა და განდევნა. ყაენმა ამ გამარჯვებისათვის ბექას უბოძა კარი (ყარსი) და მისი მიდამო.

მხოლოდ **გიორგი V**(1318-1346 წწ.) დროს შეირყა საათაბაგოს პოლიტიკური გავლენა და იგი იძულებული შეიქნა, საქართველოს მეფის სუვერენობა ეღიარებინა. მით უმეტეს, გიორგი V-მ ჯერ კიდევ მონღოლთა ურდოში ყოფნის დროს დაიმსახურა ყაენის ნდობა და პატივისცემა იმ ერთგულ სამსახურისთვის, რომელსაც იგი მონღოლებს სხვადასხვა ლაშქრობაში უწევდა. ამიტომ მონღოლები გიორგი V-ს მფარველობდნენ. ყაენმა იგი დაამტკიცა მეფედ ქართლისა სამცხითურთ. მართალია, სამცხე აქამდე ცალკე საათაბაგოს წარმოადგენდა და უშუალოდ ემორჩილებოდა ყაენს, მაგრამ **ჩობან-ნოინის** დახმარებით გიორგი V-მ სამცხეც მიიღო.

გაძლიერებული ათაბაგისთვის არ იყო სასურველი ასეთი დამორჩილება, მაგრამ გიორგი V-მ შესძლო ათაბაგ **სარგის II**-ის თავის მხარეზე გადმობირება; მით უმეტეს, მათ შორის ნათესაური კავშირიც არსებობდა და გიორგიმ სარგისს ამირსპასალარობა უბოძა. ამით გიორგი V-ს სურდა, განეხორციელებინა თავისი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს გაერთიანებას და მონღოლთა ბატონობისგან განთავისუფლებას.

ამისათვის პირველ ყოვლისა საჭირო იყო სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცება და იმ სამხედრო ძალის გამოყენება, რომელიც მაშინ გააჩნდა სამცხის ათაბაგს; გიორგიმ ათაბაგი ამიტომ დანიშნა ამირსპასალარად. სარგისის სიკვდილის შემდეგ გიორგიმ ათაბაგობა უბოძა სარგისის-ძეს **ყვარყვარეს**, რომელსაც მეფემ ათაბაგობა სამემკვიდრეოდ დაუმტკიცა; მასვე დაუმორჩილა მესხეთ-ჯავახეთის ყველა ძლიერი და გავლენიანი ერისთავ-ფეოდალი: „არამედ სამცხეს ყოფასა შინა მეფისასა მოკვდა ათაბაგი სარგის. ხოლო მეფემან მიუბოძა ძესავე მისსა ყვარყვარეს ათაბაგობა და დასხნა ერისთავნი თვისნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხე არტაანისა და წუნისა და ამათ საერისთაგან რომელიმე მიუბოძა ბიძათა და ბიძისძეთა ყვარყვარე ათაბაგისათა და

იყვნენ ესენი მორჩილებასა ათაბაგისასა“.

ბაგრატ V (1360-1395 წწ.) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამხრეთ საქართველოს საზღვრების გამაგრებას, საიდანაც მოსალოდნელი იყო თურქების შემოსევა.

ბაგრატმა ყვარყვარეს შემდეგ სამცხის ათაბაგობა და მანდატურთუხუცესობა უბოძა **ბექას**; ათაბაგთან ერთად ბაგრატმა რამდენჯერმე დაამარცხა სამცხეში შემოჭრილი თურქთა ლაშქარი. მაგრამ, როდესაც სამცხე-საათაბაგოს საზღვარს 1386 წელს მოადგა **თემურლენგი** და ბაგრატმა დაიწყო ლაშქრის შეყრა თემურის წინააღმდეგ, ათაბაგმა ბექა II-მ თემურის შიშით ვერ გაბედა ბაგრატის მხარდაჭერა, განუდგა მეფეს, მივიდა თემურთან და მას ზავი და მორჩილება სთხოვა.

ამგვარად, საათაბაგო მიემხრო თემურლენგს; მონღოლების ჯარები მტკვრის ხეობით შემოვიდნენ სამცხე-საათაბაგოში და აქედან დაიწყეს შემოტევა თბილისზე, რომელიც აიღეს კიდეც 1387 წელს; მონღოლებმა ტყვედ ჩაიგდეს თვით მეფე **ბაგრატ V**. მთავრებმა ისარგებლეს ბაგრატის დატყვევებით და მეფის ხელისუფლების შესუსტებით და ისევ განდგომა დაიწყეს. პირველად მეფეს განუდგა ათაბაგი, რომელსაც მხარს მონღოლები უჭერდნენ და ახლა მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას მონღოლების დახმარებით ცდილობდა.

საქართველოს მეფეები კარგად ხედავდნენ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისთვის სამცხე-საათაბაგოს განდგომა-ჩამოშორება. ამიტომ საქართველოს მეფეები იბრძოდნენ სამცხე-საათაბაგოს დაცვა-შენარჩუნებისთვის და ამის გამო ეს მხარეც ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული.

ამ ბრძოლაში სამცხის ათაბაგები აწარმოებდნენ ორჭოფულ პოლიტიკას და თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას ძალთა განწყობილების მიხედვით იცვლიდნენ. ეს ნაწილობრივ აიხსნებოდა თვით სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ-სტრატეგიული პირობებით. იგი მდებარეობდა საქართველოს სამხრეთის საზღვარზე, საიდანაც შემოდიოდნენ თურქები და მონღოლები და მათი შემოსევის საშინელებანი პირველად სამცხე-საათაბაგოს უნდა განეცადა. ამიტომ როდესაც ათაბაგი ხედავდა, რომ საქართველოს მეფეებს არ გააჩნდათ თავდაცვისთვის რეალური ძალა და საშუალებანი, იგი იძულებული ხდებოდა დამორჩილებოდა შემოსეულ მტერს და მიეღო მისი მფარველობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამცხე-საათაბაგოს მოელოდა მტრისაგან საშინელი აოხრება და ფიზიკური განადგურება.

ამგვარად, სამცხე-საათაბაგოს თავდაცვითი ბრძოლების წარმოება უხდება, ერთი მხრივ, შემოსეულ გარეშე მტრებთან და, მეორე მხრივ, საქართველოს მეფე-მთავრებთან. თურქებისა და მონღოლების შემოსევების პერიოდში ეს ბრძოლა გამწვავდა. და როდესაც სამცხის ათაბაგმა **იოანემ** თურქების დახმარებით განიზრახა **ალექსანდრე I**-ს განდგომოდა, მეფემ ათაბაგი გააფრთხილა და დამორჩილება ურჩია. ათაბაგმა ეს წინადადება არ მიიღო და დაიწყო ჯარის შეგროვება. ბრძოლა მოხდა კოხტას თავზე, სადაც ათაბაგი იოანე დამარცხდა და მეფე ალექსანდრეს იგი 1415 წელს ტყვედ ჩაუვარდა. ალექსანდრემ დაიპყრო სამცხე. ათაბაგი იძულებული შეიქნა მეფისთვის შენდობა ეთხოვა და მორჩილება და ერთგული სამსახური აღეთქვა.

იოანეს შემდეგ ათაბაგობდა **აღბუღა** რჯულმდებელი, რომელსაც მეფე **ვახტანგმა** ამირსპასალარობაც უბოძა. აღბუღა იმ მღელვარე ხანაში შედარებით მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა და საათაბაგოს შინაური ცხოვრების მოწესრიგებას ცდილობდა. აღბუღას მემატიანე ასე ახასიათებს: „კაცი მშვიდი და უშფოთველი და სამართლის მომქმედი, ვითარცა გვაუწყებს მის მიერ აღწერილი სამართლის წიგნი, რომელი დაუდვა მესხთა ბრძანებითა მეფისათა“.

ბექა-აღბუღას „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ წარმოადგენს საყურადღებო ძეგლს XIV-XV სს-ის სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გასაცნობად. უეჭველია, ამ სამართლის წიგნის შედგენა გამოწვეული იყო იმ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებით, რომელიც შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში თურქებისა და მონღოლების გამუდმებული შემოსევებისა და თარეშის შედეგად. თემურლენგის შემოსევებმა სამცხე-საათაბაგო, როგორც მოსაზღვრე და სანაპირო კუთხე, საშინლად ააოხრა. ვაჭრობა, წარმოება და სოფლის მეურნეობა დაეცა და მოსახლეობა დიდ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა. ამას ემატებოდა ის დიდი ხარკი, რომელსაც მონღოლები მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ: მებატონეთა ბეგარას, საათაბაგოს ხარჯებს და სხვ.

მთელი ეს გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას, გლეხებს და ყმებს, რომლებსაც არ შეეძლოთ გაბატონებული წოდების მქონეთა ეკონომიკურ-უფლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამის გამო ირღვეოდა ფეოდალური ადათით გამტკიცებული ბატონ-ყმური ურთიერთობა და ეს იწვევდა მებატონეთა და ყმა-გლეხებს შორის დაუსრულებელ შფოთსა და შეტაკებებს.

მონღოლებისა და თურქების გაბატონების პერიოდში სამცხე-საათაბაგოში შეირყა აგრეთვე ოჯახის მორალი, მამულისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების წარმოება, ქრისტიანული რწმენა და სხვ. სამცხე-საათაბაგოში **აღბუღას** დროს „ჟამთა სიავის გამო“ გაძლიერებულა ქურდობა და მეკობრეობა, გამწვავებულა ყმისა და ბატონის დამოკიდებულება და „სხვადასხვა უწესონი საქმენიო“, ამბობს აღბუღა თავის სამართლის წიგნში.

სამცხე-საათაბაგოს ამ აფორიაქებული შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად პირველ ყოვლისა საჭირო იყო ისეთი სამართლის შექმნა, რომელიც საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამყარებასთან ერთად შესძლებდა გაბატონებული წოდების უფლებრივ-ქონებრივი ინტერესების დაცვას.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი საშულებას გვაძლევს, გავეცნოთ იმდროინდელი სამცხე-საათაბაგოს სოციალურ წყობილებას და საზოგადოებრივი კლასების ქონებრივ, უფლებრივ და მორალურ მდგომარეობას.

სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივი ცხოვრება დაფუძნებული იყო ფეოდალურ წყობილებაზე, რომლის სათავეში იდგა მეფე; მას ემორჩილებოდა საათაბაგოს „პატრონი“ ათაბაგი. მაგრამ მათ შორის ეს დამოკიდებულება ცვალებადი იყო, სამართლის დადების პერიოდში კი ათაბაგები ზოგჯერ მეფის უფლებებს არც სცნობდნენ. აღბუღას მიერ სამართლის დადება მომხდარა მეფის დაუსწრებლად „საპატიო კაცთა სხდომითა და ბჭობითა“. ბჭობაში ათაბაგი ბრძანებლობდა თურმე და არა მეფე.

მეფეს უფლებით მისდევდა ათაბაგი, რომელიც ქვეყნის „პატრონად“ ითვლებოდა და იგი სამთავროს თითქმის დამოუკიდებლად განაგებდა. უმაღლესი მართლმსაჯულება და კანონმდებლობა ათაბაგის ხელში იყო და დიდებულებიც მას ემორჩილებოდნენ. აღბუღას სამართლით ათაბაგი, ისე როგორც მეფე, თავის სამთავროში სჯულსა და კანონზე მაღლა იდგა და ამიტომ მისი სისხლის ფასს ვერავინ დასდებდა. ათაბაგობა მემკვიდრეობით გადადიოდა ჯაყელთა გვარში და ათაბაგიც სრული ბატონი იყო თავის საბრძანებელში.

ზოგჯერ ათაბაგები ატარებდნენ სპასალარისა და მანდატურთუხუცესის წოდებას, მაგრამ ეს იყო უფრო საპატიო წოდება, რომელსაც მათ საქართველოს მეფეები მეგობრული კავშირის მიზნით ანიჭებდნენ.

ათაბაგის გვერდით იდგა მაწყვერელი, რომელიც იჯდა აწყურში

და განაგებდა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიას. მაწყვერელი ფლობდა დიდ მამულებს და ეკლესია-მონასტრებს. იგი იყო საათაბაგოს „სულის ხელმწიფე“. ეკლესია ემყარებოდა ფეოდალურ წყობილებას და მაწყვერელიც, როგორც ათაბაგი, იდგა კანონზე მაღლა.

ათაბაგისა და მაწყვერელის ქვეშევრდომები გვარისა, მამულისა და ხელისუფლების მიხედვით იყოფოდნენ; მათში პირველობდნენ დიდებულები, რომლებსაც ეჭირათ დიდი მამულები, ციხე-სიმაგრეები და მაღალი ხელისუფლება. დიდებულებს მისდევდნენ აზნაურები, ისინი ეწეოდნენ მოლაშქრეობას და სხვადასხვა სამსახურს.

ცალკე წოდებას შეადგენდა ვაჭართა კლასი. დიდ ვაჭრებს ირჩევდნენ მოსამართლედ: „კარგი, დიდ ვაჭარი ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“ (მუხ.:რა:). აღბუღას კანონის მიხედვით ირკვევა, რომ საათაბაგოში ყურადღება ექცეოდა ვაჭრობასა და წარმოების ხელის შეწყობას და კანონი სასტიკად სჯიდა იმას, ვინც ვაჭარს გაძარცვავდა, მოჰკლავდა და ან დასჭრიდა: „ბრალდებულს ორკეცად უნდა დაეურვა წანართმევი და სისხლი კიდევ სხვა იყო“ (მუხ.:ჟჭ:).

საზოგადოების დაბალ წოდებას შეადგენდნენ გლეხები და ყმები. გლეხობა პირადი სამსახურისგან თავისუფალი იყო, მხოლოდ ბატონის წინაშე გარკვეულ ვალდებულებას ასრულებდა და ბეგარას იხდიდა. ყმები შეადგენდნენ მებატონის საკუთრებას და ბატონს შეეძლო მათი ყიდვა-გაყიდვა.

აღბუღა თავის სამართალში ხშირად იხსენიებს ყმის წასვლის ამბავს, რაც იმას მოწმობს, რომ იმ დროს სამცხე-საათაბაგოში ბატონსა და ყმებს შორის ურთიერთობა გამწვავებული ყოფილა. გაღატაკებული და უფლებააყრილი ყმა თავის სასტიკ მებატონეს გაურბოდა, მაგრამ სადაც უნდა წასულიყო, ბატონს მაინც თავს ვერ დააღწევდა. ყმა თუ შესძლებდა ოცდაათ წელიწადს სადმე შორ ალაგას მიმალვას, სადაც „მიწდომა ძნელია“, მაშინ იგი ბატონისაგან თავისუფლდებოდა (მუხ.:ოჭ:).

ერთი სიტყვით, ბექა-აღბუღას ამ სამართლის წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ XIV-XV სს-ში სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა გამწვავებული ბატონ-ყმური ურთიერთობა და მთელი მშრომელი მოსახლეობა განიცდიდა ეკონომიკურ და უფლებრივ სიდუხჭირეს.

საყურადღებოა, რომ სარგისის, ბექასა და აღბუღას ათაბაგობის დროს სამცხეში ჯერ კიდევ მტკიცე იყო ქრისტიანული რწმენა და ამ

პერიოდში აქ ეკლესიები შენდებოდა.

ამ დროს ეკუთვნის შესანიშნავი **საფარის** საბაწმიდის მონასტერი და **ჭულევის** ეკლესია; სადაც დღემდის დაცულია მაღალი ხელოვნებით შესრულებული ფრესკები, მათ შორის სამცხის ათაბაგების პორტრეტები: **სარგის I**, **ბექა I**, **სარგის II** და **ყვარყვარესი**. მათივე პორტრეტები დაცულია **ზარზმის** მონასტრის კედლის მხატვრობაში.

საფარა მოთავსებულია ურაველისა და ღრელის ხეობაში და წარმოადგენდა ათაბაგების საზაფხულო სადგომს. აქ იყო ათაბაგების საზაფხულო სასახლე, რომელიც გამაგრებული იყო მაღალი გალავნით და ციხე-კოშკებით. აქ დღესაც დაცულია ამ ციხე-გალავნის ერთი ნაწილის და ათაბაგის სასახლის ნანგრევი.

ათაბაგის მუდმივი რეზიდენცია ახალციხეში იყო, სადაც ათაბაგს ჰქონდა სასახლე და მაგარი ციხე. ახალციხიდან იგი მართავდა სამცხე-საათაბაგოს, რომელშიც ამ პერიოდში შედიოდა: მესხეთი, ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი და შავშეთი. ამ ხუთი თემისაგან შესდგებოდა სამცხე-საათაბაგო და ამ თემებს განაგებდნენ ერისთავები, რომლებიც ემორჩილებოდნენ ათაბაგს. მონღოლთა ბატონობის დროს ათაბაგობა მიიღო ჯაყელთა[3] ანუ ახალციხელთა საგვარეულომ და სამცხის საერისთავოსაც სამცხე-საათაბაგო ეწოდა.

ოსმალების შემოსევა და სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა-გამაჰმადიანება

XV ს-ში აღმოსავლეთში გაძლიერდნენ **თურქები**, რომლებიც მცირე აზიის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ ბიზანტიის სატახტო ქალაქის კონსტანტინეპოლის დასაპყრობად შეტევაზე გადავიდნენ იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდოთ დარდანელის სრუტეები და გამხდარიყვნენ შავი ზღვის, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვის ბატონ-პატრონნი.

1453 წელს სულთანმა **მუჰამედ II**-მ ორი თვის ბრძოლის შემდეგ

[3] [3] სახელწოდება ჯაყელი წარმოშობილია ციხე-სიმაგრე ჯაყიდან, რომელიც მდებარეობდა სამცხეში, ჩრდილოეთით, ჯაყის წყლის პირას. ამ ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამცხის თავდაცვის საქმეში. ამ ციხის მფლობელები იწოდებოდნენ ჯაყელებად და ციხისჯვარელებად, რადგანაც ჯაყისა და ციხისჯვარის ორივე ციხე ჯაყელთა გვარს ეკუთვნოდა. ამიტომ ციხისჯვარელნი ჯაყელის სახელით იხსენიებიან. ჯაყელთა გვარი დაწინაურდა დავით აღმაშენებელის დროიდან. ცნობილია ბეშქენ ჯაყელი, ხოლო თამარ მეფის დროს – გამოჩენილი სპასალარი ბოცო ჯაყელი. ამ გვარიდან პირველად ათაბაგობა მიიღო სარგის ჯაყელმა.

კონსტანტინეპოლი აიღო. დარდანელის სრუტეები თურქებმა მაგრად ჩაკეტეს და მთელი შავი ზღვის სანაპიროები გამოუვალ ჩიხში მოამწყვდიეს. ამას მოჰყვა ვაჭრობის დაცემა და ის დიდი სავაჭრო ურთიერთობა, რომელსაც გენუელი და ვენეციელი ვაჭრები აწარმოებდნენ შავი ზღვის მეშვეობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში, ერთბაშად მოიშალა. ამასთანავე საქართველო კულტურულადაც მოწყდა იმდროინდელ დასავლეთ ევროპის განათლების ცენტრებს, და იგი თანდათანობით მოექცა ჩამორჩენილი თურქეთის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სფეროში.

გაძლიერებული თურქეთი ტერიტორიულად უახლოვდებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებს. ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკა დიდ საფრთხეს უმზადებდა, პირველ ყოვლისა, სამცხე-საათაბაგოს და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოს.

ამავე დროს გაძლიერდა **ირანიც**, რომელიც უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს; ამგვარად საქართველოს ირანისგან, სამხრეთ აღმოსავლეთიდან დიდი საშიშროება მოელოდა.

ირანსა და თურქეთს შორის ინტერესთა წინააღმდეგობანი ძლიერდებოდა, ორივე იმპერიალისტურად განწყობილი სამეფო უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს და საქართველოც თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით, ადრე თუ გვიან, უნდა გადაქცეულიყო ამ ბრძოლის ასპარეზად.

ოსმალეთისა და ირანის შემოტევის შემდეგ საქართველოში შინა ბრძოლები უფრო გამწვავდა და ქართველი მეფე-მთავრები ახლა ცდილობდნენ ამ უცხო დამპყრობელი ძალის გამოყენებას შინა ბრძოლებში გასამარჯვებლად, რათა მოეპოვებინათ პოლიტიკური დამოკიდებულობა.

ოსმალეთი და ირანი კარგად ხედავდენ საქართველოს სამეფო-სამთავროების შინაურ აფორიაქებულ პოლიტიკურ ცხოვრებას და ორივე მხარე უკმაყოფილო მთავრების თავიანთ მხარეზე გადაბირებას ცდილობდა, რომ მათი დახმარებით მთელი ამიერკავკასია და შავი და კასპიის ზღვის სანაპიროები ხელში ჩაეგდოთ.

სამწუხაროდ, საქართველოს მეფე-მთავრები ამ გართულებულ საგარეო საფრთხის პირობებში პოლიტიკურ სიბეცეს იჩენდნენ და, თავიანთი წოდებრივი ინტერესებით გამსჭვალულნი, ფეოდალური სამთავროების დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

პირველად მეფე **გიორგი VIII**-ს (1469 წ.) განუდგა **ყვარყვარე II** ათაბაგი და იმერეთის ერისთავი **ბაგრატი**. სამცხე-საათაბაგოს განდგომას

ხელს უწყობდა ოსმალეთი, რომელიც ათაბაგის გადმობირებით ცდილობდა მთელი ამ მხარის ხელში ჩაგდებას, მოსახლეობის გამაჰმადიანებას და საქართველოდან მოწყვეტას. ამ გეგმის განხორციელების შემდეგ ოსმალეთი თბილისისა და მთელი საქართველოს დაპყრობას ადვილად შეძლებდა.

ათაბაგი ყვარყვარე აშკარად ადგა მეფისაგან დამოუკიდებლობის გზას, მას თავისი ჯარი ჰყავდა და საგარეო საქმეებსაც მეფესთან შეუთანხმებლად აწარმოებდა. თვით მეფე გიორგი უცხოელებთან დიპლომატიურ მიმოწერაში ყვარყვარეს თავის მოკავშირედ იხსენიებდა. როგორც დამოუკიდებელი მთავარი ყვარყვარე, ამასთანავე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ხელშეკრულების დადებაში, რომელიც რომის პაპის **პიუს II**-ის მოწოდებით იყო მოწყობილი ოსმალეთის წინააღმდეგ. მოკავშირეთა სიაში ყვარყვარე ქართველთა მთავარსაც აქვს ხელი მოწერილი.

ეს ყვარყვარე ათაბაგი 1459 წელს ახალციხიდან ბურგუნდიის მთავარს სწერდა: „მე ყვარყვარე ქართველთა მთავარი წინადაც, ჩემი წინაპრების მსგავსად, ურჯულოებს ვერბძოდი და უკანასკნელ წლებში რომ ჩემსა და სხვა ჩემ მეზობელ ქრისტიან მთავართა შორის ომი არ ამტყდარიყო, უფრო მეტი ძლევმოსილობით ვაწარმოებდით ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ. ეხლა **ლუდოვიკო** ბოლონიელის ჩაგონებით ყველა ჩემ მეზობელ ქრისტიანს ზავით შევეკარი და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ძალ-ღონე და შეძლება თურქთა საწინააღმდეგო ბრძოლას მოვახმარო“ და სხვ.

ამგვარად, ათაბაგი აწარმოებდა მეფისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, ეძებდა ხელსაყრელ პირობებს, რომ სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა.

ამ მიზნით ყვარყვარემ და ბაგრატმა კავშირი შეკრეს გიორგი VIII-ის წინააღმდეგ და უკვე 1462 წელს ბაგრატმა ათაბაგის დახმარებით თავის თავი იმერეთის დამოუკიდებელ მეფედ გამოაცხადა. მაშინ გიორგიმ გაილაშქრა იმერეთში, მაგრამ აქ ჩიხორთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და ბაგრატი იმერეთის მეფედ ეკურთხა. ბაგრატი ახლა თავის მოკავშირე ყვარყვარეს მიეშველა, რომ მისთვის დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. ათაბაგმა დახმარება სთხოვა, აგრეთვე, გურიელ **კახაბერს** და ამისთვის მას დაუთმო აჭარა და ჭანეთის ნაწილი.

ბაგრატის და გურიელის დახმარებით ყვარყვარემ სამცხე-საათაბაგოდან განდევნა გიორგი მეფის მომხრე ერისთავ-ფეოდალები. მაშინ

გიორგიმ 1465 წელს გაილაშქრა სამცხეში, ბრძოლა მოხდა ფარავნის ტბის მახლობლად, სადაც გიორგი დამარცხდა და იგი ტყვედ ჩაუვარდა ყვარყვარე ათაბაგს. დატყვევებული მეფე გიორგი იძულებული შეიქნა დამოუკიდებლობა ებოძებინა ყვარყვარეს მემკვიდრე **ბაადურისთვის** (1466-1475 წ.). ამის შემდეგ იგი ბაადურმა ტყვეობიდან გაანთავისუფლა.

ამგვარად, სამცხე-საათაბაგო პოლიტიკურად ჩამოშორდა საქართველოს სამეფოს, მაგრამ ათაბაგები ამით არ კმაყოფილდებოდნენ, რადგანაც საათაბაგოს ეკლესია ქართლის (მცხეთის) საკათალიკოზოს ემორჩილებოდა და ამ მხრივ იგი მაინც რჩებოდა ქართლის სამეფოსთან ერთგვარ დამოკიდებულებაში. ახლა ათაბაგები შეეცადნენ მესხეთის ეკლესიის ჩამოშორებას ქართლის საკათალიკოზოსგან და თავიანთი საკათალიკოზოს დაარსებას.

ჯერ კიდევ ყვარყვარე ათაბაგი იბრძოდა იმისათვის, რომ სამცხე-საათაბაგოს სასულიერო პირები კურთხეულიყვნენ „უმცხეთოდ“ სამცხეში (იხ. ვარძიის ძმათა ერთგულების წიგნი, თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 269.) და მცხეთის კათალიკოზიც სამცხის ეკლესიაში არ მოეხსენებიათ. ამ მიზნით ყვარყვარემ განიზრახა მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მისი გამოცხადება სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის უფროსად. ათაბაგის ასეთ მისწრაფებას სასტიკად ებრძოდა ქართლის კათალიკოზი, რომელიც კარგად გრძნობდა, თუ რა საფრთხეს უმზადებდა ათაბაგის პოლიტიკა საქართველოს ეკლესიის მთლიანობას და ქრისტიანულ რწმენას. მით უმეტეს, საათაბაგოს საზღვრებში უკვე შემოჭრილიყო მაჰმადის მოძღვრება, რომელიც საათაბაგოს ეკლესიას განადგურებით ემუქრებოდა. ათაბაგის ასეთი მიდრეკილება ხელსაყრელი იყო ოსმალეთისთვის, რომელმაც კარგად იცოდა, რომ საათაბაგოს ეკლესიური ჩამოშორება საქართველოსგან მას საშუალებას მისცემდა, უფრო ადვილად გაევრცელებინა საათაბაგოში მაჰმადიანობა და მთელი ეს მხარე სარწმუნოებრივადაც შემოემტკიცებინა.

ამიტომ ათაბაგების ამ განზრავას ქართლის კათალიკოსი სასტიკად ებრძოდა და მესხეთის ურჩ ეპისკოპოსებს იგი განუდგომლობის ფიცსა და პირობას ადებინებდა. ქართლის კათალიკოზს ამის გამო არა ერთხელ შეუჩვენებია მაწყვერელი და სამცხის ეპისკოპოსები. ასეთი ზომები პირველ ხანებში თავის მიზანს აღწევდა, და მცხეთის კათალიკოზმა შესძლო ყვარყვარე ათაბაგის მიერ წაქეზებული და დამოუკიდებლობის მოტრფიალე საათაბაგოს ურჩი სასულიერო პირების

დამორჩილება. მაგრამ გიორგი მეფის დატყვევებისა და საათაბაგოს დამოუკიდებელ საერისთაოდ გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გამარჯვებული ათაბაგები ქართლის კათალიკოზისგან საათაბაგოს ეკლესიის განთავისუფლებას შეეცადნენ.

ამ მიზნით **კონსტანტინე** მეფის დროს დაიწყო ბრძოლა **მზეჭაბუკ** ათაბაგმა, რომელიც ქართლის მეფობაზე ოცნებობდა და თავის თავზე ამბობდა: „დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან ძლეულ იქმნენ ყველა მტრებიო“.

ათაბაგი მზეჭაბუკის ასეთ განდიდებას და მის პოლიტიკურ ზრახვებს ზურგს უმაგრებდა თურქეთი, რომლის შესახებ ვახუშტი ამბობს: „მზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა“; ამით გამაგრებულმა „მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა, და ჭანეთი და დაიპყრო თვით“.

გაძლიერებულმა მზეჭაბუკმა, რათა საათაბაგოს ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის სანქცია მოეპოვებინა, ისარგებლა საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის **დოსითეოსის** საკალმასოდ ჩამოსვლით: პატრიარქს გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა მაწყვერელის (აწყურის ეპისკოპოსის) „განმთავრება“, ე. ი. მესხეთის ეკლესიის თვითმწყემსობის სანქცია. ამის შესახებ მზეჭაბუკი თვითონვე ამბობს: „ვინებე მეცა განდიდება და განმთავრება წმიდისა საყდრისა აწყურისაო“.

ანგარებით გამსჭვალულმა დოსითეოს პატრიარქმა მზეჭაბუკის ეს წინადადება სიხარულით მიიღო; იგი მზეჭაბუკს მლიქვნელობით ასეთ წოდებულებით ამკობდა: „დიდისა პატრონის მზეჭაბუკის და თვით დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა, პატრონისა მზეჭაბუკის... თქუმად ვიიძულენით“. და „ვითარცა ჯერ იყო და სამართალ, მადლითა ღ˜თისათა ვინებეთ და ამ მაწყვერელს მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ეპისკოპოსნი მისგან იკურთხეოდნენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა მორჩილებდენ და სჯულთა მისთა ერჩოდენ და მისგან იმწყესებოდენ და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი მისნი წყეულ“. ამ მაწყუერელისათვის „მიგვიცემიეს ჴელმწიფებაჲ შეკვრისა და განჴსნისა“-ო.

ამ დადგენილებით მზეჭაბუკმა მიაღწია თავის მიზანს: მესხეთის ეკლესიამ მიიღო თვითმწყემსობის უფლება და იგი ეკლესიურად ჩამოშორდა ქართლის საკათალიკოზოს.

ამგვარად, მზეჭაბუკმა მოახერხა ქართლის მეფისაგან თავის სამ-

თავროს პოლიტიკური და ეკლესიური დამოკიდებულობის მოპოვება, და ათაბაგებმა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაში ამოკვეთეს საქართველოს მეფისა და კათალიკოზის ხსენებაც.

თურქეთის პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერება საათაბაგოში საფრთხეს უმზადებდა ქართლისა და იმერეთის სამეფოების დამოუკიდებელ არსებობას. მით უმეტეს, თურქები თავის ამ აგრესიულ ზრახვებს არ მალავდნენ და საათაბაგოს დახმარებით ცდილობდნენ ორივე სამეფოს ხელში ჩაგდებას. 1510 წელს თურქები საათაბაგოდან შეიჭრნენ იმერეთში, დასწვეს ქუთაისი, გელათი და მოსახლეობა დაარბიეს. იმერეთის მეფე **ბაგრატ III** (1510-1565 წწ.) ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ საათაბაგოს მფლობელნი **მზეჭაბუკ** და შემდეგ **ყვარყვარე IV**, პირიქით, ხელს უწყობდნენ თურქების გაძლიერებას, რომ ამით განემტკიცებინათ თავიანთი პოლიტიკური დამოკიდებულობა.

ამან საათაბაგოზე აამხედრა იმერეთის მეფე ბაგრატ და მან გურიისა და ოდიშის მთავრების დახმარებით გაილაშქრა ჯავახეთში; ბრძოლა მოხდა სოფ. მურჯახეთში, სადაც ათაბაგი ყვარყვარე IV დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ბაგრატ მეფეს. ბაგრატმა საათაბაგო დაიპყრო, ხოლო აჭარა და ჭანეთი გურიელს გადასცა. ამის შემდეგ ყვარყვარეს მემკვიდრე **ქაიხოსრო** გაიქცა სტამბოლში და სულთანს ჯარი და დახმარება სთხოვა საათაბაგოს დასაბრუნებლად. თურქეთისთვის ეს ხელსაყრელი მომენტი იყო, რომ ხელში ჩაეგდოთ სამცხე-საათაბაგო; მალე მისი დიდი ჯარი სამცხეში შემოვიდა. მაშინ იმერეთის მეფე **ბაგრატ III**-მ და ქართლის მეფე **ლუარსაბ I**-მა შეერთებული ჯარით გაილაშქრეს საათაბაგოში, და აქ ბასიანის მახლობლად სოხოისტას 1545 წ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, სადაც თურქებმა გაიმარჯვეს. მათ საათაბაგო დაიპყრეს და გადასცეს ქაიხოსრო ათაბაგს, რომელმაც თურქებს მორჩილება განუცხადა.

სოხოისტის 1545 წლის ბრძოლას დიდი პოლიტიკურ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დამარცხებამ საქართველოს მოსწყვიტა სამცხე-საათაბაგო და იგი მოექცა თუქრეთის ხელში. ამას მოჰყვა ამ კუთხის გამაჰმადიანება და თურქების მიერ მისი მთლიანად დაპყრობა. თურქები თავიანთ ამ განზრახვას უკვე არ მალავდნენ: 1550 წ. მათ დაიჭირეს ტაო და იგი ათაბაგს ჩამოართვეს. 1552 წ. მათ დაიპყრეს არტანუჯი, არტაანი და სხვ.

თურქეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ ამჯერად შეაშფოთა ქაიხოსრო ათაბაგი, რომელიც კარგად ხედავდა, თუ რა საფრთხეს უმზა-

დებდა თურქეთი საათაბაგოს დამოუკიდებელ არსებობას. ამიტომ ქაიხოსრო ათაბაგმა ახლა შეიცვალა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, გადაუდგა თურქეთს და დახმარებისათვის მიმართა ირანს, რომელიც თურქეთს მცირე აზიისა და ამიერ-კავკასიის დაპყრობაში ეცილებოდა.

1553 წელს ათაბაგმა სთხოვა **შაჰ-თამაზს** საათაბაგოს განთავისუფლება თურქებისაგან. მალე შაჰ-თამაზი შემოვიდა თავისი ჯარით სამცხეში და დაიწყო ბრძოლა თურქებსა და ირანელებს შორის საათაბაგოს დასაპყრობად. ამის გამო საათაბაგო განიცდიდა საშინელ აოხრებას, გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები: ვარძია, ვანის-ქვაბნი, თმოგვი და სხვ. მებრძოლმა მხარეებმა მოსახლეობა აიკლეს. საათაბაგო განსაცდელში ჩავარდა.

იმავე 1553 წელს ბრძოლა დროებით შეწყდა და თურქეთ-ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც შეტანილი იყო სამცხე-საათაბაგოს საკითხიც. ამ ხელშეკრულებით სამცხე-საათაბაგო მიეკუთვნა ირანს, ხოლო თურქეთს დარჩა მის მიერ იარაღით დაპყრობილი საათაბაგოს სამხრეთის ნაწილი (ბასიანი, არტანუჯი, არტაანი და სხვ).

მაგრამ ეს ზავიც მალე დაირღვა და თურქებმა განაახლეს შემოტევა საათაბაგოზე, რომ ეს მხარე ირანისათვის წაერთმიათ და მთლიანად ხელში ჩაეგდოთ. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ირანი ტერიტორიულად საათაბაგოსგან უფრო დაშორებული იყო ვიდრე თურქეთი, რომელიც საათაბაგოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან თანდათან უტევდა.

1578 წელს **მუსტაფა-ლალა-ფაშას** მეთაურობით საათაბაგოში შემოდის თურქების დიდი ჯარი და თურქეთმა და ირანმა ისევ განაახლეს ბრძოლა საათაბაგოს დასაპყრობად. გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა შიგ საათაბაგოს მმართველ წრეებში წარმოქმნიდა დაჯგუფებებს, შფოთსა და შინაურ ბრძოლებს. ამ დროს საათაბაგოში ერთმანეთს ებრძოდა სამი პოლიტიკური ჯგუფი: ერთი ჯგუფი დიდგვაროვან ფეოდალებისა იდგა ოსმალეთის ორიენტაციაზე, მეორე მათი მოწინააღმდეგე ჯგუფი კი – ირანის ორიენტაციაზე და მოითხოვდა ირანის დახმარებით ოსმალეთის განდევნას საათაბაგოდან. მესამე დაჯგუფებას ეკუთვნოდა თვით ათაბაგი, მისი ამალა და მმართველი წრე, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა საათაბაგოს დამოუკიდებლობა, ეხსნა იგი მოსპობისა და გამაჰმადიანების განსაცდელისაგან. ამიტომ ეს მესამე ჯგუფი ათაბაგითურთ ებრძოდა ოსმალეთისა და ირანის მომხრე დიდგვაროვან ფეოდალებს და ძალთა

განწყობილების მიხედვით ხან ოსმალეთისა და ხან ირანის მხარეზე გადადიოდა.

მაგრამ ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ გაძლიერებულმა ფეოდალებმა **შალიკაშვილების** მეთაურობით ისარგებლეს **ყვარყვარე V**-ის (1573-1582 წწ.) მცირე წლოვანებით და დაიწყეს აშკარა ამბოხება ათაბაგის წინააღმდეგ. შალიკაშვილის გვარი ოსმალეთის მომხრე იყო და უარს აცხადებდა ათაბაგის მორჩილებაზე. ამან გამოიწვია ათაბაგსა და შალიკაშვილებს შორის შეტაკება. აჯანყებულმა შალიკაშვილებმა კავშირი გააბეს ოსმალებთან, მუსტაფა-ლალა-ფაშას გამოუცხადეს მორჩილება და ოსმალებს საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები გადასცეს.

1578 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ჩილდირში, სადაც ოსმალებმა გაიმარჯვეს და აიღეს სამცხე-საათაბაგო; სამცხიდან ოსმალეთის ჯარი თავისუფლად შევიდა ქართლში და გორი და თბილისი დაიპყრო.

ამგვარად, XV-XVI სს-ში სამცხე-საათაბაგო მოექცა მეტად რთულ პოლიტიკურ პირობებში და იგი გადაიქცა ხანგრძლივი ბრძოლის ასპარეზად. ამ კუთხის დასაპყრობად იბრძოდნენ: ირანი, ოსმალეთი, ქართლისა და იმერეთის მეფეები. თითოეული მებრძოლი მხარე ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას და აქედან მოწინააღმდეგეების გამდევნას. საათაბაგომ ამ უთანასწორო ბრძოლაში ვერ შესძლო გამკლავება და იგი 1578 წელს ოსმალეთს დამორჩილდა. ოსმალეთის სულთანმა სამცხის ფაშად ათაბაგის მემკვიდრე **ქაიხოსრო II მანუჩარის-ზე** დაამტკიცა.

XVII ს-ის პირველ ნახევარში საათაბაგოს ტერიტორია ისე იყო შემცირებული, რომ საათაბაგოს შეადგენდა მხოლოდ სამცხე და აჭარა, რადგან მისი დანარჩენი ნაწილები უკვე ოსმალებს ეჭირათ. შინაური მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა, რადგან ურჩი ფეოდალები მაჰმადიანდებოდნენ და ოსმალების დახმარებით თითქმის არ ემორჩილებოდნენ ათაბაგს. ამიტომ თვით ათაბაგიც იძულებული იყო, დასაყრდენი ძალა ეძია ოსმალეთში, მიეღო მაჰმადიანობა და ფაშის თანამდებობა.

1625 წელს ათაბაგი **ბექა** წავიდა სტამბოლში, მიიღო მაჰმადიანობა და სულთანს სთხოვა ათაბაგობის დამტკიცება. სულთანმა ბექას უბოძა საათაბაგოს ფაშობა და **საფარ-ფაშის** სახელით იგი დაბრუნდა სამცხეში. ამ დროიდან ძველ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიას ოსმალებმა უწოდეს ახალციხის ან ჩილდირის საფაშო და XVIII ს-ის

ბოლომდე ფაშებად ინიშნებოდნენ ათაბაგის სახლის წევრები.

საფარ-ფაშა (1625-1635 წწ.) იყო ოსმალეთის პოლიტიკის გამტარებელი საათაბაგოში. სულთანის გულის მოსაგებად მან დაიწყო მაჰმადიანობის გავრცელება და ამ მიზნით იგი სახელმწიფო სამსახურში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უპირატესობას მაჰმადიანებს ანიჭებდა. თავდაპირველად მაჰმადიანობა განსაკუთრებით წარჩინებულთა წრეში ვრცელდებოდა, ოსმალთა სამსახურისთვის პირადი დაწინაურებისა და წარმატების მიზნით. ჩვეულებრივ გადასახადების გარდა ქრისტიანებს უნდა გადაეხადათ სულზე დრაჰკანი, გარდა ამისა – მოსავლის $^1/_7$, ცხვარზე – 2 შაური, ძროხაზე – აბაზი, ცხენსა და კამეჩზე 6 – შაური; საფაშოდ კიდევ დადებული იყო სულზე დრაჰკანის მესამედი.

ქრისტიანულ ეკლესიას და სამღვდელოებას მოაკლდა ათაბაგისა და დიდგვაროვანი ფეოდალების მფარველობა, მას შეუმცირდა მრევლი და შემოსავალი. ეკლესიამ დაკარგა მამული, ზოგი ეკლესია კი ოსმალებმა მეჩეთად გადააკეთეს. სამღვდელოებაც აშკარად იდევნებოდა: ამის გამო ეკლესია-მონასტრებმა დაიწყო დაცალიერება, საეპისკოპოები თანდათანობით შემცირდა და მოისპო. საეკლესიო ქონება და ნივთები იხიზნებოდა გურია-იმერეთში და ქართლ-კახეთში.

ამასთანავე, სამცხიდან იხიზნებოდნენ დიდგვაროვანთა ის ოჯახები, რომლებიც ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და მაჰმადიანობას არ იღებდნენ. ამიტომ ისინი მთელი ოჯახობით გადადიოდნენ იმერეთში და ქართლში.

მაჰმადიანობასთან ერთად სამცხე-საათაბაგოში ვრცელდებოდა ოსმალური ენა, ზნე-ჩვეულებანი, სამართალი და მწერლობა.

საფარ-ფაშას მემკვიდრე **როსტომი** (1647-1659 წწ.) უფრო მედგრად ავრცელებდა მაჰმადიანობას სამცხე-საათაბაგოში. მართალია, მაღალმა არისტოკრატიამ და მმართველმა წრეებმა ოსმალების შიშით მიიღეს მაჰმადიანობა, მაგრამ მათი ცოლები და ოჯახები ჯერ კიდევ იცავდნენ ქრისტიანულ რწმენას. ამიტომ როსტომის ფაშობის დროს სულთანის ბრძანებით წარჩინებულთა ცოლებსაც უნდა მიეღოთ მაჰმადიანობა: „მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისათჳს ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველი სრულად“.

ამის შემდეგ მაჰმადიანობის გავრცელება დაიწყო გლეხობაში, რომელიც ჯერ კიდევ იცავდა ქრისტიანულ რწმენას და ადათებს. როსტომის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ გლეხობაშიც თანდათან შეარყია ქრისტიანული რწმენა და განამტკიცა მაჰმადიანობა.

ამას ხელს უწყობდა გლეხების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებანი იმ შემთხვევაში, თუ იგი სარწმუნოებას გამოიცვლიდა და მიიღებდა მაჰმადიანობას. ჯერ ერთი, გამაჰმადიანებული გლეხი თავისუფლდებოდა ქრისტიან გლეხებზე დადებული გადასახადებისგან და, ამასთანავე, მას ადვილად შეეძლო მებატონისგან პირადი ბატონ-ყმური დამოკიდებულებისგან განთავისუფლება. მაჰმადიანური კანონმდებლობა არ ცნობდა პირად ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას; ამიტომ მაჰმადიანობის მიღებით გლეხს საშუალება ეძლეოდა, უფლებრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

როსტომ ფაშამ, ამასთანავე, სამცხეში შემოიღო მამულის სარგებლობის ოსმალური წესები, რომლის მიხედვით მემამულე ფეოდალს, ფაშას, ბეგს და აღას უნდა გამოეყვანა მოლაშქრე და ამ მოლაშქრეთა რიცხვი დამოკიდებული იყო მათზე გაცემული მამულის რაოდენობაზე და შემოსავალზე. მოლაშქრეებად კი გამოდიოდნენ მხოლოდ მაჰმადიანები და ამის გამო მაჰმადიან მემამულეებს ჰქონდათ მიწის განსაზღვრული რაოდენობით სარგებლობის უფლება.

ამ წესებმა დიდად შეუწყო ხელი გლეხობაში და თავად-აზნაურობაში მაჰმადიანობის გავრცელებას და მათ თანდათანობით გადასვლას ოსმალეთის მხარეზე.

ოსმალებმა საათაბაგო დაყვეს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად და შემოიღეს ოსმალური სახელწოდებები: „ხოლო ამა ჟამთა შინა არღარა იყო სახელნი თავადთა, მთავართა და აზნაურთა, არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალაიბეგად, სანჯახად და აღად. რამეთუ ახალ-ციხეს და ოლთის იყო ათაბაგი ახალციხის ფაშად წოდებული, კოლას სჯდა ფაშა, შავშეთს, აჭარას ბეგნი და სხვათა ადგილებთა აღაი-ბეგი და აღანი. გარნა მორჩილებასა და ლაშქრობასა ქვეშე ახალციხის ფაშისასა“.

ფაშობის მისაღებად ათაბაგები ახლა მიდიოდნენ სტამბოლში და იქ, დიდი ქრთამისა და საჩუქრების მირთმევის შემდეგ, მათ ამტკიცებდნენ ახალციხის ფაშის თანამდებობაზე. ამასთანავე, სულთანისგან აქვე იღებდნენ გარკვეულ პოლიტიკურ დავალებას, რომ მათ თვალყური ედევნებინათ იმერეთის მეფე-მთავართა მოქმედებისთვის და ეწარმოებინათ ოსმალეთისთვის სასარგებლო პოლიტიკა. ამიტომ ოსმალეთის გავლენით და წაქეზებით ახალციხის ფაშები ერეოდნენ იმერეთის პოლიტიკურ საქმეებში, ხელს უწყობდნენ იმერეთისა და ოდიშ-გურიის შინაურ აშლილობას, ერთმანეთის დარბევას და სხვ. ახალციხის ფაშები ამით სარგებლობდნენ, იმერეთიდან გადმოჰყავდათ მრავალი

ტყვე, ასახლებდნენ თავიანთ საფაშოში და ამაჰმადიანებდნენ. ამით ოსმალეთს უნდოდა იმერეთის დასუსტება და მისი ხელში ჩაგდება.

ამგვარად, ძველი სამცხე-საათაბაგო, რომელიც ტერიტორიულად შეადგენდა ქართლის ზემო ნაწილს და ადმინისტრაციულად შედიოდა საქართველოს სამეფოში, ოსმალეთის ძალმომრეობით თანდათანობით მოექცა ოსმალეთის პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიკური გავლენის ქვეშ. იგი საქართველოს მოწყდა ტერიტორიულადაც და ეს სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვანი მხარე მთლად გამაჰმადიანდა; ქართულმა მოსახლეობამ ოსმალეთის მკაცრი რეჟიმის გავლენით ეროვნული თვითშეგნება დაკარგა.

გამაჰმადიანებული მესხეთი XVII-XVIII სს-ში, ამასთანავე, გადაიქცა ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ბაზისად, საიდანაც იგი ახალციხის ფაშების დახმარებით აწარმოებდა მედგარ შემოტევას დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოზე.

ახალციხის ფაშების მეთაურობით ოსმალებმა სწრაფად დაიპყრეს შავი ზღვის სანაპიროები: აფხაზეთი, ოდიში და გურია. მათივე ხელში იყო იმერეთის ყველა ციხე, რომლებიც გამაგრებული იყო ოსმალეთის ჯარითა და იარაღით. ახალციხის ფაშების მუხანათური პოლიტიკა საფრთხეს უმზადებდა იმერეთის სამეფო-სამთავროების არსებობას.

ახალციხის საფაშოდან ოსმალეთი ასეთივე დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებდა ქართლ-კახეთის მიმართ, სადაც ბატონობდნენ ირანელები და XVII ს-ში მთელი ეს მხარე გადაიქცა ოსმალეთისა და ირანის ბრძოლების ასპარეზად.

1723 წელს ოსმალებმა თბილისი აიღეს და შეუდგნენ ქართლის შემომტკიცების საქმეს. ქართლის მმართველად ოსმალებმა დანიშნეს **იესე ბატონიშვილი** (მუსტაფა-ფაშა), მაგრამ ქართლის საქმეებს ფაქტობრივად განაგებდა ახალციხის ფაშა **ისაყი**, რომელსაც სულთანისგან დავალებული ჰქონდა, მტკიცედ გაეტარებინა ქართლში ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკა და მაჰმადიანობა გაევრცელებია. ახალციხის ფაშები, ამასთანავე, ხელს უწყობდნენ ლეკების თარეშს ქართლ-კახეთში, ტყვეების მოტაცება-გაყიდვას და სხვ.

ამ გარემოებას XVIII ს-ში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა **ერეკლე II**, რომელიც კარგად ხედავდა, თუ რა საფრთხე მოელოდა ქართლ-კახეთის დამოუკიდებელ არსებობას ახალციხის საფაშოდან. საქართველოს ეს ნაწილი აშკარად ადგა გათურქებისა და ეროვნული გადაგვარების გზას, ამიტომ სამცხე-საათაბაგოს ან ახალციხის

საფაშოს შემოერთების საკითხი ერეკლე II-თვის გადაიქცა ერთ-ერთი მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხად. მაგრამ ერეკლეს ამისათვის არ გააჩნდა საკუთარი ძალა და ამიტომ იძულებული იყო, 1768 წელს თხოვნით მიემართა თვითმპყრობელურ რუსეთისთვის, რომ მას დახმარება გაეწია ახალციხის საფაშოდან ოსმალების განდევნისა და ამ კუთხის შემოერთების საქმეში.

რუსეთის თვითმპყრობელობა ეძებდა გასავალს შავ ზღვაზე და ახლა მისთვის საჭირო შეიქნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა და იქიდან ოსმალეთისა და ირანის განდევნა. როდესაც 1768 წელს გამოცხადდა ომი ოსმალეთსა და რუსეთს შორის, მეფე ერეკლემ განიზრახა, ამ მომენტით ესარგებლა და შემოეერთებინა ახალციხის საფაშო. ამ მიზნით 1770 წელს ერეკლე II და რუსის გენერალმა **ტოტლებენმა** გაილაშქრეს ახალციხის საფაშოში. მაგრამ როდესაც აწყურთან მივიდნენ, ტოტლებენი სრულიად მოულოდნელად უკანვე გაბრუნდა და გადავიდა სურამში.

ტოტლებენი ამ შემთხვევაში მოქმედებდა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით და მის მიზანს არ წარმოადგენდა ახალციხის საფაშოს საქართველოსთან შემოერთება და ამით ერეკლეს გაძლიერება.

ამიტომ ერეკლე იძულებული შეიქნა მტერს მარტო შებრძოლებოდა: 1770 წელს ბრძოლა მოხდა ასპინძასთან, სადაც ერეკლემ გაიმარჯვა. მაგრამ ჯარის სიმცირის გამო იგი ვერ გადავიდა ოსმალებთან შეტევაზე და უკანვე გაბრუნდა.

ამგვარად, ერეკლემ იარაღით ვერ შესძლო ახალციხის საფაშოს დაპყრობა-შემოერთება, მაგრამ ახლა მან ამ დიდი საკითხის მოგვარება **ეკატერინე II**-თან დიპლომატიური მოლაპარაკებით გადაწყვიტა. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლე თავის მოხსენებაში, თუ რა პირობებში სურდა მას მიეღო რუსეთის მფარველობა, სხვათა შორის სწერდა: „კუალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და თუ უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. სულტანისა, მაშინ გარედ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუს, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზე“.

ასეთივე სურვილს გამოსთქვამდა ერეკლე II 1773 წლის 27 აპრილს ეკატერინესადმი გაგზავნილ წერილში: „არ დაშთეს დაუპყრობლად ქვეყანაჲ ახალციხისა, რომელიც ჩვენი იყო, და თუ შერიგება იქნება, მა-

შინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მახმადიანად მრავალს გარდააქცევენ“.

1783 წლის 24 ივლისის **ტრაქტატში** ერეკლე II სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) თავის სამფლობელოებში იხსენიებს და ამბობს: „მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი“.

ერთი სიტყვით, მეფე ერეკლე II კარგად ხედავდა, თუ რა დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებას საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისთვის. მაგრამ ერეკლემ ამის განხორციელება სიცოცხლეში ვერ შესძლო და იგი ანდერძად დაუტოვა თავის მემკვიდრეებს.

ქართლ-კახეთის შემოერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის მთავრობა შეუდგა საქართველოს დანარჩენი ნაწილების შემოერთებას. 1828 წლის 15 აგვისტოს **პასკევიჩმა** დაამარცხა ოსმალების ჯარი ახალციხის მახლობლად სოფ. კლდესთან და ამის შემდეგ რუსის ჯარმა დაიწყო ახალციხის საფაშოს ან სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის თანდათანობით დაპყრობა; 1829 წ. ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ოსმალეთმა დაუთმო რუსეთს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ეს ბრძოლა დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომებით და 1879 წ. ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთს შემოუერთდა მესხეთის დანარჩენი ნაწილებიც; ბათომის, ართვინის, ოლთისის და არდაგანის ოლქები (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ლივანა, ჭანეთის ნაწილი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ფოცხოვის და ჯაყის წყლის ხეობა).

მაგრამ მეფური რუსეთის პოლიტიკის წყალობით ამას მოჰყვა საათაბაგოს მაჰმადიან მოსახლეობის დიდი ნაწილის გადასვლა ოსმალეთში. განსაკუთრებით ჯავახეთისა და ახალციხის მაზრის ქართველმა მაჰმადიანებმა გაქრისტიანების შიშით დატოვეს თავიანთი სამშობლო და გაიხიზნენ ოსმალეთში. მათ მიერ დაცლილ ადგილებზე პასკევიჩმა არზრუმიდან ლტოლვილი 100.000 სომეხი დაასახლა, ხოლო ამ უკანასკნელთა სახლ-კარის მოსაწყობად იმპერატორმა **ნიკოლოზმა** ერთი მილიონი მანეთი უწყალობა.

რუსეთთან შეერთებამდე ქართული ენა ახალციხის საფაშოში ითვლებოდა ოფიციალურ ენად და ამ ენაზე ფაშები და ბეგები აწარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და საქართველოს სამეფო-სამთავროებთან მიმოწერას. ამასთანავე, აქ ატარებდნენ ქართულ გვარებს და ქართული ენა ითვლებოდა მშობლიურ ენად.

რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ მთელი ეს მხარე (ძველი სამცხე-საათაბაგო) გადაკეთდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, არდაგანის, ყარსის და ართვინის ოლქები. თვითმპყრობელობა ამ მხარეში აწარმოებდა პოლიტიკას, რომლის შედეგი იყო ქრისტიანობის გაძლიერება და მაჰმადიან მოსახლეობის გარიყვა.

ამან დააფრთხო აქაური ქართული მაჰმადიანური მოსახლეობა, რომელმაც თანდათანობით დაივიწყა ქართული ენა; ძალდატანებით გაქრისტიანების შიშით იგი შეიპყრო რელიგიურმა ფანატიზმმა, რამაც დაუხშო მას ეროვნული შეგნება.

ამგვარად, მეფური რუსეთის გამათავისუფლებელმა ბრძოლებმა სამცხე-საათაბაგოს ქართველი მაჰმადიანები, მოქცევის ნაცვლად, თავისივე სამშობლო გაუუცხოვა; მათ თანდათანობით დაივიწყეს სამშობლოს ისტორიული თავგადასავალი და მშობლიური ენა. ამასთანავე, მაჰმადიანური რწმენის ფანატიზმით გამსჭვალული ქართველი მაჰმადიანი იძულებული იყო ქართული გვარი შეეცვალა თურქულზე, რადგანაც „ქართველი“ მის შეგნებაში ნიშნავდა „ქრისტიანს“.

დასაბეჭდად მოამზადა
ბერდიაკ. **გიორგიმ** (რუხაძე).
23.08.2023.